ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 6 დღე

№ 180 (12 555) 2 აგვისტო შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



**ვიტ ჯორჯიას ავსტრია ერგო**

უეფას თასი. წილისყრა »»» 4

**კოკოშკოვმა ნაკრების ღია ვარჯიში ჩაატარა**

კალათბურთი »»» 12

# გადაწყდა!

# ექტორ კუპერი



არგენტინელმა მწვრთნელმა ახალგაზრდა და გამოცდილი ფეხბურთელებით, ბრძოლისუნარიანი გუნდი უნდა ჩამოაყალიბოს...

კონტრაქტის დეტალები კონფიდენციალურია. კუპერის გასამრჯელო ბონუსებზე იქნება დამოკიდებული...

არგენტინელი თანახმაა, ბონუსური სისტემა მესამე და უფრო მაღალ ადგილებზე გასვლის შემთხვევაში ამოქმედდეს...

კუპერი საქართველოში იცხოვრებს, დაესწრება ეროვნულ ჩემპიონატსა და სათასო მატჩებს. მას სურს, ქართული ფეხბურთის პოტენციალზე სრული წარმოდგენა ჰქონდეს...

*ჩვენი ინფორმაციით, კუპერმა სამი თანაშემწე შეარჩია. ერთი ასისტენტი და მეკარეთა მწვრთნელი არგენტინელია, ფიზმომზადების სპეციალისტი – იტალიელი. კუპერს ქართველი თანაშემწეც ეყოლება. განიხილება შოთა არველაძის კანდიდატურა.*

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა »»» 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა




ნოდარ ახალკაცმა, გოგი ქავთარაძემ და უჩა უგულავამ კუპერის საქმე წარმატებით დაასრულეს

# გადაწყდა! საქართველოს ვექტორი ექტორ კუპერია

მიმდინარე წლის 1 აპრილს ორმხრივი შეთანხმების თანახმად, **კლაუს ტოპმიოლერსა** და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმებული კონტრაქტი და თანამშრომლობა შეწყდა. იქიდან მოყოლებული ჩვენი ნაკრები უთავკაცოდ იყო. **პეტარ სეგრტმა** ეროვნული მაისის ბოლოს გამართული ამხანაგური მატჩებისთვის კი მოამზადა, მაგრამ ის დროებითი მწვრთნელი იყო. ეროვნული ნაკრებისთვის ახალი თავკაცის შერჩევას ზუსტად ოთხი თვე დასჭირდა... ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებმა არაერთხელ აღნიშნეს, 1-ელ აგვისტოს ნაკრებს მწვრთნელი ეყოლებაო და ეს დღეც დადგა.

გუშინ ალმასკომის სხდომა გაიმართა და ეროვნული ნაკრების ახალი თავკაციც დამტკიცდა - არგენტინელი **ექტორ რაულ კუპერი**.

ალმასკომის სხდომა 14 საათზე დაიწყო და დაახლოებით საათ-ნახევარი გაგრძელდა. სხდომიდან პირველი პარლამენტარი **კობა სუბელიანი** გამოვიდა და კუპერის დამტკიცების ამბავიც მან გვამცნო.

- ალმასკომმა აბსოლუტური უმრავლესობით ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ექტორ კუპერი დაამტკიცა. ბევრი ითქვა ამ სპეციალისტის პიროვნელ და პროფესიულ თვისებებზე. ამ თვისებებიდან აღსანიშნავია დისციპლინა, სიმკაცრე, ფეხბურთელებთან დისტანციური ურთიერთობა... ჩვენ ვალდებული ვართ, კუპერს ყველა პირობა შევუქმნათ ნაკრებში წარმატებული მუშაობისთვის... და რაც ყველაზე მთავარია, მისი ფინანსური დაინტერესება პირდაპირაა დამოკიდებული გუნდის წარმატებაზე. არგენტინელი მწვრთნელი ბონუსურ სისტემაზე თანახმაა. ის ახალი შესარჩევი ციკლის ბოლომდე გაწვრთნის ჩვენს ნაკრებს.

სუბელიანის შემდეგ, ალმასკომის მორიგი წევრი **დავით სილაგაძე** გამოჩნდა.

- კუპერი 17 თვის განმავლობაში უხელმძღვანელებს ჩვენს ნაკრებს. მხოლოდ მისი კანდიდატურა განიხილებოდა. ფინკესა და სეგრტზე არაფერი თქმულა.

**- რა მიზანი დაუსახეს ნაკრების ახალ თავკაცს?**

- მიზანი ბრძოლისუნარიანი, მობილური და ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა.

ალმასკომის სხდომის შემდეგ, 16 საათზე პრესკონფერენცია გაიმართა. მასმედიის წინაშე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** და ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** წარდგნენ.

**ნოდარ ახალკაცი**

- ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა ექტორ კუპერი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაამტკიცა. მისი კონტრაქტი 1 აგვისტოდან შედის ძალაში, ხანგრძლივობა კი 17 თვეა, 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

- ქართულ ფეხბურთში ჩახედულს, ყველას კარგად მოეხსენება ჩვენი სანაკრებო პრობლემა - თაობათა შორის ჩავარდნა. ახალმა თავკაცმა ეროვნულ ნაკრებში ახალგაზრდა, გამორჩეული და გამოცდილი ფეხბურთელების სინთეზით, ძლიერი, ბრძოლისუნარიანი გუნდი უნდა ჩამოაყალიბოს. ისე არ უნდა ხდებოდეს, რომ ნაკრებმა პირველი მიღებული გოლისთანავე ფარ-ხმალი დაყაროს. ვერ ვიტყოდი, რომ მოკლე დროში, მაგრამ ჩვენი რესურსით მართლაც შეიძლება მობილური გუნდის ჩამოყალიბება.

კონტრაქტის დეტალები კონფიდენციალურია, მაგრამ ერთს კი გეტყვით. კუპერის გასამრჯელო ბონუსებზე იქნება დამოკიდებული. ბონუსების ათვლა კი იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ ნაკრები ახალ შესარჩევ ციკლში მესამე ან ზედა ადგილებს დაიკავებს.

**გოგი ქავთარაძე**

- მთელი სულითა და გულით ვულოცავ ქართველ გულშემატკივარს ექტორ კუპერის დამტკიცებას. ეს ჩვენი მრავალთვიანი მუშაობის შედეგია. კარგად ვიცი, გულშემატკივარი მართლაც მოუთმენლად ელოდა ახალ თავკაცს. კუპერზე ჩვენი არჩევანი იმითაც იყო განპირობებული, რომ თავად არგენტინელი საკმაოდ იყო მონდომებული ჩვენს ნაკრებში სამუშაოდ. კუპერი რომ მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებულია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ის თანახმაა ბონუსური სისტემა მესამე და ზედა ადგილებზე გასვლის შემთხვევაში ამოქმედდეს.

**უჩა უგულავა**

- კუპერი მაღალკვალიფიციური მწვრთნელია. ის საქართველოში იცხოვრებს, დაესწრება ეროვნული ჩემპიონატისა და სათასო მატჩებს. მას სურს ქართულ ფეხბურთში არსებულ პოტენციალზე სრული წარმოდგენა ჰქონდეს.

**- ალმასკომის სხდომაზე მხოლოდ ერთ კანდიდატზე, კუპერზე იყო მსჯელობა?**

ნ. ა. - დიახ. არგენტინელი მწვრთნელის კანდიდატურას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. ჩვენ ვალდებულნი ვართ ნაკრებ გუნდებს შედეგიანად ასპარეზობისთვის ყველა პირობა შევუქმნათ. მადლობელი ვარ ყველა იმ კანდიდატის, ვინც ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

გ. ქ. - არჩევანის შეჩერება კუპერზე იმას არ ნიშნავს, რომ სხვა კანდიდატები არ იყვნენ ღირსეულები. ალმასკომმა არჩევანი გააკეთა და იმედი მაქვს, ჩვენი ნაკრები შედეგიანად იასპარეზებს.

**- ალმასკომის სხდომის შემდეგ კუპერს ტელეფონით თუ ესაუბრეთ? როდის ჩამოვა საქართველოში?**

ნ. ა. - არგენტინელ მწვრთნელთან ჯერ არ მისაუბრია. ის ოთხშაბათს ან ხუთშაბათს უკვე საქართველოში იქნება.

**- ვინ იქნებიან კუპერის თანაშემწეები?**

ნ. ა. - გარკვეული მონახაზი უკვე არის. ჩამოვა კუპერი და ასისტენტებს თავადვე დაასახელებს.

**- უელსთან გასვლითი ამხანაგური მატჩისთვის სად მოემზადება ეროვნული ნაკრები?**

ნ. ა. - ფიფას რეგლამენტით გამოძახებული ფეხბურთელები კლუბებმა 48 საათით ადრე უნდა გამოუშვან. ეს მატჩი 20 აგვისტოს კარდიფში გაიმართება. შეკრება უელსში 18 აგვისტოს დაიწყება. შესარჩევი ციკლის პირველი ორი მატჩი ირლანდიასა და იტალიასთან გადაბმულადაა და ამ თამაშებისთვის მოსამზადებლად გაცილებით მეტი დრო გვექნება. 6 სექტემბრამდე უცხოეთში, იტალიაში შეკრების ვარიანტიც განიხილება. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ ვარიანტია. საბოლოო გადაწყვეტილებას ნაკრების ახალი თავკაცი მიიღებს.

დაბოლოს, ჩვენი ინფორმაციით, კუპერს სამი თანაშემწე უკვე შერჩეული ჰყავს, რომელთაგან ერთი ასისტენტი და მეკარეების მწვრთნელი არგენტინელია, ფიზმომზადების სპეციალისტი კი – იტალიელი. კუპერს ქართველი თანაშემწეც ეყოლება, განიხილება **შოთა არველაძის** კანდიდატურა. მეოთხე თანაშემწის საკითხი დამდეგ კვირაში კუპერის ჩამოსვლის შემდეგ გაირკვევა.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# მუჯირმა ჩეხს გაუტანა, კალაძეს ფრე სურდა

მოსკოვში ოთხთა ტურნირი - „რუსეთის რკინიგზის თასი" იმართება, რომელშიც მოსკოვის „ლოკომოტივთან" ერთად საფეხბურთო გრანდები - „მილანი", „ჩელსი" და „სევილია" მონაწილეობენ. გუშინ თამაშებზე ანშლაგი იყო. პირველ შეხვედრაში „მილანი" 0:1 დამარცხდა „სევილიასთან". **კახა კალაძემ** შეუცვლელად ითამაშა. პირველი ტაიმის მიწურულს საჯარიმოსთან კალაძემ **ფაბიანო** მოცელა, თუმცა თავად დაზარალებულმა საკმაოდ სახიფათო საჯარიმო ააცილა. „მილანის" კარში გოლი ისევ მილანელმა შეაგდო - **ჯენარო გატუზომ**.

მატჩის შემდეგ კახამ რუს ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: *„ეს ჩვენთვის მხოლოდ სავარჯიშო მატჩი იყო. ჩვენ ახალი სეზონისთვის მზადება ახლა დავიწყეთ და ყველაფერი წინ გვაქვს. ასე რომ, თქვენ ვერ ნახეთ ნამდვილი „მილანის" თამაში. ახლა გუნდი დღეში ორჯერ ემზადება და საკმაოდ დიდ დატვირთვებს იღებს, ამიტომ ჩვენგან კარგი ფეხბურთის ჩვენების მოთხოვნა ჯერ ნაადრევია. სხვათა შორის, არც „სევილიას" გაუბრწყინია. ვფიქრობ, ფრე 0:0 უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა".*

მეორე შეხვედრაში მოსკოვის „ლოკომოტივი" „ჩელსის" დაუზავდა – 1:1. დაინიშნა პენალტების სერია, რათა ფინალში „სევილიის" მეტოქე გარკვეულიყო. მატჩის 83-ე წუთზე დიდი ხნით მივიწყებული **დავით მუჯირი** გამოჩნდა, მან **დიმიტრი ტორბინსკი** შეცვალა. უკვე შემდეგ წუთზე ჩვენებურის წაქცევისთვის ძალზე სახიფათო საჯარიმო დაინიშნა, რომელიც 85-ე წუთზე **რუსლან კამბოლოვმა** გოლად აქცია. პენალტების სერიაში მუჯირმა **პეტერ ჩეხს** ძლიერად დაურტყა კარის ცენტრში, გოლკიპერმა ვერაფერი მოახერხა. „ლოკომოტივმა" 5:4 გაიმარჯვა, გადამწყვეტი პენალტი **ანდრეი შევჩენკომ** გააცუდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველები უეფას თასზე

# ყველა გავარდა

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო წრეში თბილისის „ვიტ ჯორჯიის" გარდა კიდევ ერთი გუნდია, სადაც ქართველი თამაშობს – გრაცის „შტურმი". **ილია კანდელაკის** და **გიორგი შაშიაშვილის** გუნდი აქ ინტერტოტოს თასის მოგებით მოხვდა, „შტურმი" შვეიცარიულ „ციურიხს" შეხვდება. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან კი ქართველი ლეგიონერის ყველა გუნდი - მოლდოვური „დაჩია", აზერბაიჯანული „ოლიმპიკი", ბელარუსის „მტზ-რიპო" და ყაზახეთის „შახტიორი" - გავარდა.

ბაქოში, „ტოფიკ ბახრამოვზე" აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონი „ოლიმპიკი" „ვოივოდინას" მასპინძლობდა. პირველ მატჩში სერბებმა 1:0 მოიგეს. **ასკერ აბდულაევმა** საპასუხო მატჩში ორივე ქართველი შემტევი ნახევარმცველი დააყენა ძირითად შემადგენლობაში, **რომან ახალკაცი** და საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი **მიხეილ ხუციშვილი**. პირველი ტაიმი მოსაწყენი ყოფილა, სხვების ფონზე ქართველები უფრო აქტიურობდნენ, თუმცა „ვოივოდინის" მცველები მათ რეიდებს უმკლავდებოდნენ. 50-ე წუთზე რომანმა თავი გოლით გამოიჩინა - საჯარიმოში არეულობით **ბაშირ მუგადიმ** ისარგებლა, მან ახალკაცი მოძებნა და „ოლიმპიკი" 1:0 დაწინაურდა. 86-ე წუთამდე ეს ანგარიში დამატებითი დროის დანიშვნას მოასწავებდა, თუმცა სერბთა ფორვარდმა **იგორ დურიჩმა** გაიტანა და „ოლიმპიკი" უეფას თასის მიღმა დატოვა. ხუციშვილი 89-ე წუთზე **სამირ მუსაევმა** შეცვალა.

„დაჩია" სერბულ „ბორაცს" ესტუმრა. მას შემდეგ, რაც მე-3 წუთზე **ლევან კორღალიძემ** სტუმრები დააწინაურა, მათ შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გაუჩნდათ, რადგან კიშინოვში მატჩი 1:1 დასრულდა, თუმცა შემდეგში სერბებმა მოლდოველებს სამი გოლი გაუტანეს – 3:1. სასტარტო შემადგენლობაში კორღალიძესთან ერთად **სერგი ორბელაძე** და **ჯაბა დვალი** იყვნენ.

ბელარუსის „მტზ-რიპო" საპასუხო მატჩში სლოვაკეთში „ჟილინასთან" 0:1 დამარცხდა და ტურნირს დაემშვიდობა. **გივი კვარაცხელიამ** მინსკელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა.

უნგრულმა გუნდმა „დებრეცენმა" **ლაშა ნოზაძის** „შახტიორი" გააგდო უეფას თასიდან – 1:0. ლაშას ამ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**. *ნომრის მორიგე რედაქტორი* **შალვა ბიბილაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



ახალკაცი და კუპერი: ცოტა ხნის წინათ ფედერაციის პრეზიდენტი სულ სხვა კანდიდატს ემხრობოდა

# გახდება კუპერი სუპერი?

ამასწინათ, „ლელოს" ერთ-ერთ ნომერში, **ექტორ კუპერი** უილბლო მწვრთნელად მოვიხსენიეთ. იმავე დღესვე, ერთი ნაცნობი დაგვიკავშირდა, მერე რედაქციაშიც შემოიარა და დელიკატურად გვისაყვედურა - ამას რომ წერთ, იქ, „ზემოთ" იტყვიან, უილბლო მწვრთნელს გვაჩეჩებენ და ფულს აღარ გადავიხდითო. ეს ნაცნობი, ქართულ საფეხბურთო წრეებთან ახლობლობს და იცოდა, რასაც ამბობდა, თუმც მისი არგუმენტი ჭეშმარიტებად არ მიგვილია. სხვათა შორის, კუპერის უილბლობაში ირიბად კი დაგვეთანხმა, მაგრამ... ასე მაინც არ უნდა დაგეწერათო (რედაქციის საქმეა, რას დაწერს). მაშ, რა გამოდის? იქ, „ზემოთ", გაზეთში დაწერილს უფრო ენდობიან, ვიდრე ფეხბურთის ფედერაციის მიერ შერჩეულ კანდიდატს?

დიახაც, კუპერი უილბლო მწვრთნელია და ეს ჩვენი მოგონილი არ გახლავთ. კაცმა ჯერ ზედიზედ წააგო სამი ევროფინალი (თუმცა, თავისთავად, ფინალში გასვლაც წარმატებაა), მერე კი ზედ ბოლო ტურის წინ დათმო თითქმის განაღდებული სკუდეტო. გავიდა ცოტა ხანი და არაფერი გამოუვიდა ჯერ იმავე „მალიორკაში", მერე „ბეტისში" და სულ ბოლოს, „პარმიდან" უკანასკნელი ტურის წინ დაითხოვეს...

ასეთი პერიოდები ყველა მწვრთნელის ცხოვრებაშია. უილბლობაც არ არის ცოდვა. ბედი ხან გწყალობს, ხან არა. ეგ არის, კუპერს ის ხშირად არ სწყალობდა. მაგრამ ვინ თქვა, რომ ეს ყბადაღებული უილბლობა კვალიფიკაციის საზომია? და კუპერიც, სწორედ რომ კვალიფიციური მწვრთნელია. ასე რომ, დამშვიდდით, ბატონებო, მანდ, „ზემოთ". საქართველოს ნაკრებს ძალიან კარგი მწვრთნელი ჰყავს. სხვათა შორის, ბევრისგან ისიც მოვისმინე - ეგებ, დონ ექტორმა მოჯადოებული წრე საქართველოში გაარღვიოსო...

ღმერთმა ქნას. მეტი რა უნდა ნაკრების წარმატების მომლოდინე საქართველოს? მაგრამ ამაში არ არის საქმე. აქ აუცილებლად მოგვიწევს პარალელების გავლება **კლაუს ტოპმიოლერის** „ეპოქასთან". სხვათა შორის, დიდი ყისმათიანი არც ტოპი ყოფილა, არც კვალიფიკაცია აკლდა და მილიონებიც ჩაახუტეს. საქმისადმი მიდგომაა მთავარი.

გვენიშნა, რომ ფეხბურთის ფედერაციისთვის ტოპმიოლერის პერიოდი გაკვეთილად იქცა და აგერ, კუპერს საქართველოში ცხოვრების საკითხი მკაცრად დაუსვეს. ამანაც, 200 დღე თქვენთან ვიქნებიო. ეს ერთი დადებითი ასპექტი.

მეორეა ბონუსების სისტემა, რისი გათვალისწინებაც ტოპმიოლერისთვის კონტრაქტის გაგრძელების შემთხვევაში სურდათ. ესეც კიდევ ერთი გათავისებული გაკვეთილი. და მიზანი, რომელიც მწვრთნელს დაუსახეს. კიდევ კარგი, ფედერაციაში დღეს აღარავინ ფიქრობს ისეთ მირაჟზე, როგორიცაა მუნდიალის ფინალურ ეტაპზე გასვლა. ანუ, ჩავთვალოთ, რომ არგენტინელის თაობაზე ეს დამოკლეს მახვილივით არ იქნება ჩამოკიდებული. შესაბამისად, ნაკლები წნეხის პირობებში კუპერს მშვიდად შეუძლია მუშაობა და შესარჩევი ციკლის ბოლოსთვის რაღაც შედეგის დადება. კუპერს კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება ევალება. ეს არის ყველაზე რეალისტური მიზანი, რაც კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს დღემდე ჰქონიათ. თუმც გვაფიქრებს კონტრაქტი, რომელიც 17-თვიანია. რა უნდა მოასწროს ამ დროში?

დიახ, დრო ვერ იქნება კუპერის მთავარი მეკავშირე, დრო, რომელიც მუდმივად არ ჰყოფნიდათ მის წინამორბედებს და ვშიშობთ, არ ეყოფა კუპერსაც. 1 აპრილიდან ნაკრებს დამრიგებელი არ ჰყავს. ფეხბურთის ფედერაცია გაურკვევლობაში იყო. აქეთ **პეტარ სეგრტი**, იქით **ფოლკერ ფინკე**, კიდევ დუჟინი კანდიდატურებისა, რომელთა შორის ბევრი არარეალურიც იყო და შეიძლება, ვილაცის ფანტაზიის ნაყოფიც. მერე ველოდებოდით ევროპის ჩემპიონატის დასრულებას, რომ ეგებ, რომელიმე ხელმოცარული მწვრთნელი გადმოგვებირებინა...

და რა მივიღეთ ამ ლოდინში? მივიღეთ ის, რომ ესტონეთთან და პორტუგალიასთან გუნდი სეგრტმა გაიყვანა და მადაზეც მოვიდა. იგრძნობოდა, რომ სეგრტი ფედერაციის ფავორიტი იყო. კანდიდატების ჩამოთვლისას **ნოდარ ახალკაცს** არ ეზარებოდა ყოველჟამს იმის გამეორება, ხორვატი არ გამოგრჩეთო. ჰოდა, მივედით იქამდე, რომ ახალ მწვრთნელს ერთი კინკილა მატჩი აქვს შესარჩევი ციკლის დაწყებამდე და ისიც ფეხბურთელების გასაცნობად თუ ეყოფა. აი, აქ ვიჭედებით. შესარჩევში კუპერს ექნება 10 მატჩში და დაახლოებით 35-40 დღე ფეხბურთელებთან ურთიერთობისთვის. ცოტაა.

მაგრამ აქვე, ძველი გამოცდილებაც გავითვალისწინოთ. რამდენი შემთხვევა ყოფილა, როცა ტრავმებისა თუ სხვა, ხშირად გაუგებარი მიზეზების გამო, ქართველი ფეხბურთელი შეკრებაზე არ ჩამოსულა. ტოპმიოლერს კი აქაური რეზერვი არ ჰყოლია. ცხადია, აქ მისი ბრალეულობაც იყო. რა უნდა ქნას კუპერმა, რომ ლეგიონერები მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ შეცვალოს? პირველ ყოვლისა, იაროს საქართველოს ჩემპიონატის თამაშებზე. ამავე დროს, საჭიროა ყოველთვიური, ერთკვირიანი „ფანჯრები" ეროვნულ ჩემპიონატში, რომლის დროსაც კუპერი საქართველოს კლუბებში თავგამოჩენილი ფეხბურთელების თავმოყრასა და თავის გემოზე ვარჯიშის ჩატარებას შეძლებს. მარტო ის რად ღირს, რომ აქაურ ფეხბურთელებს სანაკრებოდ მეტი სტიმული და მოტივაცია გაუჩნდებათ. აი, აქედან შეიძლება წამოვიდეს რეზერვი. ჯერ დიდი არაფერი, მაგრამ მომავლისთვის მაინც...

ბანალური ფრაზაა: მარტო მწვრთნელი ვერაფერს გახდება, თუ ჩვენმა ფეხბურთელებმაც არ შეცვალეს საქმისადმი მიდგომა. ნაკრების ელიტა მაინცდამაინც გახარებული არ არის კუპერის დანიშვნით. უცნაურია, რომ ფეხბურთელებმა ღიად დააფიქსირეს, არგენტინელს სეგრტი ან ფინკე გვერჩივნაო. ერთი მხრივ, კარგია, როცა მოთამაშეები პოზიციას ღიად და დაუფარავად აფიქსირებენ. აი, აქ კი ნამდვილად გამოჩნდება, როგორი პროფესიონალები არიან. პროფესიონალმა ნებისმიერ მწვრთნელთან უნდა იმუშაოს.

ჩვენი მეკავშირე ვერ იქნება ისიც, რომ კუპერს ნაკრებში არასოდეს უმუშავია. მას შეუძლია გუნდის დაყენება, როგორც ეს „მალიორკის" მაგალითზე გააკეთა, მაგრამ კლუბი სხვა საქმეა, სხვა სპეციფიკაა. როგორ მოერგება კუპერი ამ სპეციფიკას, დრო გვიჩვენებს.

მისი უდავო პლუსია პრინციპულობა. დიახ, მას შეეძლო, ხანდახან ძირითადი შემადგენლობიდან ამოეგდო **კრისტიან ვიერი** და ალბათ, არ მოერიდება, რომ თუ ფორმაში არ იქნა, **კახა კალაძეც** სკამზე დასვას. ის ვერ იტანს, როცა მის საქმეში უცერემონიოდ ერევიან და იმედია, ფედერაციიდან თუ მის გარშემო მოტრიალე პერსონებიდან ამ სიბრიყვეს არავინ ჩაიდენს. მოკლედ, იწყება კიდევ ერთი ეპოპეა და ვნახოთ, გახდება კუპერი სუპერი?

**პაატა გელაშვილი**

***P.S.*** *რაკი ინიციატივა „ზემოდან" მოდიოდა, ალმასკომს პეტარ სეგრტისა და ფოლკერ ფინკეს კანდიდატურები არც განუხილავს. არადა, ისინიც სრულუფლებიანი კანდიდატები იყვნენ. ისიც ვიცით, რომ ალმასკომის წევრებიდან სეგრტსაც და ფინკესაც ჰყავდათ მომხრეები, მაგრამ... მაგრამ, როდის ყოფილა ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი პრინციპულობით განთქმული ორგანო? და ახლაც, ისე დაამტკიცეს ერთხმად კუპერი, სეგრტისა და ფინკეს არსებობა არც გახსენებიათ...*

დინამო. ინტერვიუ გურამ კაშიასთან

# ასეთ წაგებას არ ვიმსახურებდით

## რა მოხდა ათენში

**გურამ კაშიამ** ამ ბოლო ხანს საგრძნობლად მოუმატა. თუ ასე გააგრძელა, მისგან ჩინებული ფეხბურთელი ჩამოყალიბდება... მსგავსი შეფასება ხშირად გვსმენია ფეხბურთის სპეციალისტებისა და გულშემატკივრებისგან.

**ათენური მატჩის თვითმხილველი ქართველი გულშემატკივრებისგან ვიცი, რომ გურამმა „პანათინაიკოსთანაც" კარგად ითამაშა. ვიცით ისიც, რომ ბერძნებთან მატჩის წინ დინამოელებმა გასახდელში ომახიანად შემოძახეს სიმღერა - „სამშობლოსათვის, „მამულისათვის... უფრო მეტიც, ოლიმპიურ სტადიონზე „მამაო ჩვენოც" თქვეს...**

**რაინერ ცობელის ბიჭემა ათენში ბოლომდე იბრძოლეს, რეალური საგოლე მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ მაინც დამარცხდნენ.**

**საინტერესოა, როგორ აფასებენ ამ შეხვედრას თავად დინამოელები. გურამ კაშიას სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ დავუკავშირდით.**

- მართალი გითხრათ, ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. 3:0 წაგების შემდეგ თავი როგორ ვიმართლო, მაგრამ მინდა სიმართლე იცოდნენ ქართველმა ქომაგებმა. უაზრო, სულელური შეცდომების გამო ერთმანეთის მსგავსი გოლები გავუშვით. შესაძლოა, ეს ჩვენი გამოუცდელობით და იმ გარემოთიც იყო განპირობებული, რომელშიც პირადად მე, პირველად მოვხვდი...

**- რას გულისხმობ?**

- „ოლიმპიურ" სტადიონზე 60-70 ათასი გულშემატკივარი მთელი მატჩის განმავლობაში არ გაჩერებულა. მხოლოდ შეძახილები და სკანდირება კი არა, პეტარდების წვიმა იყო. გუგუნი, დოლი, საყვირი, ყიჟინა, სიმღერები. მსგავსი მხოლოდ ტელევიზიით მინახავს... ერთი სიტყვით, ამდენი და ასეთი ქომაგის წინაშე მე პირველად ვითამაშე და ჩემს დარად არაერთი დინამოელი პირველად მოხვდა ასეთ გარემოში...

**- იქნებ გაშვებული გოლები აგვიწერო...**

- ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ისე გაძვრა ზონაში, რომ მხოლოდ სულელური შეცდომით შეიძლება აიხსნას. ავსტრიელმა ფორვარდმა დასწრებაზე ითამაშა და ანგარიში ასე გაიხსნა. მეორე გოლიც ანალოგიურად გაგვიტანეს. მესამე კი მეკარისა და მცველების შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად მივიღეთ...

იცით, რაზე მწყდება გული? რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი გვქონდა, ისეთი, ბერძნებს რომ არ შეუქმნიათ.

**- ეს მომენტებიც გაიხსენე...**

- პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, მეორეში კი გამართული ფეხბურთი ვაჩვენეთ. ასპროცენტიანი საგოლე მომენტები გვქონდა, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. 2:0-ს ვაგებდით, როცა ოდიკაძემ ფლანგიდან თავზე დაასვა ბურთი სპასოევიჩს, მან კი 4-5 მეტრიდან ააცილა... მეორე ეპიზოდში ჩემი ძმის მიერ ჩამოწოდებული მაღალი ბურთისას, ათენელთა მეკარე გამოსვლაზე შეცდა, ბურთი ხმალაძის წინ დავარდა, მაგრამ მანაც ვერ გაიტანა.

**- მატჩის წინ სტადიონზე გიმღერიათ „მამულისათვის, სამშობლოსათვის"... მართალია?**

- (იცინის), კი, ეგრე იყო, მაგრამ საიდან გაიგეთ?

**- ამას რა მნიშვნელობა აქვს...**

- გასახდელში ყველამ ვიმღერეთ, მწვრთნელებიც მღეროდნენ. იცით, რამდენად მობილიზებული და შემართულები ვიყავით მატჩამდე? ორი აზრი არ არსებობს, „პანათინაიკოსი" კლასითაც გვჯობს და შემადგენლობითაც, მაგრამ თამაშისა და საგოლე მომენტების მიხედვით, ასე არ უნდა წაგვეგო. ვინც თამაში ნახა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ბერძნებს ყველაფერი გამოუვიდათ, ჩვენ კი არაფერი. მოედანზე სათამაშოდ რომ გამოვედით, წრეზე დავდექით, ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ და „მამაო ჩვენო" ვთქვით...

**- ათენში ამ მატჩის შემდეგ იქაურ ქართველებს უნახიხართ. დინამოელები დაჩეხილები და ფეხებდალურჯებულები იყვნენო..**

- მართლა ვიომეთ. ამ თამაშში მთელი გული და სული ჩავდეთ, იმდენი ენერგია დავხარჯეთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ბარე 5-6 თამაშს მაინც ეყოფოდა...

**- „პანათინაიკოსთან" საპასუხო მატჩი თბილისში 6 აგვისტოსაა. რას უნდა ველოდოთ?**

- თუ ისე ვითამაშებთ, როგორც მეორე ტაიმში, უნდა მოვიგოთ. მომდევნო ეტაპზე გასვლა კი ძალიან ძნელი იქნება.

**- მერებაშვილის გარდა საპასუხო შეხვედრაში კიდევ ვინ ვერ ითამაშებს?**

- ჩემს ძმას და ინწკირველს ორ-ორი გაფრთხილება აქვთ და მათ ამ მატჩის გამოტოვება მოუწევთ. გარდა ამისა, დილმელაშვილი ფეხის ტკივილმა შეაწუხა, იმედია, ის მაინც შეძლებს თამაშს.

**დავით ცაბაძე**



გურამ კაშია

საქართველოს თასი. მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები

# უმაღლესის აუტსაიდერები უკვე გამოიქვეთა

| აღმოსავლეთი ზონა | |
|---|---|
| ოლიმპი-ჰერეთი | 5:0 |
| ამერი-კახეთი | 2:1 |
| სიონი-ნორჩი დინამოელი | 4:0 |
| ლოკომოტივი-დუშეთი | 8:0 |
| მერანი თბ.-ჩიხურა | 1:0 |

საპასუხო 4 აგვისტოს

**დღეს**

17:45 გაგრა-თბილისი

საპასუხო 5 აგვისტოს

| დასავლეთი ზონა | |
|---|---|
| მგლები-ბაია | 1:5 |
| ბორჯომი-სამტრედია | 0:1 |
| ოზურგეთი-სპარტაკი | 0:5 |
| ჭიათურა-ტორპედო 2008 | 1:1 |
| მეშახტე-გურია | 1:4 |
| მერანი მარტვ.-კოლხეთი ხ. | 4:0 |

საპასუხო 4 აგვისტოს

**დღეს**

17:45 მესხეთი-კოლხეთი ფ. (ბორჯომში)

საპასუხო 5 აგვისტოს

ქართული სეზონი გუშინ გაიხსნა თასის მატჩებით. ორმა უმაღლესლიგელმა ისეთი შედეგი აჩვენა, ამთავითვე ცხადია, რომ ეროვნული ჩემპიონატი კიდევ უფრო დასუსტდება. ყველაზე დიდ ინტერესს ზუგდიდური დერბი იწვევდა. უმაღლესი ლიგის დაუძლურებული ბინადარი „მგლები" წელგამართულ "ბაიას" დაუპირისპირდა. ალბათ გახსოვთ, იყო იმის ალბათობა, რომ უძლიერესთა შორის "მგლების" ადგილი "ბაიას" დაეკავებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. არადა, როგორც ხედავთ, პირველლიგელმა უმაღლესლიგელისგან ქვა ქვაზე არ დატოვა.

"ბორჯომს" მერვედფინალში გასვლის შანსი არ დაუკარგავს, მაგრამ არაფრით გამორჩეულ"სამტრედიასთან" შინ დამარცხების შემდეგ, შორს წამსვლელს არ ჰგავს. ჭაბუკებით დაკომპლექტებული "ბორჯომი" ბევრს რომ ვერ მიაღწევდა, იმთავითვე ნათელი იყო, მაგრამ თასის მეთექვსმეტედფინალში მარცხი უკვე საგანგაშოა.

როგორც მოსალოდნელი იყო, რამდენიმე უმაღლესლიგელმა მერვედფინალის საგზური გუშინვე დაიბევა, ზოგ წყვილში კი ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა. დღეს კიდევ ორი შეხვედრაა, მერვედფინალიდან კი ბრძოლაში "დინამო", "ვიტ ჯორჯია" და "ზესტაფონი" ჩაერთვებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

თასის წინ. მესხეთი

# ჩიქვილაძეც ახალციხეში?

## გოჩაშვილი უკვე მესხია

მეოცე ეროვნული ჩემპიონატისთვის ახალციხის „მესხეთიც" ემზადება. **კობა თედიაშვილის** გუნდში სიახლეებია, რომლებსაც აქვე გაცნობებთ. **ბორის გონჩაროვი** და **გიორგი მემარნიშვილის** „მესხეთთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. მცველ **თემურ ლონლაძის** დაბრუნების საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია. საქმე ის გახლავთ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ლონლაძეს ოქტომბრამდე არ შეუძლია თამაში. თუ რუსთავის „ოლიმპი" ამ ფეხბურთელს ერთი წლით გაანათხოვრებს, მაშინ ახალციხელები მარჯვენა მცველს დაიბრუნებენ. მცველმა **მაჭავარიანმა** ახალციხელთა გუნდი დატოვა. მესხთა გუნდში გამოცდილი ფორვარდი **ვლადიმერ გოჩაშვილიც** ჩაირიცხა.

როგორც შევიტყვეთ, ახალციხელებს „ამერიდან" კიდევ ერთი ფეხბურთელის, **თენგიზ ჩიქვილაძის** დამატება სურთ. ეს ცნობა „მესხეთის" პრეზიდენტმა **გია მესხელმაც** დაგვიდასტურა და დაამატა - ჩიქვილაძის საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ყველაფერი მალე გაირკვევაო.



თენგიზ ჩიქვილაძე

**დავით ცაბაძე**

სიონი

# ქემოკლიძე დაიმატეს, ქვაჩახიაც განაცხადშია

ბოლნისის "სიონის" ბოლო ახალწვეული **რევაზ ქემოკლიძეა**. გამოცდილმა მცველმა გასული სეზონი ცხინვალის "სპარტაკის" შემადგენლობაში ჩაატარა. მოგვარდა **ზურაბ ქვაჩახიასთან** დაკავშირებული პრობლემა. უზბეკეთიდან მისი სატრანსფერო ფურცელი ჩამოვიდა და განაცხადში შეყვანა პრობლემა არაა. ქვაჩახიასთან ერთად, ქვემოქართლელთა ღირსებას კიდევ ოთხი ექსამერელი – **სულიკო დავითაშვილი, გივი დიდავა, ვლადიმერ კაკაშვილი** და **არჩილ ალავიძე** დაიცავენ. ალავიძე ძველი სიონელია, "ამერში" მან მხოლოდ ბოლო სეზონი გაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქალთა ფეხბურთი. ეროვნული ჩემპიონატი

# შედეგები აჭარიდან

ქობულეთში გრძელდება ქალთა შორის პირველი ეროვნული საკლუბო ჩემპიონატი. გუშინ მეორე ტურის მატჩები გაიმართა და ასეთი შედეგები დაფიქსირდა:

| | |
|---|---|
| დინამო-ბათუმი | 0:3 |
| ჯიხა-მარდი | 2:0 |
| ივერია-ქუთაისი | 4:0 |
| ქობულეთი-იბერია | 1:0 |

**A ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 27-0 | 6 |
| 2. დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 14-3 | 3 |
| 3. ჯიხა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-14 | 3 |
| 4. მარდი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-26 | 0 |

**B ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ივერია | 2 | 2 | 0 | 0 | 10-0 | 6 |
| 2. ქობულეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-6 | 3 |
| 3. იბერია | 2 | 1 | 0 | 1 | 5-3 | 3 |
| 4. ქუთაისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-9 | 0 |

დღეს დასკვნითი ტურის მატჩები გაიმართება:

დინამო-მარდი
ბათუმი-ჯიხა
ივერია-იბერია
ქუთაისი-ქობულეთი

**დავით ცაბაძე**

უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. ვიტ ჯორჯიის მეტოქე

# ისევ ვენა–თბილისი

## სირცხვილი აღარ გვინდა

**აუსტრია ვენა**

დაარსდა 1911 წელს
სტადიონი: "ჰორ შტადიონი" (ტევადობა 11 800)
საკლუბო ფერი: იისფერი
პრეზიდენტი: ვოლფგანგ კატციანი
მთ. მწვრთნელი: კარლ დაქსბახერი
ტიტულები: ავსტრიის 23-გზის ჩემპიონი, ავსტრიის თასის 26-გზის მფლობელი, ავსტრიის სუპერთასის 6-გზის მფლობელი

**მეკარეები:**
1. ჟაბოლჩ შაფარი (33 წლის, უნგრეთი)
13. მარკუს ბიოშკორი (21)
21. რობერტ ალმერი (24)

**მცველები:**
4. ფერნანდო ტროიანსკი (30, არგ.)
5. მარიო მაისტროვიჩი (31)
6. იაცეკ ბაკი (35, პოლონეთი)
24. ფრანც შიმერი (22)
25. მიხაელ მადლი (20)
29. მარკუს სუტნერი (21)
31. იოახიმ შტანდფესტი (28)

**ნახევარმცველები:**
2. ალექსანდერ დრაგოვიჩი (17)
3. სიანგ სუნი (26, ჩინეთი)
8. მათიას ჰატენბერგერი (29)
10. ემილ სულიმანი (22)
15. ჟოსელინ ბლანშარი (36, საფრ.)
18. ფლორიან მეტცი (22)
26. ფილიპ ნეტცერი (22)
27. თომას კრამერი (25)
30. მილენკო აჩიმოვიჩი (31, სლოვენია)

**თავდამსხმელები:**
9. მაჰამადუ დიაბანგი (29, სენეგალი)
11. ლუკას მოსნერი (24)
16. მარკ სანდი (20)
19. რუბინ რაფაელ ოკოტიე (21)
20. ელდარ ტოპიჩი (25)
22. მარიო ბაზინა (32, ხორვატია)



კარლ დაქსბახერი

"აუსტრიის" სტადიონი ვენის სამხრეთით მდებარე უბან ფავორიტენში მდებარეობს. კლუბის ყველაზე დიდი ლეგენდა **მათიას ზინდელარია**, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე თამაშობდა. 1938 წელს, როცა ავსტრია ნაცისტურმა გერმანიამ დაიპყრო, პროტესტის ნიშნად მან "გაერთიანებული" რაიხის ნაკრებში თამაშზე უარი თქვა. ერთი წლის შემდეგ იგი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

კლუბს თავდაპირველად "ამატოირი" ერქვა, იგი ფეხბურთისა და კრიკეტის გუნდების გაერთიანებით შეიქმნა. 1920 წელს ავსტრიაში ფეხბურთი პროფესიული გახდა და "ამატოირს" მას შემდეგ "აუსტრია" ეწოდება. ისტორიულად, მას ბურჟუაზიის წარმომადგენლები ქომაგობდნენ.

"აუსტრია" ქვეყნის ერთ-ერთი უტიტულოვანესი გუნდია. ბოლო წლებში ვენელები ფინანსურად მოძლიერდნენ და ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოხვედრასაც ლამობდნენ. ბოლო სეზონი "აუსტრიამ" უტიტულოდ დაასრულა, დედაქალაქელებმა ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს, რაც წარუმატებლობად შეფასდა. 2006 წელს კლუბმა ავსტრიული დუბლი შეასრულა, შარშან კი თასი მოიგო.



მილენკო აჩიმოვიჩი

ავსტრიულ კლუბებს ევროთასი არასოდეს მოუგიათ, თუმცა ფინალამდე რამდენიმე მათგანი მისულა. "აუსტრიაც" მათ შორისაა, 1978 წელს თასების მფლობელთა თასის ფინალს უნია, სადაც ბრიუსელის "ანდერლეხტთან" 0:4 განადგურდა.

დღევანდელი "აუსტრია" დონით დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს შარშანდელი "რაპიდისგან", რომელმაც თბილისის "დინამო" ორი მატჩის ჯამში 8:0 გაანადგურა. ბუნებრივია, "ვიტ ჯორჯიისგან" უფრო მეტს ველით. წყვილის ფავორიტები, რა თქმა უნდა, ავსტრიელები არიან, მაგრამ ვეტერინარებმა წესით, ფსიქოლოგიური პრობლემების გარეშე უნდა ითამაშონ და შესაძლებლობათა მაქსიმუმის წარმოჩენა მოახერხონ. "რაპიდი" ვახსენეთ და ამ გუნდიდან "აუსტრიას" ხორვატმა ფორვარდმა **მარიო ბაზინამ** მიაშურა. "აუსტრია" და "რაპიდი" ერთმანეთის დაუძინებელი მტრები არიან, მათი დერბი ავსტრიის ჩემპიონატის მთავარი მოვლენაა.

"აუსტრიის" ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი სლოვენიელი **მილენკო აჩიმოვიჩია**. შეხსენება არ უნდა იმ ფაქტს, რომ წლების წინ მას საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც უთამაშია. პოლონეთის ნაკრების წევრია ცენტრალური მცველი **იაცეკ ბაკი**, მეკარე **ჟაბოლჩ შაფარი**, რომელიც თავის დროზე მოსკოვის "სპარტაკში" **გიორგი ლომაიას** კონკურენტი იყო, უნგრეთის ეროვნულ გუნდში გამოდის. "აუსტრიის" კაპიტანია ვეტერანი ფრანგი ნახევარმცველი **ჟოსელინ ბლანშარი**, რომელსაც ტურინის "იუვენტუსშიც" უასპარეზია. ავსტრიის ნაკრებს ევრო 2008-ზე ახლდნენ **იოახიმ შტანდფესტი** და **რონალდ გერკალიუ**. ეს უკანასკნელი ტურნირის დასრულების შემდეგ ზალცბურგის "რედ ბულში" გადავიდა.

ავსტრიული ბუნდესლიგის გასულ ტურში "აუსტრიამ" შინ "რიდი" 3:1 დაამარცხა. გოლები **ჰატენბერგერმა, ბაზინამ** და **შტანდფესტმა** გაიტანეს. შემადგენლობა ასეთი იყო: **შაფარი – შტანდფესტი, ბაკი, შიმერი, მაისტროვიჩი – კრამერი, ჰატენბერგერი, ბაზინა (81. მადლი), აჩიმოვიჩი, სუნი (58. სულიმანი) – ოკოტიე (66. დიაბანგი)**. 4 ტურის შემდეგ "აუსტრია" 8 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ "ლინცს" ერთი ქულით ჩამორჩება.

*"ის ფაქტი, რომ "ვიტ ჯორჯიამ" ტრნავის "სპარტაკს" სძლია, ამ გუნდის ძალაზე ნათლად მეტყველებს. წინ დიდი ბრძოლა გველის"*, - ეს პატარა კომენტარი გუნდის დამრიგებელმა **კარლ დაქსბახერმა** წილისყრის დასრულებისთანავე გააკეთა.

აქვე იმ გუნდებსაც ჩამოგითვლით, რომლებიც ვიტელთა პოტენციური მეტოქეები იყვნენ: "ჰერტა" (გერმანია), "მოსკვა" (რუსეთი), "დნეპრი" (უკრაინა), "ზალცბურგი" (ავსტრია), "დებრეცენი" (უნგრეთი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა. III საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრა

ანორთოსისი (კვიპროსი)/რაპიდი (ავსტრია)-ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
გიმარაეში (პორტუგალია)-გიოტებორგი (შვედეთი)/ბაზელი (შვეიცარია)
შახტარი (უკრაინა)-დომზალე (სლოვენია)/დინამო (ხორვატია)
შალკე (გერმანია)-ატლეტიკო (ესპანეთი)
ოლბორგი (დანია)/მოდრიცა (ბოს.)-რეინჯერსი (შოტლ.)/კაუნასი (ლიტ.)
ბარსელონა (ესპანეთი)-ბეითარი (ისრაელი)/ვისლა (პოლონეთი)
ლევსკი (ბულგარეთი)-ანდერლეხტი (ბელგია)/ბატე (ბელარუსი)
სტანდარდი (ბელგია)-ლივერპული (ინგლისი)
ინტერი (აზერბ.)/პარტიზანი (სერბეთი)-ფენერბაჰჩე (თურ.)/მტკ (უნგრ.)
ტვენტე (ჰოლანდია)-არსენალი (ინგლისი)
სპარტაკი (რუსეთი)-დროგედა (ირლანდია)/დინამო (უკრაინა)
იუვენტუსი (იტალია)-ტამპერე (ფინეთი)/არტმედია (სლოვაკეთი)
ბრანი (ნორვეგია)/ვენტსპილსი (ლატვია)-მარსელი (საფრანგეთი)
ფიორენტინა (იტალია)-სლავია (ჩეხეთი)
გალათასარაი (თურქეთი)-სტიაუა (რუმინეთი)
**პანათინაიკოსი (საბერძ.)/დინამო (საქარ.)-შერიფი (მოლდ.)/სპარტა (ჩეხ.)**
***პირველი მატჩები 12/13 აგვისტოს გაიმართება, საპასუხო 26/27 აგვისტოს***

უეფას თასი. II საკვალიფიკაციო რაუნდის წილისყრა

**ვიტ ჯორჯია (საქართველო)-აუსტრია (ვენა, ავსტრია)**
შიროკი ბრიგი (ბოსნია)-ბეშიქთაში (თურქეთი)
ბრაგა (პორტუგალია)-ზრინისკი (ბოსნია)
ლოკომოტივი (ბულგარეთი)-ბორაცი (სერბეთი)
არისი (საბერძნეთი)-სლავენი (ხორვატია)
ომონია (კვიპროსი)-აეკ (საბერძნეთი)
ვლაზნია (ალბანეთი)-ნაპოლი (იტალია)
აპოელ (კვიპროსი)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
დეპორტივო (ესპანეთი)-ჰაიდუკი (ხორვატია)
ლიტექსი (ბულგარეთი)-ჰაპოელი (ირონი, ისრაელი)
ვოივოდინა (სერბეთი)-ჰაპოელი (თელ-ავივი, ისრაელი)
მაკაბი (ნეთანია, ისრაელი)-ჩერნო მორე (ბულგარეთი)
შტუტგარტი (გერმანია)-დიორი ეტო (უნგრეთი)
ციურიხი (შვეიცარია)-შტურმი (ავსტრია)
ლეხი (პოლონეთი)-გრასჰოპერსი (შვეიცარია)
ლიბერეცი (ჩეხეთი)-ჟილინა (სლოვაკეთი)
მეტალურგსი (ლატვია)-ვასლუი (რუმინეთი)
იანგ ბოიზი (შვეიცარია)-დებრეცენი (უნგრეთი)
სუდუვა (ლიტვა)-ზალცბურგი (ავსტრია)
ინტერბლოკი (სლოვენია)-ჰერტა (გერმანია)
ლეგია (პოლონეთი)-მოსკვა (რუსეთი)
დნიპრო (უკრაინა)-ბელინცონა (შვეიცარია)
იურგორდენი (შვედეთი)-რუსენბორგი (ნორვეგია)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი)-მიდტიულანდი (დანია)
ჰონკა (ფინეთი)-ვიკინგი (ნორვეგია)
ქუინი (შოტლანდია)-ნორდსილენდი (დანია)
გენტი (ბელგია)-კალმარი (შვედეთი)
ასტონ ვილა (ინგლისი)-ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
სტაბეკი (ნორვეგია)-რენი (საფრანგეთი)
ჰაკა (ფინეთი)-ბრონდბიუ (დანია)
კოპენჰაგენი (დანია)-ლილესტრიომი (ნორვეგია)
ელფსბორგი (შვედეთი)-სტ. პატრიკსი (ირლანდია)
***პირველი მატჩები 14 აგვისტოს გაიმართება, საპასუხო 28 აგვისტოს***

# ჯორჯიელი დინამოური გამოცდილებით



რამაზ მუმლაძე

დრომ ისე მოიტანა, რომ თუ ქართული გუნდი ევროსარბიელზე ერთ ეტაპს მაინც გადალახავს, უკვე დადებითი შედეგია, მით უმეტეს, თუ მეტოქე მოყვარულთა კი არა, პროფესიონალთა გუნდია. თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ტრნავის „სპარტაკი" დაამარცხა და ახლა ვენის „აუსტრიასთან" მოუწევს შეხლა. არა გვგონია, „დინამომ" ათენში 0:3-ის შემდეგ შინ „პანათინაიკოსს" ისე მოუგოს, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდეს. მოკლედ, უკვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ ამ სეზონში „ვიტ ჯორჯია" ქართული გუნდებიდან ყველაზე ბოლოს დაასრულებს ევროტურნირზე გამოსვლას. ვიტელებმა 2007-08 წლების ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავეს. პროფლიგის მიერ ჩატარებული ჟურნალისტთა გამოკითხვით კი სეზონის საუკეთესო მწვრთნელად „ვიტ ჯორჯიის" დამრიგებელი რამაზ მუმლაძე დასახელდა, მიუხედავად იმისა, რომ მის გუნდს არც თასი მოუგია და არც ჩემპიონობა. მუმლაძე უკვე ერთ-ერთ საინტერესო მწვრთნელად ჩამოყალიბდა და ევროფრონტზე მისმა გუნდმა არცთუ მყვირალა წარმატებას რომ მიაღწია, ალბათ, შემთხვევითობა არ ყოფილა.

## დინამო, დინამო...

ფეხბურთელი მუმლაძე იმ თაობას თუ ახსოვს, 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან რომ შეიყვარა ფეხბურთი და თბილისის „დინამო". 1976-81 წლებში მუმლაძე „დინამოს" დუბლების თავდამსხმელი იყო. რამდენჯერმე იყო პირველი გუნდის განაცხადში, თუმცა არასდროს უთამაშია იქ. 1978 წელს „დინამოს" დუბლი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და „მცირე მედალი", ცხადია, მუმლაძესაც ერგო. **ტარიელ დურდიაძე, გოჩა ჯოხაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, რევაზ ჩელებაძე**... ასეთი თანაგუნდელები ჰყავდა ცენტრფორვარდ მუმლაძეს „დინამოს" დუბლებში.

1982 წელს მუმლაძე თბილისის „ლოკომოტივში" გადავიდა და საბჭოთა კავშირის მეორე ლიგაში ერთი სეზონი ითამაშა. დინამოელობის შემდეგ კიდევ ერთი სერიოზული ტრავმა მიიღო და ფეხბურთელობას შეეშვა.

მწვრთნელობა მუმლაძემ ბავშვთა ფეხბურთში დაიწყო. 1995 წელს კი თბილისის „დინამოს" სამწვრთნელო შტაბში მოხვდა - მეორე გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გახდა. მალე „დინამო 2" უმაღლეს ლიგაში გადავიდა და „დინამომ" ორი გუნდით ითამაშა - „დინამო" და „თბილისი", რომლის მთავარ მწვრთნელად სწორედ მუმლაძე დანიშნეს. მის განკარგულებაში არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი აღმოჩნდა: **რატი ალექსიძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი**... „თბილისი" მალევე დაიშალა და მუმლაძე „დინამოს" მეორე გუნდში დაბრუნდა. 2001 წლიდან კი „დინამოს" მთავარი გუნდის მთავარი მწვრთნელის, **გივი ნოდიას** თანაშემწე გახდა, შემდეგ **ივო შუშაკისა** და **გია გეგუჩაძის** თანაშემწე იყო. 2005 წლის გაზაფხულზე „დინამოდან" გეგუჩაძე დაითხოვეს და მუმლაძეც გამოუშვეს.

## გამოცდილების სიკეთე

ასეთი იყო მისი გზა „ვიტ ჯორჯიამდე". ამ კლუბს კარგად ეხერხება ფეხბურთელების შერჩევა და მუმლაძის შემთხვევაში, მწვრთნელიც ისეთი შეხვდა, მართლაც რომ გამოადგა.

მუმლაძე გაწონასწორებული მწვრთნელია, არ აქვს კონფლიქტები ფეხბურთელებთან, მსაჯებთან თუ ჟურნალისტებთან. არასდროს ბაქიბუქობს და მკვეთრ განცხადებებს ერიდება. შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და არ ყოფილა შემთხვევა, მნიშვნელოვანი ტაქტიკური შეცდომის გამო წაეგოს თამაში. ის კარგი სტრატეგია, შეუძლია, თავისი ფეხბურთელებიდან მაქსიმუმი გამოწუროს.

რა განაპირობებს მწვრთნელ მუმლაძის წარმატებებს?

- ალბათ ის, რომ საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა. „დინამოში" მუშაობა ძალიან გამომადგა. დავით ყიფიანისა და იოჰან ბოსკამპისგან ბევრი საინტერესო ვისწავლე, „დინამოში" შეძენილი გამოცდილება მართლაც სულ სხვა არის. „ვიტ ჯორჯიაში" მთავარ მწვრთნელად მომზადებული მივედი და კიდევ უფრო მეტი გამოცდილება შევიძინე, - გვითხრა მუმლაძემ.

## გზა აუსტრიამდე

რაც შეეხება „ტრნავასთან" მატჩებს, მუმლაძეს მიაჩნია, რომ მისმა გუნდმა წარმატებას, პირველ რიგში, დიდი მონდომებით მიაღწია.

*„გამოცდილებაც დაგვეხმარა. შარშან უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ასევე სლოვაკური „არტმედია" შეგვხვდა (0:2, 2:1) და ვფიქრობ, „ტრნავაზე" უფრო ძლიერი იყო. ისიც დაგვეხმარა, რომ ნაყოფიერი სეზონისწინა შეკრება გავიარეთ ყირიმში, სადაც ძლიერ მეტოქეებს ვეთამაშეთ"*, - მოგვახსენა მუმლაძემ.

და რისი იმედი უნდა ჰქონდეს „ვიტ ჯორჯიას" უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ვენის „აუსტრიასთან"?

- რა თქმა უნდა, „აუსტრია" „ტრნავაზე" ძლიერი იქნება. ჩვენმა ფეხბურთელებმა უკვე ნახეს, რა არის ევროტურნირებზე თამაში, თუ რა დონეზეა საქმე გასაკეთებელი, რა სწორი და სწრაფი თამაშია საჭირო. „აუსტრიასთან" მხოლოდ მონდომებით ვერაფერს მივაღწევთ. უიმედოდ არ ვართ. მართალია, შარშან „დინამო" ვენის „რაპიდთან" დამარცხდა, თუმცა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში იყო შემთხვევა, როცა ჩვენმა გუნდმა ავსტრიულს აჯობა - ინტერტოტოს თასზე „მერანმა" სტუმრად „რიდს" 3:1 მოუგო", - ამბობს ვეტერინართა მწვრთნელი.

რაც შეეხება „ტრნავასთან" მატჩის ანალიზს, „ვიტ ჯორჯიის" დამრიგებელმა გვითხრა, აქცენტი დაცვაზე გავაკეთე, წინა პლანზე ფიზიკურმა მომზადებამ წამოიწია და მეტოქე ამ კომპონენტში დავჯაბნეთ, მეორე ტაიმში ბურთსაც კარგად ვაკონტროლებდით და გამარჯვებაც ამან განაპირობაო.

## მადლობა პრეზიდენტს

მუმლაძემ ისიც გვითხრა, „ვიტ ჯორჯია" კარგ პირობებში რომ ემზადება და ნაყოფიერი შეკრება რომ გაიარა, კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძის დიდად მადლობელი ვარო. რუხაძემ „ტრნავას" დამარცხებისთვის ფეხბურთელებს ის პრემია გაუორმაგა, რასაც ისინი ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეული მატჩის მოგებაში იღებდნენ და ამით მათ მოტივაცია გაუორმაგა.

მწვრთნელობა, ზოგადად, უმადურ პროფესიად ითვლება განვითარებად ქვეყნებში, სადაც ფეხბურთში დიდი ფული არ ტრიალებს და სისტემაც გაუმართავია.

საქართველოში მწვრთნელობა ბევრი ნიუანსის გამოა ძნელი. უცხოეთში მწვრთნელს აქვს, მაგალითად, ორწლიანი კონტრაქტი და მშვიდად შეუძლია მუშაობა, თუ დაითხოვენ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა გადასახდელი ექნებათ. ჩვენთან კი ასე არ არის აწყობილი საქმე, მწვრთნელი დაუცველია და როცა მოესურვებათ, მაშინ გაუშვებენ სამსახურიდან. გარდა ამისა, საქართველოში მწვრთნელს არ აქვს სათანადო პირობები იმისთვის, რომ გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში კარგად მოამზადოს. ჩამოდის გუნდი უცხოური შეკრებიდან და კარგი მოედნებიდან და პირობებიდან ცუდზე უწევს გადართვა, - განგვიმარტა მუმლაძემ.

## გულისხმიერი ბაბუის გემოვნება და დამაინტრიგებელი დაპირება

ვიტელთა დამრიგებელს მიაჩნია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ყველაზე ნიჭიერი და საინტერესო მწვრთნელი გეგუჩაძე გამოდგა. *„მასთან „დინამოში" მომიწია მუშაობამ და კარგად დავინახე, თუ რა ცოდნითა და უნარით გაიყვანა გუნდი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე. მიკვირს, რომ ახლა ის არც ერთ გუნდში არ არის."*

რაც შეეხება გემოვნებასა და კონცეფციას, მუმლაძეს ბრაზილიური ფეხბურთი მოსწონს და ყველაზე ესთეტიკურ გუნდად 1982 წლის მუნდიალზე მოთამაშე ბრაზილია მიაჩნია - ზიკო, ფალკაო, ჟუნიორი, სოკრატესი...

მწვრთნელის საქმიანობა მხოლოდ გუნდის შედეგით არ იზომება. თუ მის ხელში ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდება და დაწინაურდება, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებაა. „ვიტ ჯორჯიას" არაერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოუზრდია და მერე უცხოეთსა და თბილისის „დინამოში" გაუსხვისებია, თუმცა ვიტელებს არ ჰყოლიათ ისეთი დიდად ნიჭიერი ახალგაზრდები, როგორებიც ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე თუ დავით თარგამაძე არიან.

- „ვიტ ჯორჯიის" მეორე გუნდში ახლა ბევრი ნიჭიერი ჭაბუკია და გუნდს მალე ეყოლება ყენიასა თუ მჭედლიძის დარი ახალგაზრდა მოთამაშეები, შესაძლოა, უკეთესებიც კი", - ასეთია მუმლაძის პროგნოზი.

ფეხბურთს მიღმა კი მუმლაძე, უბრალოდ, კარგი ბაბუაა.

- თავისუფალ დროს ჩემს ორ შვილიშვილს ვუთმობ. მალე მესამეც მეყოლება. მათთან ყოფნაზე უკეთესი ჩემთვის არაფერია.

დავით თავართქილაძე

ყოველთვიური სპორტული ჟურნალი




თქვენთვის წერს ავტორთა ნაკრები:
გია ახვლედიანი. ილია ხახუნაშვილი. კოტე გოგიშვილი.
ლაშა გოდუაძე. გოჩა ჯაჯარიავა. მამუკა ჯვარცხელია.
დავით კიზირიძე. მერაბ მამულაშვილი.
ზვიად ჩიხრაძე. დათო ტყეშელაშვილი
გამომცემელი გიორგი გორგოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა

# მესი შანხაიში ჩავიდა

## შესაძლოა, ლეომ ალბისელესტე მაინც დატოვოს, ყველაფერი ტრიბუნალზეა დამოკიდებული

ესნანატრი დღეც დადგა, **ლეო მესი** შანხაიში ჩაფრინდა. "ბარსელონის" ვარსკვლავი დღეიდან არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მოემზადება. ლეო ჩინეთში ჩვენი დროით გვიან ღამით ჩაფრინდა. აეროპორტში მას რამდენიმე ათეული ჩინელი ფანი დახვდა. რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი ავტოგრაფზე ნადირობდა. ლეომ არავის აწყენინა და ავტოგრაფები გულუხვად დაარიგა. ამის შემდეგ ის სასტუმროში წავიდა და თანაგუნდელები მოინახულა.

მესიმ ჩინეთისკენ გეზი ფლორენციიდან აიღო. მოგეხსენებათ, იტალიაში "ბარსელონა" ამხანაგურ შეხვედრაში "ფიორენტინას" დაუპირისპირდა. როგორც კი გაირკვა, რომ ფიფამ კატალონიურ გრანდს მესის ოლიმპიადაზე გაშვება უბრძანა, სამხრეთამერიკელი უმალ აეროპორტში წავიდა. **ჟოან ლაპორტასა** და **ჩიკი ბეგირისტაინის** გადაწყვეტილებით "ბარსას" ფეხბურთელს კლუბის ერთ-ერთი მწვრთნელი **პეპ კოსტა** გააყოლეს. ესპანელი ჩინეთში მანამ დარჩება, სანამ სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალი პირენეელთა სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას არ მიიღებს. სენიორ კოსტა არგენტინელთა ვარჯიშს საგულდაგულოდ დააკვირდება. იმ შემთხვევაში, თუ მესის მეტისმეტად დიდ დატვირთვას მისცემენ, საგანგებო ემისარი ერთ ამბავს ატეხს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ლეო "ალბისელესტეს" ვადამდე დაემშვიდობოს. ძნელი სათქმელია, სენიორ კოსტას ამის უფლება ვინ მისცა, თუმცა კატალონიური გრანდის მესვეურები ამტკიცებენ, რომ ეს კაცი ჩინეთში სწორედ არგენტინელების გასაკონტროლებლად გაუშვეს.


ლიონელ მესი შანხაის აეროპორტში

მესის ჩასვლამდე "ალბისელესტემ" საკმაოდ ნაყოფიერი ვარჯიში ჩაატარა. არგენტინელებს სავარჯიშო მოედანი შანხაის გარეუბანში, საკმაოდ მშვიდ უბანში გამოუყვეს. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების სტუმრობამ ჩინელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ არგენტინის ოლიმპიური ნაკრების ვარჯიშს 20 ათასი ადამიანი დაესწრო. ბუნებრივია, გულშემატკივრები ყველაზე მეტად სწორედ მესის ელოდებიან, თუმცა პირველ ვარჯიშზე ისინი **ხუან რომან რიკელმეს** ცქერით ტკბებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ლეოს თავად ფეხბურთელებიც მოუთმენლად ელოდებიან. "ალბისელესტეს" მეკარე **ოსკარ უსტარიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, მესის გარეშე არგენტინა ოლიმპიადაზე ვერ გაიმარჯვებდა, მესისთან ერთად კი უდავო ფავორიტები ვართო. ლიონელის ჩინეთში ჩასვლით უკლებლივ ყველა ფეხბურთელი კმაყოფილი და ბედნიერია, თუმცა გამორიცხული არ არის, ამ ბედნიერებამ ძალიან ცოტა ხანს გასტანოს...

როგორც იცით, ფიფას გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა ჟოან ლაპორტამ "ბარსელონის" ინტერესების დაცვის მიზნით სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალში სარჩელი შეიტანა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით მესის განცხადების ფრაგმენტს გაგაცნობთ: *"მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ოლიმპიადაზე თამაში მსურს, თუმცა ეს საკითხი დიდი დაპირისპირების მიზეზი გახდა. სამწუხაროა, რომ მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და საქმეში ფიფას ჩარევა გახდა საჭირო. თუ გახსოვთ, მაშინვე ვთქვი, ფიფა როგორც გადაწყვეტს, ისე მოვიქცევი-მეთქი. ასეც მოხდა, შვეიცარიაში თქვეს, მესიმ უნდა ითამაშოსო და მეც წამოვედი... მაგრამ ახლა სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადაწყვეტილებას ველოდები. თუ ეს ორგანო "ბარსელონას" გაამართლებს, კანონს დავემორჩილები და იმ დღესვე ჩემს კლუბში დავბრუნდები. იმედია, ყველა კარგად გამიგებს. ძალიან რთულ მდგომარეობაში ვარ, რადგან ორად ვიხლიჩები. რა ვქნა, ოლიმპიადაზე თამაში ჩემი ოცნება იყო. მე არგენტინელი ვარ და ჩემს ქვეყანას ვჭირდები. დარწმუნებული ვარ, ჩემი გადაწყვეტილებით "ბარსას" გულშემატკივრები გაბრაზებული იქნებიან, მაგრამ იმედი მაქვს, ემოციები დაცხრება და ყველაფერს სწორად გაიგებენ."*

როგორც ჩანს, ახლა ყველაფერი სპორტის საარბიტრაჟო ტრიბუნალზეა დამოკიდებული. ლაპორტა დარწმუნებულია, რომ აღნიშნული ორგანიზაცია "ბარსელონას" გაამართლებს. განხილვის დღე ჯერ არ ხმაურდება, მაგრამ ცხადია, რომ საქმე დიდხანს არ გაიწელება. საინტერესოა, როგორი რეაქცია ექნებათ არგენტინელებს, თუ მესი "ბარსელონაში" მართლა დაბრუნდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

სპეკულაციები

# გადავიდა თუ არა ვან დერ ვაარტი რეალში?

ესპანურ პრესაში **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ტრანსფერთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. "დიარიო მარკას" ვებ-გვერდზე შავით თეთრზე ეწერა: სანდო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ჰოლანდიელი სამეფო კლუბმა 12 მილიონ ევროდ გადაიბირაო. მადრიდული გაზეთის სტატიაში გარიგების დეტალებზეც იყო საუბარი. კერძოდ, ითქვა, რომ რაფაელმა 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და ყოველ სეზონში 3,2 მილიონ ევროს მიიღებს. ერთი შეხედვით, ყველაფერი გადაწყდა, მაგრამ "დიარიო მარკას" კონკურენტი "დიარიო ასი" აბსოლუტურად საპირისპირო ინფორმაციას ავრცელებს. ამ გამოცემის მტკიცებით, ვან დერ ვაარტი "რეალში" არ გადასულა, თუმცა მოლაპარაკებები ინტენსიურად მიმდინარეობს. სტატიაში ერთ საინტერესო ამბავსაც ვკითხულობთ. თურმე, რაფაელს "ფლაი ემირიტსის თასზე" ტურნირზე თამაში არ სურს, რადგან მადრიდის "რეალთან" დაპირისპირებას არიდებს თავს. ფეხბურთელის აგენტი ამ გადაწყვეტილებას ასე განმარტავს: *"ჩემი კლიენტი დარწმუნებულია, რომ უახლოეს მომავალში "რეალის" წევრი გახდება. ამიტომ მისი მომავალი კლუბის წინააღმდეგ თამაში გაუმართლებლად მიაჩნია. მოლაპარაკების დეტალებს ვერ გავახმაურებ, თუმცა შემიძლია გაგიმხილოთ, რომ რაფაელს "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგების მშვენიერი შანსი აქვს."*

როცა ორი ავტორიტეტული მადრიდული გამოცემა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტებს ამტკიცებს, თბილისიდან ჭეშმარიტების დადგენა ძალიან რთულია. ჯობია, ცოტა ხანს მოვიცადოთ და ყველაფერი გამოჩნდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**


რაფაელ ვან დერ ვაარტი

ტრანსფერი

# ვილა ბერის აღარ გაყიდის?

ხუთშაბათ საღამოს "ასტონ ვილამ" ოფიციალურად განაცხადა, რომ **გარეთ ბერი** ბირმინგემულ კლუბში დარჩება. სწორედ ამ დღეს ამოიწურა "ლივერპულისათვის" მიცემული ვადა. თუ მერსისაიდელებს ნახევარმცველის შეძენა სურდათ, ხუთშაბათამდე 18 მილიონი გირვანქა უნდა შეეთავაზებინათ. "ლივერპულმა" მოთხოვნა ვერ შეასრულა. "ასტონ ვილა" მოლაპარაკებების გაგრძელებას აღარ აპირებს.

პრემიერლიგის პირველი ტური კარსაა მომდგარი. ბირმინგემელთა თავკაც **მარტინ ონილს** სამუშაოზე კონცენტრირებული შეგირდები სჭირდება. ბერი მისი გუნდის საკვანძო ფეხბურთელია. ახალ სეზონში ბირმინგემელებმა თამაში ამ ბიჭზე უნდა ააწყონ. გარეთის ტრანსფერთან დაკავშირებული გაურკვევლობა კლუბის მზადებაზე უარყოფითად მოქმედებს. ონილმა ამ გაურკვევლობას წერტილი დაუსვა. ფეხბურთელი "ვილა პარკზე" დარჩება.

"ლივერპულს" კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. ბერის "ენფილდზე" გადასვლა იმიტომ სურდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ეთამაშა. მარტინ ონილი ახალ სეზონს დიდ იმედებს უკავშირებს. ის ოთხეულში მოსახვედრად აპირებს ბრძოლას. მისმა გუნდმა შარშანდელი პირველობა მეექვსე ადგილზე დაასრულა. ონილს მიაჩნია, რომ ბერის ოცნების ასრულება ბირმინგემშიც თავისუფლად შეუძლია.

მიმომხილველები საკითხს ამოწურულად ჯერაც არ თვლიან. "ლივერპულმა" 18 მილიონი შეიძლება მაინც გამონახოს. გასათვალისწინებელია გარეთ ბერისა და მარტინ ონილს შორის გართულებული ურთიერთობაც. როდესაც "ვილის" კაპიტანმა საჯაროდ განაცხადა, "ლივერპულში" თამაში მსურსო, გუნდმა ის ერთი კვირის ხელფასით დააჯარიმა. ბერის ჯარიმა მთავარი მწვრთნელის მოთხოვნით გამოუწერეს.


გარეთ ბერი

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის კენჭისყრა

# აგირე შალკეს უფრთხის

## გვარდიოლას ბეითარი სასაცილოდაც არ ჰყოფნის

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდის კენჭისყრამ მადრიდის "ატლეტიკოს" საკმაოდ ძლიერი მეტოქე არგუნა. ესპანელებს გერმანული "შალკე" დაუპირისპირდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "როხიბლანკოს" მესვეურები წილისყრით სასოწარკვეთილი დარჩნენ. დედაქალაქელებმა გასულ სეზონში თავი დადეს იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგაში ეთამაშათ, მაგრამ მეოთხე ადგილზე მაღალი პოზიცია მაინც ვერ დაიკავეს. დაგვეთანხმებით, "შალკესა" და "ატლეტიკოს" წყვილში ფავორიტი არ არსებობს. არავინ იცის, ბედი ვის გაუღიმებს და ვინ მოხვდება ჯგუფურ ეტაპზე. "როხიბლანკოს" მთავარი მწვრთნელი **ხავიერ აგირე** უკმაყოფილებას არ მალავს, თუმცა გულშემატკივრებს არწმუნებს, რომ გერმანელების არ ეშინია: *"კარგი იქნებოდა, კენჭისყრას უფრო იოლი მეტოქე ერგუნებინა. არ დავმალავ, რომ "შალკე" ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქე იყო. ვიქნები ობიექტური და ვიტყვი, რომ შანსები აბსოლუტურად თანაბარია. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თუ არ გავალთ, გასული სეზონის მთელი წვალება წყალში ჩაიყრება. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ "შალკესი" მეშინია. უბრალოდ, გულწრფელად ვამბობ, რომ ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავს. მაგრამ თუ მაინცდამაინც შიშზეა საუბარი, გერმანელებს უნდა ეშინოდეთ ჩვენი. დარჩენილ მცირე დროს მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოვიყენებთ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები."*

ხავიერ აგირესგან განსხვავებით, **ენრიკე სერესო** საკმაოდ კარგ ხასიათზეა. მადრიდელთა პრეზიდენტი გერმანულ კლუბს ჯეროვნად აფასებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მომდევნო ეტაპზე მისი გუნდი გავა: *"წინ ძალიან დიდი ნერვიულობა გველის. არ დავმალავ, "შალკეს" სხვა მოწინააღმდეგე მერჩივნა, მაგრამ რადგან განგებამ ასე გადაწყვიტა, ვალდებული ვართ, ბედს შევეგუოთ. ეს ისეთი წყვილია, იოლად ვერავინ ვერაფერს მიაღწევს. ბოლო წუთამდე დაძაბული ვიქნებით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, "ატლეტიკოს" ფეხბურთელები უკეთესად ითამაშებენ და ჯგუფური ეტაპის საგზურს მოიპოვებენ."*


ხოსეპ გუარდიოლა

"ატლეტიკოსთან" შედარებით, "ბარსელონას" უფრო მეტად გაუმართლა. კატალონიური გრანდის მეტოქე ებრაული "ბეითარი" იქნება. ფავორიტის დადგენას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. სასწაული უნდა მოხდეს, რომ კატალონიელები ჯგუფში ვერ მოხვდნენ. კენჭისყრის შედეგს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში **პეპ გვარდიოლა** გამოეხმაურა: *"სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულ ერთი იყო, ვინ შეგვხვდებოდა. "ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის მოგებას აპირებს და ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება უნდა შეძლოს. მე ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ საკვალიფიკაციო რაუნდში დიდ წინააღმდეგობას არ ველოდები. ჯგუფურ ეტაპზე უპრობლემოდ გავალთ. მთავარია, ახალ სეზონს კარგად მომზადებული შევხვდეთ, რომ უსიამოვნო სიურპრიზების მსხვერპლი არ გავხდეთ."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბუნდესლიგა. ყოველწლიური წინასასეზონო მიმოხილვა. დორტმუნდი და შალკე

# ბასლერი: კლოპი თეთრი ობამაა

## რაფინიას კი ყური უნდა აუწიონ

### შალკე მარიოს თვალით

**ძირითადი შემადგენლობა:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი (ან კობიაშვილი), ჯონსი, ერნსტი, ენგელაარი, ჰალილ ალთინთოფი, კურანი, ფარფანი.

**მწვრთნელი:** ფრედ რუტენი (45 წლის)

**მიზანი:** ჩემპიონთა ლიგის საგზური, ჩემპიონობა.

**წინა სეზონები:** 2008: მე-3 ადგილი; 2007 წელი: მე-2 ადგილი; 2006 წელი: მე-3 ადგილი.

**პირველი სამი მატჩი:** ჰანოვერი (შინ), ვერდერი (სტუმრად), ბოხუმი (შ)





### დორტმუნდი მარიოს თვალით

**ძირითადი შემადგენლობა:** ვაიდენფელერი, რუკავინა, სუბოტიჩი, ჰუმელსი, დედე, კელი, ტინგა, ბლაშჩიკოვსკი, ჰაინალი, ფრაი, პეტრიჩი.

**მწვრთნელი:** იურგენ კლოპი (41 წლის)

**მიზანი:** საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა

**პირველი სამი მატჩი:** ლევერკუზენი (სტუმრად), ბაიერნი (შინ), კოტბუსი (ს)

მარიო ბასლერი, ბილდი

ვფიქრობ, დასაწყისი ყოველთვის ყველაზე საინტერესო უნდა იყოს. პირველივე წერილი ძალიან დამაინტრიგებელი უნდა გამომივიდეს. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ გახსნით მიმოხილვაში ორ ისეთ კლუბზე ვისაუბრო, რომლებიც ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ემტერებიან - საუბარია დორტმუნდის "ბორუსიაზე" და გელზენკირხენის "შალკეზე".

საყვარელო შალკელებო, მინდა, თავიდანვე დაგამშვიდოთ და გითხრათ: საშიში არაფერია, მიუხედავად უდიდესი ეიფორიისა, "დორტმუნდი" თქვენს საყვარელ კლუბს ისევ ვერ აჯობებს და მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გავა, მაგრამ თქვენც სულ ტყუილად ოცნებობთ იმაზე, რომ ნახევარსაუკუნოვანი ტრადიცია დაირღვევა და "შალკე" გერმანიის ჩემპიონი გახდება. მოდით, ვალიაროთ, რომ ეს არ მოხდება - გელზენკირხენული კლუბი, ჩემი აზრით, მეორე ადგილს დაიკავებს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშს გაინაღდებს, რაც წელს ჯერ კიდევ არ აქვს განაღდებული.

ფაქტია, რომ ამ განცხადებით დორტმუნდელები ძალიან გავანაწყენე და ახლა "ბორუსიის" ქომაგებსაც გამოვუსწორებ ხასიათს: თავები მაღლა! დღესდღეობით გერმანიაში ყველას შურს იმის, რომ **იურგენ კლოპი** "დორტმუნდის' თავკაცი გახდა. დამერწმუნეთ, შალკელებიც კი შურით სკდებიან, რადგან კლოპი მართლაც გრანდიოზული მწვრთნელია.

მეტსაც გეტყვით: იურგენი გერმანიაში იმდენად პოპულარული მწვრთნელია, რომ ამას წინათ მას მესამე ბუნდესლიგის კლუბის, "პადერბორნის" მთავარმა მწვრთნელმა "ვინმე" **დოჩევმაც** კი ჩამოართვა ავტოგრაფი. და არ გაინტერესებთ, ვისთვის უნდოდა კლოპის ხელმოწერა? საკუთარი ცოლისთვის!!!

კიდევ უფრო შორს წავალ და თამამად განვაცხადებ, რომ ჩვენი საყვარელი "კლოპო", დიახ, ჩვენი საყვარელი "კლოპო" ჩემთვის იგივე **ბარაკ ობამაა,** ოღონდ თეთრი, რა თქმა უნდა.

ისევე როგორც დიდ ობამას, კლოპსაც ყველა იმედის თვალით უყურებს, მასში მხსნელს ხედავენ. თანაც, ორივე შარმიანია, ორივე იდეალია. დორტმუნდელები კი კლოპით უკვე ისე არიან ალფრთოვანებულები, რომ სახელგანთქმულ სამხრეთ ტრიბუნაზე მაშინაც კი ზეიმს იწყებენ, როცა იურგენი სათვალის წმენდას იწყებს.

თამამად ვიტყვი იმასაც, რომ "დორტმუნდის" სახით, კლოპი იმ გუნდში მოხვდა, სადაც უნდა მუშაობდეს. იქ თითქოს ყველაფერი მისთვისაა შექმნილი. სხვათა შორის, მისვლის დროც ზედმიწევნით ზუსტია: **კრისტიან ვიორნსი** წავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ "ბორუსიას" მომავალ სეზონში, ძირითად შემადგენლობაში ისევ 11 ფეხბურთელი ეყოლება და არა 10.

გასულ სეზონში დორტმუნდელთა დაცვის ცენტრი ვიორნსთან და მის მეგობარ **რობერტ კოვაჩთან** ერთად, აბსოლუტურად ყველასათვის დაცინვის ნომერ პირველი ობიექტი იყო. სამაგიეროდ, ახლა "ბორუსიას" უკანა ხაზში საბავშვო ბაღი აქვს გახსნილი: **ნევენ სუბოტიჩი, მატს ჰუმელსი** - ორივე მათგანი 19 წლისაა. მომავალ სეზონში ვესტფალიელები სამ ფრონტზე (ბუნდესლიგა, გერმანიის თასი, უეფას თასი) იბრძოლებენ და მაინც არა მგონია, რომ სუბოტიჩი-ჰუმელსის დუეტი საკმარისი იყოს. შესაბამისად, არა მგონია, რომ ეს გუნდი საუკეთესო ხუთეულში მოხვდეს, მაგრამ არა უშავს, რაც მთავარია, ბებერი მცველები აღარ ჰყავს.

ფეხბურთელი, რომელიც დორტმუნდის "ბორუსიაში" ყველაზე მეტად მომწონს, "კარლსრუედან" გადმოყვანილი გამთამაშებელი **ტამაშ ჰაინალი** გახლავთ. ამ ბიჭს ფეხბურთის თამაშის დროს თავში იმდენი იდეა მოსდის, რომ თმები ყალყზე მიდგება ხოლმე. როგორც ჩანს, დორტმუნდის გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** ეს ფეხბურთელი მაშინ იყიდა, როცა სპორტულ დირექტორ **მიხაელ ცორკს** გამოსასვლელი დღე ჰქონდა...

ცორკ, ჩემო საყვარელო მეგობარო... ბოლო დროს მაგარი აჭრილი ხარ. ყველამ ერთად განვსაჯოთ: ამ კაცმა დაცვის მარჯვენა ფლანგისთვის იყიდა ფეხბურთელი, რომელსაც ორივე ფეხი მარცხენა აქვს! ცხადია, **პატრიკ ოვომოიელას** ვგულისხმობ და ამ მოთამაშეში 2.5 მილიონი ევრო გადაიხადა. განა ამდენი ფული აქვს სამი წლის წინათ გაკოტრების პირას მისულ გუნდს, რომ ესეთ ფეხბურთელებში ორნახევარი მილიონები იხადოს?

აი, "შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი** კი აზრზე მოვიდა. ალბათ ერთ დღესაც, როდესაც უნიტაზზე იჯდა და ფიქრობდა, მიხვდა, რომ სხვა გზა უნდა აერჩია. მიხვდა იმიტომ, რომ ზამთარში სამხრეთი ამერიკიდან ნაყიდმა ვაი-ფეხბურთელებმა - **სანჩესმა, გროსმიულერმა** და ვიღაც **"ზე რობერტო მეორემ"** არა მხოლოდ იმედები ვერ გაამართლეს, არამედ საერთოდ ვერაფერი გაახერხეს და დღესაც "შალკე" ამ სამეულს ხელფასს სულ ტყუილად უხდის.

ჰოდა, მიულერმაც დიდი კაცის, **რუდი ასაუერის** პოლიტიკა გაიხსენა: ფულს ხელი დაავლო, ჰოლანდიაში გაქუსლა და იქიდან ორი ძალიან მაგარი ტიპი ჩამოიყვანა.

5.5 მილიონი ევრო **ორლანდო ენგელაარის** სანაცვლოდ, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე იდეალურად წარმოჩინდა. ენგელაარი ჩინებული ნახევარმცველია, რომელსაც შუა ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია ასპარეზობა, მაგრამ მაინცდამაინც სწრაფი არ არის. ეს არცაა გასაკვირი, როცა სიმაღლეში თითქმის 2 მეტრი ხარ, სწრაფი ვერ იქნები.

10 მილიონი **ჯეფერსონ ფარფანის** სანაცვლოდ. ახლა ეს ფეხბურთელი უკვე ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული შალკელია. ჰოლანდიაში მას თავის დროზე "ფან-ფანი" (Fun-Fun) შეარქვეს. როცა გუნდში ასეთი თავდამსხმელი გყავს, ჩათვალე, რომ შეტევაში მუდმივად ხალისიანი განწყობა იქნება. ხოლო საფინალო სასტვენის შემდეგ კი, მას გაცილებით "ხალისიანი" ღამე ექნება. ფარფანს ღამის ცხოვრება უფრო უყვარს, ვიდრე დღისა. გაიხსენეთ, ამას წინათ პერუს ნაკრებიდან იმის გამო მოკვეთეს, რომ გაგლეჯილი მთვრალი ნახეს. სკანდალები მუდმივად თან ახლავს: ამას წინათ ჟურნალისტს პირდაპირ ეთერში სცემა და როგორც ირკვევა, უკანონო შვილებიც მრავლად ჰყავს (!).

ასეთ დროს მწვრთნელზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული და ძალიან მაინტერესებს, როგორ აულებს ალღოს **ფრედ რუტენი** იმ დიდ წნეხს, რაც "აუფ შალკეზე" ყოველთვის სუფევს. როგორც გავიგე, დისციპლინის ფანატიკოსი, დიდი ტაქტიკოსი და წარმატებული სპეციალისტი ყოფილა. აგერ, "ტვენტე" ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა. ახლა კი, თავისი ძლევამოსილება "შალკეში" უნდა დაამტკიცოს, რაც 50 წელია, ვერც ერთმა მწვრთნელმა ვერ მოახერხა!

ასე ვიტყოდი: ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, მადრიდის "ატლეტიკოსთან" ჩასატარებელი ორი მატჩი გაარკვევს, როგორი სეზონი ექნება "შალკეს" და რის მაქნისია რუტენი. გაიყვანს გუნდს ჩემპიონთა ლიგაში? ასეთ შემთხვევაში "დიდი რუტენი" გახდება. ვერ გაიყვანს? ცუდად წაუვა საქმე! არ ვიცი, მოახერხებს თუ არა ამას...

სამაგიეროდ, ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: **რაფინიას** ყურს აუწევენ. მართალია, მისი ოლიმპიადაზე გაშვება-არგაშვების საკითხში მიულერიც ცუდად მოიქცა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლოს ყველა პატარა ბრაზილიელზე ბრაზობს, რომელსაც პეკინის თამაშებში მონაწილეობის მიღება ძალიან უნდა.

ბიჭო, რაფინია, ძალიან კარგად მესმის შენი. ოლიმპიადაზე თამაში ძალიან მაგარი რამეა. მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ შენ "შალკეში" თამაშობ, სადაც ასეთ რამეს არ გაპატიებენ. როდესაც დაბრუნდები, ვარჯიშზეც კი მეტოქეების წინააღმდეგ მოგიწევს ბრძოლა.

ლევერკუზენი

# ლაბადია: კაპიტანი როლფესია!

მომავალ სეზონში ლევერკუზენის "ბაიერის" კაპიტანი საყრდენი ნახევარმცველი **სიმონ როლფესი** იქნება. ეს გადაწყვეტილება, "ფარმაცევტების" მთავარმა მწვრთნელმა **ბრუნო ლაბადიამ** გუშინ გაახმაურა. გადაწყვეტილება ლაბადიას არ მიუღია. მან როლფესის კანდიდატურა გუნდის საბჭოს წარუდგინა და ახალგაზრდა ნახევარმცველი, რომელმაც გერმანიის სახელით ევროპის ჩემპიონატზეც იასპარეზა, სწორედ ამ საბჭომ დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ როლფესს გასულ სეზონშიც ძალიან ხშირად ემოსა კაპიტნის სამკლაური, რადგან **კარსტენ რამელოვი** და **ბერნდ შნაიდერი** ხშირად ტრავმირებულები იყვნენ.

რამელოვმა აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა. როლფესის შემცვლელი ცენტრალური მცველი **მანუელ ფრიდრიხი** იქნება. მესამე კაპიტანი



ლევერკუზენის ახალი კაპიტანი სიმონ როლფესი

**რენე ადლერია**, მეოთხე კი, შვეიცარიელი გარემარბი **ტრაკუილიო ბარნეტა**.

სიმონ როლფესი ბოლო დროს "ლევერკუზენის" ერთ-ერთი ლიდერი და უმთავრესი ფიგურა გახდა. მან ევროპის ჩემპიონატზეც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. 2007/08 წლების სეზონში როლფესმა ბუნდესლიგაში ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და 8 გოლი გაიტანა (3 პასი). "კიკერმა" მისი თამაში მთელ სეზონში 2.93 ბალით შეაფასა, რითაც როლფესი მე-9 ადგილზე გავიდა. როგორც ხედავთ, მისი პროგრესი აშკარა.

გერმანია

# ბუნდესლიგის მორიგი რეკორდი

## წლიდან წლამდე გერმანიის ჩემპიონატს უფრო და უფრო მეტი მაყურებელი ესწრება

გერმანიის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირაა დარჩენილი, მაგრამ ბუნდესლიგის კლუბებმა სეზონური აბონემენტების გაყიდვით უკვე ახალი რეკორდი დაამყარეს და ცნობილია, რომ მომავალ სეზონში გერმანიის ჩემპიონატის მატჩებს უფრო მეტი მაყურებელი ეყოლება, ვიდრე ოდესმე ჰყოლია. ამასთან ერთად, ისიც უნდა შევახსენოთ, რომ ბუნდესლიგაში აქამდეც ყველა სხვა ევროპული ქვეყნის ჩემპიონატებზე უკეთესი დასწრება იყო.

გუშინდელი მონაცემებით, გაყიდულია 406 290 სეზონური აბონემენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ბუნდესლიგის ახალი რეკორდია და აქვე ისიც უნდა შევახსენოთ, რომ შარშანდელი მაჩვენებელიც რეკორდი იყო და შარშანწინდელიც. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ გერმანია სეზონიდან სეზონამდე ახალ რეკორდებს ამყარებს. შარშანდელთან შედარებით, მაჩვენებელი უკვე 30 000 აბონემენტითაა გაზრდილი და ცხადია, ამ ორ კვირაში კიდევ გაიზრდება.

*"ეს მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. ახალი რეკორდი იმის მაუწყებელია, რომ ხალხი კიდევ უფრო დაძაბულ და საინტერესო სეზონს ელოდება. ჩვენ ისედაც ყველაზე დასწრებადი ლიგა გვაქვს ევროპაში და მიუხედავად ამისა, წლიდან წლამდე შედეგებს ვაუმჯობესებთ. მომავალ სეზონში ყველა სტადიონი ყველა მატჩზე გადაჭედილი უნდა იყოს,"* - აცხადებს გერმანიის საფეხბურთო ლიგის მენეჯერი **ტომ ბენდერი**.

აღსანიშნავია, რომ გერმანული კლუბების დიდმა ნაწილმა აბონემენტების გაყიდვა უკვე შეაჩერა, რათა იმ ქომაგებსაც დაუტოვოს შანსი, რომლებიც აბონემენტს არ ყიდულობენ და ბილეთების მიღების იმედი აქვთ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# ფერარი? რეალურია

## ტრავმების კრიზისი გრძელდება: ვიეირაც ლაზარეთში



მატეო ფერარი

**"ინტერმა" მატეო ფერარის** შეძენა გადაწყვიტა. "რომას" ან უკვე ყოფილი მცველი თავისუფალი აგენტია. ეს-ესაა მან კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა. ამდენად, "ნერაძურის" დიდი დრო არ უნდა დასჭირდეს ტრანსფერის გასაჩარხად. საკმარისია, ფეხბურთელს ხელსაყრელი პირობები შესთავაზოს და ყველაფერი რიგზე იქნება.

ფერარიმ "ინტერის" დაცვაში არსებული ბზარები უნდა ამოავსოს. მოგეხსენებათ, **ივან კორდობა, ვალტერ სამუელი** და **კრისტიან კივუ** მწყობრში ჯერაც არ ჩამდგარან. "ტროფეო ტიმის" სამთა ტურნირის დროს დაშავდა **მარკო მატერაციც** და **ჟოზე მოურინიო** იძულებული გახდა, დაცვის ცენტრში **ესტებან კამბიასო** გაეესროლა. მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება, მოურინიო მუდმივად ფორსმაჟორში ვერ იმუშავებს...

რაც შეეხება პირობებს, რომელსაც "ინტერი" ფერარის შესთავაზებს. საუბარია წლიურ 2 მილიონ ევროზე, კონტრაქტი კი 3-წლიანი იქნება. შედარებისთვის, "რომაში" ფეხბურთელი 1.8 მილიონს იღებდა. ცხადია, ფინანსური კუთხით, ფერარი უკმაყოფილო არ უნდა იყოს. თუმცა კონსულტაციები გრძელდება. ფეხბურთელის აგენტი **ჯანი კურჩი** ადასტურებს, რომ "ნერაძურის" მესვეურებს უკვე შეხვდა და გარკვეული საკითხებიც შეაჯერა, თუმც იქვე აცხადებს, რომ მინიმუმ ერთი შეხვედრა კიდევ შედგება. არ არის გამორიცხული, სწორედ მეორე ცდაზე მოგვარდეს ფერარის ინტერული ტრანსფერი.

ყოველი შემთხვევისთვის, ჩემპიონებს სათადარიგო ვარიანტიც აქვთ. "ინტერი" რუმინელ მცველ **მირელ რადოისაც** უკირკიტებს. რადოი ეროვნული ნაკრების წევრია და ახლახან ევროპის ჩემპიონატზეც ითამაშა. ის 27 წლისაა და ბოლო 8 სეზონის განმავლობაში "სტიაუას" ღირსებას იცავს. ბუქარესტულ გრანდში მას 200-მდე მატჩი აქვს ჩატარებული. მისი თანამემამულე კივუსი არ იყოს, რადოიც უნივერსალია. მას დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში, ფლანგზეც და საყრდენ ნახევარმცველადაც.

ამასობაში, მოურინიომ კიდევ ერთი ცუდი ამბავი შეიტყო. **პატრიკ ვიეირაც** დაშავდა, თან სერიოზულად. მართლაც და, ვიეირას საშინლად არ უმართლებს. ტრავმის გამო, მას თითქმის მთელი გასული სეზონი გაუცდა. ახლაც, ერთ-ერთ ვარჯიშზე, ფრანგს მარცხენა ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. ეს იმ ტრავმის რეციდივია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე თავის გამოჩენის საშუალება არ მისცა. მერე გამოკეთდა და "ინტერთან" ერთად ვარჯიშსაც შეუდგა, მაგრამ აი, კვლავ უიღბლობა.

გაირკვა, რომ ვიეირას მინიმუმ ერთი თვე გაუცდება. ერთ თვეში კი ჩემპიონატი იწყება. ნახევარმცველი იმედს არ კარგავს, რომ ყველაფერი კარგად იქნება და სერია A-ს დაწყებას როგორმე მზადყოფნაში შეხვდება. თუმცა ექიმები უფრო პესიმისტურ პროგნოზს აკეთებენ. უკეთეს შემთხვევაში, ვიეირა "კატანიასთან" მეორე ტურის (14 სექტემბერი) მატჩისთვის დაბრუნდება. არ არის გამორიცხული, პატრიკს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურიც გაუცდეს.

მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

ინტერვიუ იკერ კასილიასთან

# შუსტერი არც ესპანელია და არც გერმანელი...

**ე**რთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამ ერთ თვეში "სელექსიონში" დიდი ცვლილება მოხდა. ეროვნული გუნდი ვისენტე დელ ბოსკემ ჩაიბარა. პირინეელები ამ კაცს კიდევ უფრო დიდ იმედებს უკავშირებენ და "რეალის" ყოფილი მთავარი მწვრთნელისგან 2010 წლის მუნდიალზე გამარჯვებას მოითხოვენ. ოპტიმიზმი ესპანეთის ნაკრების კაპიტანს იკერ კასილიასსაც არ აკლია, მაგრამ ის მიიჩნევს, რომ მსოფლიო პირველობაზე გამარჯვება გაცილებით რთული იქნება და ამ მიზნის მისაღწევად სენიორ დელ ბოსკესგან სასწაულს ელის. გუშინ იკერი "დიარიო მარკას" კორესპონდენტს გაესაუბრა. ინტერვიუ მრავლისმომცველი გამოვიდა, ამიტომ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ.

**- იმ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი რამდენჯერ ნახეთ, როცა ევროპის თასი ალმართეთ?**

- ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ. ამ ეპიზოდს ვერასოდეს დავივიწყებ. ძალიანაც რომ მინდოდეს, თავიდან მაინც ვერ ამოვიგდებ. გაზეთს გადაშლი, ტელევიზორს ჩართავ თუ ინტერნეტში შეხვალ, ყველგან ეს კადრი გხვდება. გავოგნდი, როცა ტურ დე ფრანსის გამარჯვებულის კარლოს სასტრესადმი მიძღვნილ კლიპში იკერ კასილიასი და ისევ და ისევ ევროპის თასი ფიგურირებდა. შემდეგ დავფიქრდი და მივხვდი, რომ ჩვენ მართლაც ისტორიულ წარმატებას მივაღწიეთ. ესპანეთი ამ დღეს თითქმის ნახევარი საუკუნე ელოდა. ასე რომ, აქ გასაკვირი არაფერია.



**- ნაკრებიდან "რეალში" დაბრუნების შემდეგ თანაგუნდელები როგორ შეგხვდნენ?**

- მოგეხსენებათ, კონტინენტის პირველობაზე სამეფო კლუბს მხოლოდ მე და სერხიო რამოსი წარმოვადგენდით. თანაკლუბელებმა ძალიან თბილად მიგვილეს და ყველაფერი დეტალურად გამოგვკითხეს. იმდენი მალაპარაკეს, ბოლოს ენა დამელალა. დაახლოებით ერთი კვირა ევროპის ჩემპიონატის პერიპეტიებს ვიხსენებდი. კიდევ კარგი, სერხიო რამოსი მეხმარებოდა, თორემ დაღლილობით მოვკვდებოდი.

**- კანავაროს ხომ არ დასცინეთ?**

- ასეთ დროს დაცინვა არაადამიანობაა და სხვა არაფერი. დარწმუნებული ვარ, ფაბიომ მეოთხედფინალში მარცხი ძალიან განიცადა. ტრავმის გამო მან ვერ ითამაშა და ეს ორმაგად მტკივნეული იყო. კანავარო ჩვენი მეგობარია, მტერი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, დავცინებდით და მასხრად ავიგდებდით, თუმცა გამოგიტყდებით, ძალიან მსიამოვნებს, რომ ესპანეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონები დაამარცხა. ჩვენ უძლიერესი გუნდი გვყავს.

**- მაინტერესებს, რაულმა რა გითხრათ.**

- პირველად რაულმა მომილოცა და მითხრა, ესპანეთის ეროვნული გუნდის ფანტასტიკური თამაშით განუზომელი სიამოვნება მივიღეო. ბევრი ამბობდა, რომ "რეალის" კაპიტანი "სელექსიონში" ადგილის დაკარგვის გამო დაიბოლმა და ესპანეთის მოწინააღმდეგეებს ქომაგობდა. არ მინდა ხმაურიანი და შეურაცხმყოფელი განცხადება გამომივიდეს, მაგრამ ვინც ამას ამტკიცებს, სრული უმეცარი და იდიოტია. ეჭვი არ მეპარება, რომ ტელევიზორთან მჯდარი რაული ჩვენზე არანაკლებ ნერვიულობდა. არ მეგულება ესპანელი, რომელსაც ჩვენი წარმატება არ გახარებია. ასეთ დროს პირადი წყენა არავის ახსენდება, რა თქმა უნდა, თუ ადამიანს ჯანსაღი ფსიქიკა აქვს.

**- შუსტერი როგორ ხასიათზე დაგხვდათ?**

- ჩვენს მწვრთნელს რომ ვუყურებ, ვერ ვხვდები, ესპანელია თუ გერმანელი. ბერნდმა მითხრა, ფინალში ორივე გუნდს ვგულშემატკივრობდიო. მიჭირს მას გავუგო. ალბათ, შენი ქვეყნის გარეთ დიდხანს არ უნდა იცხოვრო, თორემ ნაციონალობას დაკარგავ. გეფიცებით, შუსტერი არც ესპანელია და არც გერმანელი, ის ეროვნებადაკარგული კაცია. ეს ალბათ, ძალიან უცნაურ გრძნობასთან არის დაკავშირებული.

### ფინალის შემდეგ რომ არ მეღრიალა, გული გამიჩერდებოდა

**- ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული ფენომენალური წარმატების შემდეგ, "რეალში" დაბრუნება და ახალი სეზონისთვის მზადება არ დაგეზარათ?**

- გულწრფელად გითხრათ, არა. კლუბის ხელმძღვანელობამ შვებულებისთვის ოთხი კვირა მომცა. ეს ოთხი კვირა ნაყოფიერად გამოვიყენე. ფეხბურთზე საერთოდ არ ვფიქრობდი, ჟურნალისტებს არ ვენახვებოდი და ოჯახის წევრებთან ერთად ვისვენებდი. დედაჩემი ასეთი ბედნიერი დიდი ხანია არ მინახავს. შვილთან ყოფნა როგორ მომნატრებიაო. როგორც ყველა ფეხბურთელს, გადატვირთული კალენდრის გამო, ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან იშვიათად გვაქვს. მოკლედ, არაჩვეულებრივად დავისვენე და შვებულების ბოლოს ვიგრძენი, რომ ფეხბურთი მომენატრა (იცინის). "რეალში" დიდი ენთუზიაზმით დავბრუნდი.



**- თქვენი აზრით, "[illegible]ლის" შემადგენლობა სერიოზულად უნდა გა[illegible]ლისდეს?**

- არა, რა თქმა უნდა. ძი[illegible]ადი ბირთვი ხელუხლებელი უნდა დარჩეს. გასუ[illegible] სეზონი ძალიან კარგად ჩავატარეთ და ზედიზედ მ[illegible]რედ ჩემპიონის ტიტულს დავეუფლეთ. სამწუხარო[illegible] ჩემპიონთა ლიგაში არ გაგვიმართლა, მაგრამ ეს [illegible]რავმების ბრალი უფრო იყო, ვიდრე ფეხბურთელე[illegible] დაბალი კლასის შედეგი. დარწმუნებული ვარ, ერთ[illegible]რი ახალწვეულის გადმობირების შემთხვევაში, [illegible]ეალური გუნდი გვეყოლება და ჩემპიონთა ლიგი[illegible] ფინალშიც გავალთ. დროა, "რეალმა" მეათე თასზე [illegible]ქროს. ჩვენს მუზეუმს ის კიდევ უფრო გაამდიდრ[illegible]. ჩემი აზრით, სამეფო კლუბი საკმარისად ძლი[illegible]ა იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინა[illegible] გასვლა და იქ გამარჯვება დაისახოს მიზნად. ეს, ალბათ, მთავარი ამოცანა იქნება. რა თქმა უნდა, პრიმერა დივიზიონში გამარჯვებაზეც მთელი ძალისხმევით ვიმუშავებთ.

**- თქვენც იმათ კატეგორიას განეკუთვნებით, რომლებიც აცხადებენ, რომ ჩემპიონთა ლიგაში გასამარჯვებლად "რეალს" მსოფლიო დონის კიდევ ერთი ვარსკვლავი სჭირდება?**

- ვერ გეტყვით. მტყუან-მართალი სეზონის განმავლობაში გაირკვევა. პრეტემპორადისას ძალიან ძნელია ზუსტი პასუხის გაცემა. თუ ვინმეს ყიდვას აპირებენ, კარგი იქნება, უახლოეს დღეებში გადმოიბირონ, რადგან ახალწვეულს სამეფო კლუბთან შესაგუებლად ჩვენთან ერთად ვარჯიში დასჭირდება. სტრატეგიის შემუშავებისას ყველა ერთად უნდა ვიყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბალანსი დაირღვევა, თუმცა დროთა განმავლობაში ამის გამოსწორებაც შეიძლება.

**- გულწრფელად მითხარით, რამ უფრო გაგახარათ, ევროპის პირველობაზე გამარჯვებამ თუ ჩემპიონთა ლიგის მოგებამ?**

- კეკლუცობას არ დავიწყებ და პირდაპირ გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება განსაკუთრებულ ემოციებთანაა დაკავშირებული. "რეალი" ჩემი მეორე სახლია. როგორც ფეხბურთელმა, აქ ავიდგი ფეხი, მაგრამ "სელექსიონი" სულ სხვა რამ ყოფილა. ჩემი სამშობლო ასე თუ მიყვარდა, არ ვიცოდი. ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როცა გერმანიასთან მატჩში საფინალო სასტვენის ხმა გაისმა. დავიძაბე და არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა. თითქოს, ჩემს სხეულში რაღაც დუღდა და ამოხეთქვას ცდილობდა. ბოლოს მივხვდი, რომ არ მეღრიალა, გული გამიჩერდებოდა. ცრემლებიც წამომივიდა. მინდოდა, გულშემატკივრების ტალღაში შევვარდნილიყავი და ყველას ჩავხუტებოდი. ასეთი დღე არ განმეორდება. ეს ჩვენი თაობის პირველი დიდი მონაპოვარი იყო. ღმერთმა ქნას, კარიერის დასრულებამდე კიდევ არაერთი ტიტული მოვიგოთ, მაგრამ ხომ იცით, პირველი ყოველთვის პირველია. მახსოვს, სარბენ ბილიკებზე დავიჩოქე და ღმერთს მადლობა შევწირე. თავგადაკლული ქრისტიანი არ ვარ, მაგრამ იმ დღეებში ვგრძნობდი, რომ ღმერთი ჩვენს მხარეს იყო.

**- არ შემიძლია, ყველაზე აქტუალურ საკითხზე არ დაგელაპარაკოთ. თქვენი აზრით, "რეალს" კრისტიანო რონალდო ძალიან სჭირდება?**

- გამოკითხვა რომ მოაწყოთ, გუნდების 99 პროცენტი იტყვის, რომ რონალდოსთან სიამოვნებით ითანამშრომლებდა. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს "რეალიც" არ წარმოადგენს. კრისტიანო, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გაგვაძლიერებდა, მაგრამ ზუსტი პროგნოზის გაკეთება მიჭირს. სატრანსფერო მოლაპარაკებების დეტალებში გაცნობიერებული არ ვარ, ამიტომ ბევრი ლაპარაკისგან თავს შევიკავებ.

**- თქვენ "ოქროს ბურთის" მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი ხართ.**

- სიმართლე გითხრათ, "ოქროს ბურთის" მოპოვება ძალიან რთული ამოცანაა. მით უმეტეს, მეკარისთვის. ისიც არ ვიცი, რა კრიტერიუმები უნდა დავაკმაყოფილო, რომ კონკურენტებს ვაჯობო. თუ წლის ბოლოს "ფრანს ფუტბოლის" ჯილდოს დავეუფლები, ძალიან ბედნიერი ვიქნები, მაგრამ "ოქროს ბურთი" ჩემი თვითმიზანი არ გახლავთ.

### არაგონესი კეთილი მოხუცია, რომელიც დროდადრო ლუციფერზე უფრო მეტად ბრაზდება

**- ვისენტე დელ ბოსკეს დანიშვნას როგორ შეაფასებთ?**

- დელ ბოსკე უდიდესი გამოცდილების მქონე პროგრესული მწვრთნელია. რა თქმა უნდა, ყველას გახსოვთ, მისი მუშაობის დროს "რეალი" როგორ თამაშობდა. იმდროინდელი გუნდი, ალბათ, ისტორიიდან არასოდეს ამოიშლება. ამ შემთხვევაში, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას ვგულისხმობ. სენიორ ვისენტეს მხოლოდ ერთმა გარემოებამ შეიძლება შეუშალოს ხელი. ნაკრებში ის ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ მოვიდა. ბუნებრივია, გათამამებული გულშემატკივრები და ალბათ, ფეხბურთელებიც, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულზე ნაკლებ ჯილდოს აღარ მიიღებენ. დამეთანხმებით, დელ ბოსკე ურთულესი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. ჩემი აზრით, 2010 წლის მუნდიალზე გამარჯვება ბევრად უფრო ძნელი იქნება, მაგრამ "სელექსიონის" ახალი დამრიგებელი იმდენად მცოდნე და კვალიფიციური მწვრთნელია, მისგან არაფერი გამიკვირდება.

**- არაგონესის წასვლის გამო გული არ დაგწყდათ?**

- რომ იცოდეთ, ფეხბურთელები როგორ ვთხოვდით, დარჩენილიყო, მაგრამ ლუისი მსოფლიოში ყველაზე ჯიუტი კაცია და უარი გვითხრა. რა თქმა უნდა, გული ძალიან დამწყდა. არაგონესი კეთილი მოხუცია, რომელიც დროდადრო ლუციფერზე უფრო მეტად ბრაზდება. მთლიანობაში კი კეთილი და მხიარული ადამიანია.

**- ხომ არ მეტყვით, რობინიოს რა ბედი ელის?**

- რობინიო აშკარად გაიზარდა. ადრე ვამბობდი, ასეთი უდარდელი კაცი ცხოვრებაში არ მინახავს-მეთქი. აბსოლუტურად ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მოიგებდა თუ წააგებდა, ფაქტობრივად ერთნაირი ემოცია ჰქონდა. ვეჩხუბებოდი ხოლმე, მაგრამ ბრაზილიელს ესეც ფეხებზე ეკიდა (იცინის). მადლობა ღმერთს, რობინიო დაჭკვიანდა და ცხოვრებას ახლა უფრო სერიოზულად აღიქვამს. იმედია, ასეთი მაღალი დონის ფეხბურთელს არ დავკარგავთ. რამდენადაც ვიცი, კალდერონი მასთან ხელშეკრულების გახანგრძლივებასა და ხელფასის გაზრდას გეგმავს. "რეალი" რობინიოს გარეშე ვერ წარმომიდგენია.

**- ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ, ესპანეთის ნახევარი, ეგრეთ წოდებული, იკერომანიით დაავადდა. ამ დღეებში, ალბათ, განსაკუთრებით პოპულარული ხართ.**

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ უაღრესად გამიმართლა. კონტინენტის პირველობაზე ჩემზე კარგი მეკარეებიც თამაშობენ, მაგრამ მათ ამხელა პატივი არ ღირსებიათ. მე თავმდაბალი ადამიანი ვარ და ყველას ვთხოვ, იკერომანია არ შეეყაროს. კერპთაყვანისმცემლები ხომ არ ვართ?! რა თქმა უნდა, მესმის, რომ ხალხი გახარებულია, მაგრამ მერწმუნეთ, ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში მე ყველაზე ნაკლები წვლილი მიმიძღვის.



მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**



დავიდ სილვა

რომა

# ობიექტივშია დავიდ სილვა, მაგრამ არავითარი ჯიბრილ სისე

**დავიდ სილვას** აგენტი **ხულიო ლორენტე** აცხადებს, რომ "რომამ" მის კლიენტს იტალიის დედაქალაქში გადასვლა შესთავაზა. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სილვას მიმართ ინტერესი ერთიორად გაიზარდა. როგორც ირკვევა, "ჯალოროსის" მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი** მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩასჩიჩინებს თავის უფროსებს, რომ "ვალენსიას" ნახევარდაცვის ლიდერისთვის ჯიბეები მოიქექონ. როგორც ესპანური გაზეთები ამტკიცებენ, სილვას "რომამდე" ერთი ნაბიჯი აშორებს. აგენტი კი სხვას არაფერს ამბობს, გარდა რაღაც ვირტუალური შეთავაზებისა. ასე რომ, ოფიციალური ინფორმაცია, თუ რა დონეზეა მოლაპარაკებები, ჯერჯერობით არ არსებობს.

*"იტალიური კლუბის მესვეურებთან არანაირი კონტრაქტი არ მქონია, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ "ვალენსიამ" "რომასგან" შეთავაზება უკვე მიიღო. თუმც იმაზე ნამდვილად არ მაქვს წარმოდგენა, რა სახის წინადადებასთან გვაქვს საქმე. ალბათ, "ვალენსიის" ხელმძღვანელობა საქმის კურსში ჩაგვაყენებს"*, - ამბობს ლორენტე.

"ღამურები" სილვას 25 მილიონ ევროდ დააფასებენ. საეჭვოა, "რომამ" ნახევარმცველში ამხელა თანხა გადაიხადოს, ფორვარდში უფრო შეიძლებოდა. ჰო, რაც შეეხება ფორვარდს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ "რომა" **ჯიბრილ სისეს** შეეშვა. "მარსელის" ფორვარდის აგენტმა **რანკო სტოჯიჩმა** კატეგორიულად უარყო მისი კლიენტის რომაული პერსპექტივა.

**ჟულიო ბაპტიშტასა** და **ფლორან მალუდასთან** ერთად, ბოლო დრომდე სისე სპალეტის სასურველ მოთამაშეთა შორის იყო. აპენინური მედია კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ფრანგ ფორვარდს "რომამდე" ბევრი არაფერი აშორებდა. იტალიის ვიცე-ჩემპიონი პროვანსელებს 7 მილიონ ევროს სთავაზობდა, რაც "ველოდრომზე", ალბათ, ეცოტავათ. მაგრამ თუ სისეს აგენტს დავუჯერებთ, მის კლიენტს, უბრალოდ, იტალიაში თამაში არ სურს:

*"ჯერ ერთი, ჯიბრილს სერია A-ში თამაშის პერსპექტივა არ ხიბლავს. მეორეც, სისესთან დაკავშირებით, "რომასთან" არანაირი კონტაქტი არ მქონია. მე ვიცი, საიდანაც მოდის ეს ხმები. სისეს ძმა ძალიან ბევრს და უსაგნოდ საუბრობს ყველასთან, ვისთანაც მოუნდება. უბრალოდ, ის საქმეში არ არის ჩახედული და გირჩევთ, ყურადღება არ მიაქციოთ".*

მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**


ჯიბრილ სისე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ კარვალიო ამაურისთან

# გული კარგს მიგრძნობს...

## ლიპიმ უნდა მაპატიოს: ჯერ იუვენტუსი, ნაკრებზე მერე ვიფიქრებ

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარვალიო ამაური "იუვენტუსს" მშვენივრად მოერგო. მართალია, ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებებია, მაგრამ ფაქტია, ბრაზილიელს ამხანაგურ მატჩებში გოლი გოლზე გააქვს. რომ არა ტრავმა (პატრიკ ვიეირასთან შეტაკებისას შუბლი გაიხეთქა), ალბათ, "ტროფეო ტიმზეც" ისახელებდა თავს. ექსპალერმოელმა მეტად საინტერესო ტანდემი შექმნა ვინჩენცო იაკვინტასთან, რომელიც ასევე ბრწყინვალე ფორმაშია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კლაუდიო რანიერიმ თავდასხმის დუეტზე, შეიძლება, ბევრი აღარც იფიქროს...

ვნახოთ, რა აზრისაა ამაური ახალ გუნდზე, ახალ პარტნიორებზე, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებაზე... ბრაზილიელ ფორვარდთან ინტერვიუ "კორიერე დელო სპორტმა" გამოაქვეყნა...

**- დიდი ხანი არ არის, რაც "იუვენტუსში" გადახვედით, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს "ბებერი ქალბატონის" ვეტერანი ხართ. რა საიდუმლოს ფლობთ?**

- ყველაფერი მარტივადაა. ძალიან მინდოდა "იუვენტუსში" გადასვლა. აი, მთელი საიდუმლოც ამაშია. როგორც კი მიზანს მივაღწიე, დამატებითი სტიმული გამიჩნდა. თითქოს, ყველაფერი მართლაც კარგად მიდის, მაგრამ ზედმეტ თავმდაბლობად თუ არ ჩამითვლით, მე ჯერ არ ვარ კმაყოფილი. მინდა დავამტკიცო, რომ დიდი გუნდის ღირსი ვარ. ესეც, თავისთავად, მოტივაციაა. გარემო, უბრალოდ, შესანიშნავია - დიადი კლუბი, თანაგუნდელები, მწვრთნელი, ტიფოზები... შემიძლია ვთქვა, რომ ცხოვრებისეული ოცნება ავიხდინე. ახლა, მხოლოდ ჩემზეა დამოკიდებული, გავხდები თუ არა "იუვენტუსის" საუკეთესო მოთამაშე.

**- ესე იგი, "იუვესთან" ადაპტაციის პროცესმა უკვე ჩაიარა?**

- როცა ნამდვილი ჩემპიონების გვერდით თამაშობ, ადაპტაციაც და ყველა სხვა პრობლემაც იოლად გვარდება. შემიძლია ვთქვა, რომ ეს ისეთი პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტის პროცესიც კი სიამოვნებას განიჭებს.

**- უკვე გოლებიც გაგაქვთ...**

- სიმართლე გითხრათ, გოლებზე მეტად, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია გუნდური სულისკვეთება. თუ ეს ფაქტორი არსებობს, გოლებიც ადვილად გადის. მთავარია, თავად გუნდი იყოს დარწმუნებული იმაში, რომ კონკურენტუნარიანია, რომ ყველა მეტოქის დამარცხება და ნებისმიერი მიზნის მიღწევა შეუძლია...

**- არ გეშინიათ კონკურენციის? თქვენს გვერდით ხომ დელ პიერო, ტრეზეგე და იაკვინტა თამაშობენ...**

- ვაღიარებ, რომ ეს რაღაც ახალია ჩემს კარიერაში. "პალერმოში" ყოფნისას ვიცოდი, რომ ძირითადში ადგილი გარანტირებული მქონდა, თუმც საკუთარი თავისთვის მოდუნების უფლება არასოდეს მიმიცია. რაც შეეხება "იუვენტუსში" არსებულ სიტუაციას, როგორც გითხარით, ამას უკვე შევეჩვიე, უკვე ვიცი, რას და როგორ ითხოვს მწვრთნელი... არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ითამაშებს ძირითადში და ვინ სკამზე იჯდება, მთავარია, "იუვე" ყოველთვის "იუვედ" დარჩეს.

**- თქვენი ტრანსფერი ამ ზაფხულს ერთ-ერთი ყველაზე გაჭიანურებული და ხმაურიანი იყო. არც იმის გეშინიათ, რომ რონალდინიო დაგჩრდილავთ?**

- არა, რონალდინიოსგან საფრთხეს ნამდვილად არ ველოდები. "მილანი" ძლიერია, ზოგი იმასაც კი ამბობს, "იუვენტუსზეც" ძლიერიაო, მაგრამ... მოდით, ასე ვთქვათ: ყველაფერი მოედანზე გაირკვევა და არა საგაზეთო სტატიებით. ვნახოთ... ისე, ამგვარი პროგნოზები თუ აზრები ხშირად რეალობასაა მოკლებული. ჩვენ შევძლებთ, ღირსეული კონკურენცია გავუწიოთ "მილანსაც", "ინტერსაც" და "რომასაც".

**- რა აკლია "იუვენტუსს" ამ მომენტისთვის?**

- არაფერი. ეს პერიოდი სწორედ იმისთვისაა, რომ კარგად მოვემზადოთ და სეზონს სრულყოფილ ფორმაში შევხვდეთ. თუკი ამხანაგურ მატჩებში შეცდომებს ვუშვებთ, ამით არ უნდა ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა გვაკლია. მთავარია, ზოგიერთ სათამაშო ასპექტში დავიხვეწოთ, კომბინაციები იქნება ეს თუ სხვა ელემენტები. ფორმის პიკს ჩემპიონატის სტარტისთვის მივაღწევთ.

**- თვლით, რომ ფორმა ნელ-ნელა უნდა აკრიფოთ? კი მაგრამ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი კარსაა მომდგარი...**

- გარწმუნებთ, მზად ვიქნებით. პირველხარისხოვანი ამოცანაა, ჯგუფში მოვხვდეთ და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ამ ეტაპზე შეცდომის უფლება არ გვაქვს. მოუთმენლად ველი, როდის ვითამაშებ ჩემპიონთა ლიგაში. ეს ჩემთვის სულ სხვა სამყარო იქნება...

**- "ბიანკონერისთან" ერთად დიდ გამარჯვებებს გეგმავთ?**

- აბა, როგორ? ამისთვის მოვედი სწორედ "იუვენტუსში". აქამდე ტიტულები არ მქონია და იმედი მაქვს, "იუვენტუსთან" ერთად არაერთ ფასეულ ჯილდოს მოვიგებ. მინდა დავარწმუნო გულშემატკივრები, რომ "იუვესთვის" მომავალი სეზონი გამარჯვების სეზონი იქნება.

**- ჩემპიონთა ლიგა თუ.სკუდეტო?**

- არ ვიცი.

**- მარჩელო ლიპიმ თქვა, ამაურიმ, ბოლოს და ბოლოს, გაარკვიოს, ბრაზილიის ნაკრებში სურს თამაში თუ "სკუადრა აძურაშიო". რას უპასუხებდით?**

- ლიპის დიდ პატივს ვცემ და კარგად მესმის მისი, მაგრამ მეც უნდა გამიგოს და მაპატიოს. ამ ეტაპზე თავში სხვა ფიქრები მიტრიალებს. ჯერ "იუვენტუსში" უნდა მოვმაგრდე ბოლომდე, უნდა ვისიამოვნო ახალი ემოციებით, უნდა გავხდე ამ შესანიშნავი გუნდის წამყვანი მოთამაშე... აი, მერე კი, ნამდვილად მექნება დრო იმისთვის, რომ სხვა საკითხებზეც ვიფიქრო, მათ შორის, ნაკრებზეც.

**- კარგი. მაშინ, დავუბრუნდეთ "იუვენტუსს". ვინჩენცო იაკვინტასთან ერთად ბრწყინვალე ტანდემი შექმენით. როგორ შეაფასებდით ამ სიტუაციას?**

- ის, რომ ამ ტანდემს უკვე წარმატებულად თვლიან, უფრო ვინჩენცოს დამსახურებაა. ის ხშირად იხევს მოედნის ცენტრში და ეს მანევრირებისთვის მეტ საშუალებას მაძლევს. მაგრამ ვერ ვიტყოდი, თითქოს ტრეზეგესთან მქონდეს რაიმე პრობლემა. როცა პინცოლოში ორმხრივ მატჩებს ვთამაშობდით, იქ გამოჩნდა, რომ დავიდთანაც შემიძლია შედეგიანი ტანდემის შექმნა... ეგ არის, რომ დელ პიეროსთან, ჯერჯერობით, ნაკლებად მქონდა შეხება. ის გვიან ჩამოვიდა შეკრებაზე... ვფიქრობ, არც მასთან მექნება პრობლემა. ალექსი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. ბუნებრივია, ასეთი ფეხბურთელის გვერდით თამაში ჩემთვის დიდი პატივიცაა და სიამოვნებაც.

**- წინასასეზონო შეკრებისას უკვე 6 გოლი გაიტანეთ. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს გოლები?**

- პირველ რიგში, ეს ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაა კარგი, თორემ ისე, ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ. გოლები ყოველთვის გახარებს და აუცილებელ მუხტს გაძლევს.

**- მაინც რას მიაღწევს "იუვენტუსი"?**

- წინაპირობა, უბრალოდ, შესანიშნავია. დარწმუნებული ვარ, ბევრს მივაღწევთ. კარგი წინათგრძნობა მაქვს, მაგრამ არ მინდა ახლა ამაზე ბევრი ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, სურვილი დიდია და მჯერა, არ ვცდები.

მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

სასჯელი

# ბარტონს ახალი სასჯელი ელოდება

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "ნიუკასლის" ნახევარმცველ **ჯოი ბარტონს** ბრალი წაუყენა. საქმე იმავე დანაშაულს ეხება, რის გამოც ფეხბურთელმა 74 დღე საპყრობილეში გაატარა და კიდევ ორწლიანი პირობითი პატიმრობა აქვს შეფარდებული. 2007 წლის 1 მაისს, იმხანად "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი ბარტონი თანაგუნდელ **უსმან დაბოს** დაესხა თავს და ტრავმა მიაყენა. ბარტონი დაიჭირეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მას ათმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 75 ათასი გირვანქის გადახდა ელოდება.

ფეხბურთელს გასაჩივრების ვადა 13 აგვისტომდე აქვს. საეჭვოა, ბარტონს გასაჩივრებამ უშველოს. მას ორთვენახევრიანი შვებულება ემუქრება. "ნიუკასლის" დირექტორატში აზრი ორადაა გაყოფილი. ერთი ნაწილი ფეხბურთელის გუნდიდან გაძევებას ითხოვს. მეორე ნაწილი მისი დატოვების მომხრეა. მთავარი მწვრთნელი **კევინ კიგანიც** ბარტონის დარჩენას ემხრობა.

კომპანია "ნაიკმა" ჯოი ბარტონს უკვე გაუწყვიტა ხელშეკრულება. ამერიკული გიგანტი ფეხბურთელს პირადად უკერავდა ბუცებს და წელიწადში 400 ათას გირვანქას უხდიდა, თუმცა ბარტონის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის გამო "ნაიკმა" თანამშრომლობის გაგრძელება მიზანშეუწონლად მიიჩნია.

პენსია

# ტურამი წავიდა

**ლილიან ტურამი** ფეხბურთს გამოეთხოვა. გუშინ ფრანგმა ვარსკვლავმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ ამცნო. ტურამს "ბარსელონასთან" კონტრაქტი ივნისში დაუმთავრდა. ის საფრანგეთში დაბრუნდა და "პარი სენ ჟერმენს" ერთწლიან ხელშეკრულებაზე მოურიგდა. მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ტურამმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა. პარიზელმა ექიმებმა მას გულის სერიოზული ავადმყოფობა აღმოუჩინეს. ტურამს დაბეჯითებით ურჩიეს კარიერის დასრულება.

ლილიანმა ორი კვირა იფიქრა და ბოლოს ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა: *"კარიერის გაგრძელება სარისკოა. პარიზში სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ ჩემი ოჯახის გულისათვის, უმჯობესია, რისკს მოვერიდო. სამწუხაროა, რომ პარიზელი პაოლო მალდინი არ აღმოვჩნდი."*

36 წლის ტურამმა პროფესიულ დონეზე 17 წელი ითამაშა. სხვადასხვა დროს ის "მონაკოში", "პარმაში", "იუვენტუსსა" და "ბარსელონაში" მოღვაწეობდა. ლილიანი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია. ის საფრანგეთის ნაკრებს წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაემშვიდობა. შეგახსენებთ, **რაიმონ დომენეკის** გუნდმა ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა.



ლილიან ტურამი

## ბოგოსიანი ნაკრებში დაბრუნდა

საფრანგეთის ნაკრების მეორე მწვრთნელად **ალენ ბოგოსიანი** დაინიშნა. 37 წლის სპეციალისტი კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებს. მისი დებიუტი 20 აგვისტოს, შვედეთთან ამხანაგური მატჩისას შედგება. ბოგოსიანი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. მან "ლურჯების" შემადგენლობაში 25 თამაში ჩაატარა და 2 გოლი შეაგდო. ალენმა საკლუბო კარიერა "მარსელში", "ისტრში", ისევ "მარსელში", "ნაპოლიში", "სამპდორიაში", "პარმასა" და "ესპანიოლში" გაატარა. ბოგოსიანი აქტიური სპორტიდან 2003 წელს წავიდა. აქვე შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ თამაშს 6 სექტემბერს ვენაში, ავსტრიასთან გამართავს.

## რუნიმ იხულიგნა

**უეინ რუნი** პოლიციაში გამოიძახეს. "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელს პაპარაცისათვის შეფურთხება ედება ბრალად. ინციდენტი ლონდონის უმთავრეს სავაჭრო ქუჩაზე, ოქსფორდ სტრიტზე მოხდა. მაღაზიიდან გამოსულ რუნისა და მის მეუღლეს, **კოლინ მაკლაფლინს** ფოტოგრაფების მთელი არმია შეეგება. ერთ-ერთს, რომელიც წყვილთან ყველაზე ახლოს იმყოფებოდა, უეინმა შეაფურთხა. სამართალდამცველებმა ის დაუყოვნებლივ დაჰკითხეს და გააფრთხილეს. ბრიტანული კანონმდებლობით, შეფურთხება დანაშაულია და ადმინისტრაციულ სახდელს ითვალისწინებს.

## ბენ ჰაიმი: ჩელსიდან მანჩესტერ სიტიში

"ჩელსისა" და ისრაელის ნაკრების მცველი **ტალ ბენ ჰაიმი** "მანჩესტერ სიტიში" გადავიდა. გარიგებას გუშინ მოეწერა ხელი. ბენ ჰაიმმა მანჩესტერელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. არისტოკრატებისათვის გადახდილი თანხის ოდენობა არ გახმაურებულა. ტალი 26 წლისაა. ის "სტემფორდ ბრიჯზე" გასულ ზაფხულს, "ბოლტონიდან" უკომპენსაციოდ გადავიდა, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, "ჩელსის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდა. მან მხოლოდ 13 მატჩი ჩაატარა, რადგან "არისტოკრატებს" დაცვის ცენტრში **ჯონ ტერი** და **რიკარდო კარვალიო** ჰყავდათ.

## ვალბუენა არშავინის ნაცვლად?

"ზენიტი" "მარსელის" თავდამსხმელ **მატიო ვალბუენას** ეპატიჟება. რუსი მიმომხილველების აზრით, პეტერბურგელები **ანდრეი არშავინის** შემცვლელს ეძებენ. არშავინი "ტოტენჰემში" გადასასვლელად ემზადება. ინგლისურ ტაბლოიდებს თუ დავუჯერებთ, გარიგება, ფაქტობრივად, გაჩარხულია. მომდევნო კვირის დასაწყისში არშავინი ლონდონში უნდა გაემგზავროს. "ტოტენჰემი" 18 მილიონ გირვანქას ამზადებს (თითქმის 40 მილიონი დოლარი). "ზენიტს" ვალბუენას შეძენა 18 მილიონი ევრო (დაახლოებით, 30 მილიონი დოლარი) დაუჯდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# ორთაბრძოლის ბედი მარტო რინგზე არ წყდება

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტულ ღირსებას ორი მოკრივე იცავდა - **ნიკოლოზ იზორია** და **კონსტანტინე კუპატაძე**, რომლებმაც ნაადრევად დატოვეს ელინთა დედაქალაქის რინგი.

წლევანდელ თამაშებზეც ტყავის ხელთათმანების ორი წარმომადგენელი გვეყოლება - ნიკოლოზ იზორია (57 კგ) და **კახა ჟვანია** (69). ფოთელმა სპორტსმენებმა პეკინში გამგზავრების უფლება, მოგეხსენებათ, ათენის სალიცენზიო ტურნირზე მოიპოვეს. ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსასვლელად ზღვისპირელები ნაყოფიერად გაისარჯნენ.

- შეკრებების თვალსაზრისით, ქართველ მოკრივეებს წლეულს, შეიძლება ითქვას, ნამდვილი ფუფუნება ჰქონდათ, - გვითხრა კრივის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა**. - რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს პრეზიდენტს პეტრე ცისკარიშვილს და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს. ლიცენზიების მოპოვების შემდეგ ჩვენი სპორტსმენები ჯერ ბათუმში გავგზავნეთ მოსამზადებლად, ბოლო შეკრება კი წახკაძორის ოლიმპიურ ბაზაზე გაიარეს. რადგანაც სომხებს 57 და 69 კილოში ოლიმპიადაზე წარმომადგენელი არ ეყოლებათ, ჩვენებს სპარინგ-პარტნიორები და მასაჟისტიც თბილისიდან გავაყოლეთ. ნაკრების მთავარი მწვრთნელის - თენგიზ მესხაძის ხელმძღვანელობით ბიჭებმა მართლაც შესაშური მონდომებით ივარჯიშეს და ჩინებულ სპორტულ ფორმაში არიან. ამჟამად უკვე პეკინში იმყოფებიან. ტელეფონით შევეხმიანე მათ ოლიმპიურ სოფელში. როგორც ამიხსნეს, შესანიშნავი პირობები აქვთ და თავსაც კარგად გრძნობენ.

**- შესაძლო მეტოქეებზე ხომ არაფერი უთქვამთ?**

- კახა ჟვანია 10 აგვისტოს ჩაებმება შეჯიბრებაში, ნიკოლოზ იზორია კი 11-ში გავა რინგზე. ამდენად, მათ მხოლოდ წინა დღეს ეცოდინებათ მეტოქეები. ორივე წონაში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. 69 კილოში იასპარეზებს ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონი დიმიტრიუს ანდრადე, რომელმაც შარშან ჩიკაგოში პირველივე წრეში აჯობა კახას. პეკინში ანგარიშგასაწევი ძალა იქნება ჩინელი მოკრივე, წარმოშობით ყაზახი ჰანატი სილამუ. საკმაოდ ძლიერია კუბელი კარლო სუარესი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე არ გამოსულა - თამაშების ლიცენზია, თანაგუნდელების მსგავსად, პანამერიკულ თამაშებზე მოიპოვა. მართალია, რუსი ანდრეი ბალანოვი ევროპის ჩემპიონია, მაგრამ საგზური მხოლოდ სალიცენზიო ტურნირზე დაიბევა. ამის მიუხედავად, მისი სათვალავიდან ამოგდება არ შეიძლება.

არანაკლები მოწინააღმდეგეები ეყოლება იზორიას. მათ შორის - პანამერიკული თამაშების კუბელი ჩემპიონი ტორიანტესი, რუსი მსოფლიო ჩემპიონი რუფათ სელიმოვი, ამავე ტიტულის მფლობელი უზბეკი ჯაფაროვი, რომელიც ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ფხაკაძეს ჰყავს დამარცხებული.

საგულისხმოა ისიც, რომ დაბალ წონებში, შესაძლოა, სიუპრიზები შემოგვთავაზონ ფილიპინელმა, ტაილანდელმა, კორეელმა, საერთოდ, აზიელმა მოკრივეებმა. ვიცით, რომ ოლიმპიადაზე სუსტი მეტოქე არ გვეყოლება. თუმცა, მთავარია, არბიტრებმა არ გვიმუხთლონ, როგორც ეს მოხდა წინა თამაშებზე იზორიასთან დაკავშირებით. წლეულს იტალიაშიც ლვამიჩავას ჯიბიდან ამოაცალეს საგზური. იმდენად ალვშფოთდი, რომ თავი ვერ შევიკავე და რინგზე ორთაბრძოლა კარგა ხნით შევაჩერებინე. ათენის სალიცენზიო ტურნირის წინ ჩვენი ფედერაციის მამებს დავემუქრე, ნამუსიანად თუ არ იმსაჯებთ, გუნდს შეჯიბრებიდან მოვხსნი-მეთქი. მანამდე კი სოკ-ის პრეზიდენტ ჟაკ როგს წერილები გავუგზავნე კრივის საერთაშორისო ფედერაციაში გამეფებული კორუფციის თაობაზე. პასუხიც მივიღე - ამგვარი რამ აღარ განმეორდებაო. ბოლო ტურნირზე ფედერაციის კორეელმა გენერალურმა მდივანმაც მომიბოდიშა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ არა მგონია, პეკინში უსირცხვილოდ მოგვექცნენ, მით უმეტეს, რომ მოკრივეებს ამ ოლიმპიადაზე ჩვენი მსაჯიც გვეყოლება - ღირსეული პიროვნება და ექსტრაკლასის არბიტრი ფოთელი ზურაბ ტიბუა, რომელმაც ჩინეთის დედაქალაქში გამგზავრების უფლება მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებზე დაიმსახურა.

ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და, ღმერთმა ქნას, გაგვიმართლოს.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

რაგბი. პრესკონფერენცია

# შოტლანდია სექტემბერში გადაწყდება

თბილისში ვიზიტად იმყოფებოდნენ შოტლანდიის ეროვნული და A ნაკრებების მენეჯერები **გაი რიჩარდსონი** და **კარენ ბარნეტი**. სქოთი სტუმრების მიზანი საასპარეზო, სავარჯიშო არენებისა და შოტლანდიის A ნაკრებისთვის საცხოვრებელი პირობების რევიზია იყო. ნანახთან დაკავშირებით შოტლანდიელმა მენეჯერებმა რაგბის კავშირში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს:


ვასილ აბაშიძე, კარენ ბარნეტი, გაი რიჩარდსონი, გიორგი მამარდაშვილი

**გაი რიჩარდსონი**, შოტლანდიის მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მენეჯერი:

*„უწინარესად გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოხარულები ვართ საქართველოში რომ ვიმყოფებით. თბილისში რაგბის განვითარების გამო ჩამოვედით. საქართველო მსოფლიო რეიტინგში მე-14 ადგილზეა. ვფიქრობთ, ეს იმ რესურსების პირობებში, რაც თქვენ გაგაჩნიათ, უდიდესი მიღწევაა.*

*ბოლო მსოფლიო თასზე ნაჩვენები შედეგის გამო, საქართველოს ნაკრებს მთელ მსოფლიოში უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. შოტლანდიასა და საქართველოს ბევრი საერთო აქვთ. ჩვენ ორივე პატარა ქვეყნის ამაყი, ამბიციური შვილები ვართ. გვიწევს, დიდი სარაგბო ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ძალიან ბევრ შრომას მოითხოვს.*

*თბილისში ყველამ ძალიან თბილად, მეგობრულად მიგვიღო. დავათვალიერეთ სათამაშო და სავარჯიშო მოედნები, ვნახეთ სასტუმრო, სადაც სავარაუდოდ შოტლანდიის A ნაკრები იცხოვრებს. ნანახმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. შოტლანდიაში დადებით შეფასებას ჩავიტანთ. იმის შესახებ, რაც აქ ვნახე, არა მარტო ჩვენი რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს ვამცნობ, არამედ სხვა გუნდების მენეჯერებსაც შევატყობინებ.*

*გადაწყვეტილებას, ვეთამაშოთ თუ არა ნოემბერში საქართველოს ნაკრებს, შოტლანდიის რაგბის კავშირი ჩვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღებს, სავარაუდოდ, სექტემბერში.*

*საქართველოსა და შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებებს შორის ტესტ მატჩი არ არის შორეული მომავლის პერსპექტივა. მაგალითისთვის, წლეულს, ნოემბერში, შოტლანდიის ეროვნული გუნდი კანადის ნაკრებს შეხვდება, რომელიც რეიტინგში მე-15 ადგილზეა. საქართველოს ნაკრები კი მეთოთხმეტეა, რატომ არ შეიძლება, რომ ამ გუნდთანაც ვითამაშოთ?"*

კარენ ბარნეტი, შოტლანდიის A ნაკრების მენეჯერი:

*„ნოემბერში შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებსაც აქვს ტესტ მატჩები. ის მორაგბეები, რომელიც ეროვნულ გუნდში ვერ მოხვდებიან, A ნაკრებში ითამაშებენ. გარწმუნებთ, ეროვნულ გუნდსა და A ნაკრებს შორის ძალთა სხვაობა დიდი არ იქნება. თბილისში საკმაოდ ძლიერ გუნდს ჩამოვიყვანთ. მით უმეტეს, რომ ამჟამადაც ეროვნულ გუნდში A ნაკრების საკმაოდ ბევრი მოთამაშეა გამოძახებული."*

**ბესიკ ჯანგავაძე**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# საქა-რთველო ნახევარფინალში

ავსტრიულ კლაგენფურტში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ** კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა. ჩვენი ფრენბურთელები ნახევარფინალში გავიდნენ და ძალიან დიდია ალბათობა იმისა, რომ ფინალშიც გაალწიონ.




მერვედფინალში საქა-რთველო ბელგიურ დუეტს **ვან ბრეედამსა** და **მუჰას** დაუპირისპირდა და სამ სეტში დაამარცხა 21:18, 16:21, 16:14. მეოთხედფინალში ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე ისევ ბრაზილიელები **ლარისა** და **ჯულიანა** უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ დაუდგენელი მიზეზის გამო, მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო წყვილმა თამაშზე უარი თქვა. სავარაუდოდ, მიზეზი ჯულიანას ტრავმაა, რომელიც ამ ფრენბურთელს ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყების წინ აწუხებდა. შეგახსენებთ, რომ ჯულიანა და ლარისა პეკინის ოლიმპიადაზე C ჯგუფში საქართველოსთან ერთად იასპარეზებენ.

ნახევარფინალურ შეხვედრას საქა-რთველო დღეს გამართავს უკრაინულ დუეტთან **ოშეიკო-ბაბურინა**, რომელიც ტურნირზე 27-ე ნომრადაა განთესილი.

ჯგუფში ბოლო შეხვედრაში მარცხი განიცადა ვაჟთა შორის **გეორ-გიამ**. ჩვენი ფრენბურთელები გერმანულ დუეტთან **მატიშეკი-უჰმანი** დამარცხდნენ სამ სეტში 22:20, 19:21, 12:15. თუმცა ამ შეხვედრაში მოგებული ერთი სეტი საკმარისი აღმოჩნდა მესამე ადგილზე გასასვლელად, რამაც გეორ-გიას საშუალება მისცა, მერვედფინალში გასასვლელი მატჩი ეთამაშა. მეტოქედ აქ კენჭისყრამ ავსტრალიელებს **შახტსა** და **სლეკს** გადაგვყარა, რომლებსაც ჩვენი წყვილი პეკინშიც უნდა დაუპირისპირდეს. ალბათ, სწორედ ამიტომ ავსტრალიურმა დუეტმა თამაშს თავი აარიდა და მერვედფინალში გეორ-გია გავიდა.

ჩვენი ფრენბურთელების მომდევნო მეტოქე დღეს, ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ბრაზილიელები **ჰარლი** და **პედრო** იქნებიან. შეგახსენებთ, რომ ჰარლი საქას მეუღლეა. გამორიცხული არ არის პეკინში ჰარლი ქართული წყვილების მწვრთნელთა შტაბს შეუერთდეს და მეუღლეს ასპარეზობაში დაეხმაროს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# სოფიო ქვაცაბაია ტიტულისთვის იბრძოლებს

უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობა 19 წლის **სოფიო შაფათავამ** დაასრულა. მსოფლიოს 291-ე ჩოგანმა შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტ, მე-3 ნომრით განთესილ **ეკატერინა ძეჰალევიჩს** (161) ვერ სძლია – 1:6, 4:6. სოფიო მხოლოდ მეორე სეტში ეთამაშა თანაბრად 22 წლის ბელარუს ჩოგბურთელს. მიუხედავად მარცხისა, სოფიო კლასიფიკაციაში წინ წაიწევს, რადგან დნეპროპეტროვსკში მერვედფინალში გასვლისთვის მან 5 სარეიტინგო ქულა მოიპოვა.

მსოფლიოს კორტებს ამ კვირაში ყველაზე დიდხანს ქართველთაგან **სოფიო მელიქიშვილი** (ამერიკაში) და **სოფიო ქვაცაბაია** (აფრიკაში) შემორჩნენ. 20 წლის ქვაცაბაიას (695), რომელიც წყვილთა თანრიგში კლასიფიკაციაში 541-ე პოზიციაზეა, კარიერაში პირველი ტიტულის მოპოვების შანსი აქვს. ის და რუსი **ავგუსტა ციბიშება** მაროკოში, რაბათის ტურნირის (10 ათასი დოლარი) ფინალში გავიდნენ. ნახევარფინალში მე-2 ნომრად განთესილმა ქართულ-რუსულმა დუეტმა ბელგიური (**მერგაერტი, ნოვე**) დაამარცხა – 6:1, 1:6, 11:9. რაბათის ტურნირის ფინალში სოფიოსა და ავგუსტას მე-3 ნომრად განთესილი წყვილი **ელ ალამი** (მაროკო) და **საბინო** (იტალია) ელის. აქამდე სოფიო ორჯერ არის გასული ტურნირის ფინალში (ორივეჯერ წყვილთა თანრიგში), ბაქოსა და ანთალიაში.

21 წლის **სოფიო მელიქიშვილი** (1019) თანდათან იბრუნებს ტრავმამდელ ფორმას. სოფიო სენტ ჯოზეფის ტურნირის (10 ათასი დოლარი) მეოთხედფინალშია. მეორე წრეში მან ჩეხი **პეტრა პადალიკოვა** დაამარცხა – 2:6, 6:3, 6:2. ტურნირის მეოთხედფინალში მელიქიშვილის მეტოქე 16 წლის ამერიკელი **ჩიე-იუ ჰსუ** იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭიდაობა

# იქნება ჰეთ-თრიკი?

დღეს და ხვალ მოჭიდავეთა ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც სტამბოლში იმართება, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაერთვებიან. გუშინ ცნობილი გახდა იმ ქართველთა მეტოქეები, რომლებიც ხალიჩაზე შაბათს გამოვლენ. 50 კგ. წონით კატეგორიაში **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** გამოდის, რომელიც ძალზე პერსპექტიული სპორტსმენია. 17 წლის ხინჩეგაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა როგორც კადეტებში ლატვიურ დაუგავპილსში, ასევე - ორი წლით უფროსებში სლოვაკურ კოშიცეში. ვნახოთ, შეასრულებს თუ არა ის საოცარ ჰეთ-თრიკს. ამისთვის ხინჩეგაშვილმა ტურნირი ინდონეზიელი **იოლანდ პუტრას** ძლევით უნდა დაიწყოს. გამარჯვების შემთხვევაში ვლადიმერი ან მექსიკელ **ალეხანდრო გრიმალდის** შეხვდება, ან ვენესუელელ **რამონ რივეროს** დაეჭიდება.

74 კგ წონით კატეგორიაში ჩვენებური **გიორგი მარსაგიშვილი** პირველ წრეში ყაზახ ფალავანს, **რუსლან რაზბეკოვს** შეხვდება. თუ მოიგო, მისი მეტოქე მეორე წრეში საკმაოდ ძლიერი იქნება – რუს **მაგომედ ზუბაიროვსა** და უკრაინელ **მაქსიმ მალივგინს** შორის გამარჯვებული.

96 კილოგრამ წონით კატეგორიაში **გიორგი ჩიქოვანი** ასპარეზობს. გიორგი პირველი წრისგან თავისუფალია, წილისყრამ მას მეორე წრეში მეტოქედ ბერძენი **არის თეოდორუდისი** არგუნა. მესამე წრეში გასვლის შემთხვევაში ჩვენებურს, სავარაუდოდ, ირანელი (**ქომეილ ღასემი**) ან ბელარუსი (**სერჰეი იანკოვი**) შეხვდება.

ამ სამეულის გარდა სტამბოლში იჭიდავებენ: **დავით ბერძენიშვილი** (55), **გიორგი მაყიშვილი** (60), **ზაურ აბრამიშვილი** (66), **ბექა ჭელიძე** (84), **ლევან ბერიანიძე** (120). შეგახსენებთ, რომ 29-30 ივლისს სტამბოლის ხალიჩაზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა იასპარეზეს. სამწუხაროდ, მათ ერთი მედალიც კი ვერ მოიპოვეს და საბოლოოდ მე-11 გუნდური ადგილი დაიკავეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მილოცვა

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავს ქართული და მსოფლიო სპორტის ორ ბრწყინვალე წარმომადგენელს, ოლიმპიურ ჩემპიონ ქალბატონებს მედეა (მზია) ჯუღელს და ქეთევან ლოსაბერიძეს.**

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები. ღია ვარჯიში

# კოკოშკოვი ჩაყვინთვას გვასწავლის, ამოგვაყვინთვინებს A დივიზიონში?

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლისთვის მზადება დაიწყო. ახალი მთავარი მწვრთნელი, **იგორ კოკოშკოვი** თბილისში 31 ივლისს ჩამოფრინდა, იმავე საღამოს გაფართოებულ შემადგენლობასთან ერთად პირველად ივარჯიშა, ხოლო გუშინ დილით, 11 საათზე ღია ვარჯიში ჩაატარა.

„დინამოს" დილმის საკალათბურთო ბაზის კარი ჟურნალისტებისთვისაც გაიღო და საშუალება მოგვეცა საკუთარი თვალით გვენახა საქმეში როგორც ამერიკაში გამოცდილებამიღებული იგორ კოკოშკოვი, ასევე ნაკრების შეკრებაზე გამოძახებული კალათბურთელები.

ბაზაზე შესულებს დაგვხვდა „რეინჯ როვერი" ნომრით - „ვიკ-013", რაც იმას ნიშნავდა, რომ ვარჯიშზე **ვიქტორ სანიკიძეც** იყო. სულ მალე იმავე ტიპის მანქანით ეზოში **ნიკა ცქიტიშვილი** შემოვიდა. წესითა და რიგით, ეს კალათბურთელები ნაკრებში 4 აგვისტოს უნდა გამოცხადებულიყვნენ, მაგრამ მათ **გიორგი ცინცაძესთან** ერთად, მოცდას შეკრებაზე ადრე მისვლა ამჯობინეს...

ეს ის შემთხვევაა, როცა სამი წერტილი საკმარისი არ არის - 2004 წლის



იგორ კოკოშკოვი

შემდეგ პირველად ხდება, როცა ნაკრები დათქმულ დროზე ადრე იკრიბება! მეტსაც გეტყვით, ერთი კალათბურთელის გარდა ყველა მოთამაშე 5 აგვისტოს შეკრებაზე იქნება. 3-ში სლოვენიიდან **ვლადიმერ ბოისა** ჩამოვა, ხოლო 5-ში თბილისში იქნება ნატურალიზებული ამერიკელი **ტაირონ ელისი**.

ის ერთი მოთამაშე, რომელიც დაიგვიანებს, **ზაზა ფაჩულიაა**. *„ზაზასთან ხშირი კონტაქტი მაქვს. ვიცი, რომ ამერიკაში გატარებული რთული სეზონის შემდეგ ძალების აღდგენა ძნელია, ამასთან, მან ოჯახური მიზეზები დამისახელა და შევთანხმდით, რომ ნაკრებს არაუგვიანეს 17 აგვისტოს შეუერთდება"*, - გვითხრა ეროვნული ნაკრების ახალმა თავკაცმა იგორ კოკოშკოვმა. ამ სპეციალისტზე ერთი ვარჯიშით აზრის შექმნა ძნელია, მაგრამ რეპორტაჟის მსვლელობისას ვეცდებით გითხრათ, რა მოგვეწონა მასში და რა - არა.

...და აი, პირველი უპირატესობა წინამორბედ უცხოელ მწვრთნელებთან შედარებით: კოკოშკოვი არა ფედერაციის დახმარებით, არამედ თვითონ ამყარებს კონტაქტს კალათბურთელებთან და იცის, ვინ როდის შეუერთდება.

ჩამომსვლელებზე უკვე ვისაუბრეთ. ახლა ჩამოგითვლით იმ 17 კალათბურთელს, რომლებმაც გუშინ დილომში ივარჯიშეს:

**ტატო ვაშაკიძე** (პუნტუკასი, ლიტვა), **გიორგი ცინცაძე** (ტარტუ როკი, ესტონეთი), **ლაშა გამყრელიძე** (ენერჯი), **ანატოლი ბოისა** (ავიამშენი), **სერგო ათუაშვილი** (ტტუ, ესტონეთი), **კოტე ტულუში** (ენერჯი), **ნიკა ცქიტიშვილი** (ტერამო, იტალია), **მიხეილ ფანჩულიძე** (თსუ), **მიხეილ ჩიტაშვილი** (თსუ), **ვახტანგ მინაშვილი** (ავიამშენი), **ვიქტორ სანიკიძე** (დინამო), **ზვიად ბაბიაშვილი** (ენერჯი), **ბესიკ ლეჟავა** (ენერჯი), **თორნიკე ნინიაშვილი** (ავიამშენი), **რეზო დიდია** (ენერჯი), **მიხეილ ჭოჭუა** (ენერჯი), **მიხეილ ბერიშვილი** (ვითა).

დილის ვარჯიშმა ორ საათს გასტანა და ჩვენთან ერთად, მწვრთნელსაც ბევრი რამ დაანახვა. ანატოლი ბოისა, ტულუში, გამყრელიძე, სანიკიძე და ლეჟავა შარშანაც ნაკრებში იყვნენ და ყველას კარგად მოეხსენება, რას წარმოადგენენ. ვერც ნიკა ცქიტიშვილის შესაძლებლობებზე ვიტყვით ახალს, თუმცა ნიკაზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2004 წლის შემდეგ პირველად ვარჯიშობს შეკრების პირველივე დღიდან. ამის მიზეზი ისაა, რომ ცქიტოს „ტერამოსთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს. აქამდე მას ყოველ წელს ახალ-ახალი კლუბების ძიება უწევდა და შეკრებებზეც ამიტომ აგვიანებდა.

სერგო ათუაშვილის ვარჯიში ბოლოს 2005 წელს მქონდა ნანახი. მაშინ მძიმედ გამოიყურებოდა, ახლა კი 222 სმ. სიმაღლის კვალობაზე მეტად სხარტად მოძრაობდა. თუმცა 12 კაცს შორის მოხვედრა მას გარანტირებული მაინც არ აქვს, რადგან კოკოშკოვს სანახავი ჰყავს კიდევ სამი კარგი ცენტრი - **გიორგი შერმადინი, დავით უგრეხელიძე** და ზაზა ფაჩულია.

„პუნტუკასის" წამყვან კალათბურთელს, ტატო ვაშაკიძეს ლიდერის თვისებები ვარჯიშზეც ეტყობოდა...

მეტს აღარ ვისაუბრებთ, ვინ მოეწონა იგორ კოკოშკოვს 4 აგვისტოს გამოჩნდება, როცა შემადგენლობას შეკვეცავს. რამდენ კაცამდე შეამცირებს, ეს მისი გადასაწყვეტია. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ოთხში ნაკრების ყველა წევრი სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

ახლა უშუალოდ იგორის საქმიანობაზე. მან პირველივე დღიდან ტაქტიკური სქემების დამუშავებას მიჰყო ხელი. ყველა კომბინაციას თავისი სახელი დაარქვა და ბიჭები 2 საათი ამ კომპონენტზე ავარჯიშა. ყველაზე საინტერესოდ ერთი კომბინაციის სახელწოდება ჟღერდა - „დაივ", რაც ქართულ თარგმანში ყვინთვას ნიშნავს. ეტყობა, იგორ კოკოშკოვი ნაკრებთან ერთად ჩასაყვინთად ემზადება. ამოყვინთავს თუ არა A დივიზიონში, ამას 2009 წლის შემოდგომით შევიტყობთ.

ვარჯიშის დასრულებისთანავე დავინტერესდით, როგორ მოეწონათ კალათბურთელებს ახალი სერბი მწვრთნელი. ანატოლი ბოისამ ნაკრების თავკაცის სასტვენზე გაამახვილა ყურადღება. სასტვენი ცალკე აბზაცს ნამდვილად იმსახურებს.

ვარჯიშის დასაწყისში კოკოშკოვმა შეგირდებს დავალება მისცა, მაგრამ რაღაც არ მოეწონა და უმალ სასტვენი გასცა. იმ ეპიზოდში მწვრთნელისთვის თვალი არ მომიცილებია და აშკარად დავინახე, რომ სასტვენი პირთან არ მიუტანია... როგორც აღმოჩნდა, იგორ კოკოშკოვს ამერიკიდან „მესამე თაობის" სასტვენი ჩამოუტანია - ღილაკზე ხელის ერთი დაჭერა საკმარისია იმ ხმის გამოსაცემად, რასაც ძველებური ბურთულიანი სასტვენები მძლავრი ჩაბერვით ახერხებდნენ.

კოტე ტულუშმა მწვრთნელი მორიდებულად დაახასიათა: *„ახალ მწვრთნელს აშკარად ეტყობა, რომ დისციპლინას დიდ ყურადღებას აქცევს. ეს ნებისმიერი გუნდისთვის მთავარია. შედეგი სხვანაირად ვერ მოვა."*

თამაშის წაყვანა გამთამაშებელს ევალება, იგორ კოკოშკოვიც ყველაზე ხშირად გიორგი ცინცაძეს მიმართავდა და შეტევის მიმართულებას კარნახობდა. როგორც ჩანს, ახალი თავკაცით ბუც (ცინცაძის მეტსახელი) კმაყოფილია: *„ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მეორე ვარჯიში ჩავატარეთ. პირველი საწვრთნელი დღის შემდეგ ბიჭებს აშკარად ეტყობათ, რომ გაიხსნენ, ალღო აულეს მის მითითებებს. ეს პირველ რიგში მწვრთნელის დამსახურებაა."*

ვარჯიშს ესწრებოდა გამოცდილი სპეციალისტი **თამაზ ოქრუაშვილი,** რომელმაც აღნიშნა, რომ კოკოშკოვი ნაკრებში წინამორბედ მწვრთნელებთან შედარებით უკეთესი პიროვნება ჩანს, თავმდაბალი და ურთიერთობაში ნაკლებად ამბიციური.

კოკოშკოვზე ბევრი დადებითი კი ვთქვით, მაგრამ ერთი მინუსი მაინც მოვუძებნეთ - არ უნახავს საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩების ამსახველი ვიდეოფირები. ეროვნულის თავკაცს ის შეხვედრები ნანახი უნდა ჰქონდეს. ხომ შეიძლება, ვთქვათ, გამყრელიძე და ტულუში შეკრებას ფორმაში ვერ შეხვდნენ და მწვრთნელს არ მოეწონოს. არადა, ჩემპიონატის ფინალურ სერიაში საუკეთესონი სწორედ ისინი იყვნენ.

მივადექით პრესკონფერენციას, რომელიც სერბმა სპეციალისტმა ვრცელი სიტყვით გახსნა: *„საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელობა ჩემთვის დიდი პატივია. ევროპასა და ამერიკაში მაღალ დონეზე არაერთი ქართველი თამაშობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კარგი საკალათბურთო სკოლა გაქვთ."*

იგორ კოკოშკოვი კონტრაქტზე ხელმოწერამდე საქართველოს ნაკრების მატჩების ვიდეოფირებსაც გაეცნო და ეროვნულ გუნდზე სრული შთაბეჭდილება ამის შემდეგ შეექმნა: *„შარშანდელი ოთხივე მატჩი ვნახე და კარგად გავიცანი თქვენი ნაკრები. ფინეთთან გამარჯვება იღბლიანობის ამბავი იყო. ისლანდიასთან შედარებით ისეთი გუნდი გყავდათ, რომ 20 ქულის სხვაობით უნდა მოგეგოთ. მაგრამ არის სხვადასხვა ნიუანსი, რაც ამა თუ იმ მატჩის მოგებაში გუნდს ხელს უშლის. სწორედ ამ ნიუანსის მისახედად და ძლიერი გუნდის ჩამოსაყალიბებლად არის საჭირო მთავარი მწვრთნელი. მეც ვეცდები, რომ ამერიკაში დაგროვილი ჩემი გამოცდილება აქ სათანადოდ გამოვიყენო."*

მწვრთნელს ვკითხეთ, ორი ვარჯიშის მიხედვით ვინ მოეწონა, რაზეც თითქმის არაფერი გვიპასუხა: *„გვარებზე საუბარი ადრეა. ჯერ ბიჭებთან მუშაობას ვაგრძელებ და მთლიანი სურათი არ წარმომისახავს. ზოგადად კი ნაკრებში უნდა ითამაშოს იმ კალათბურთელმა, რომელიც სათანადოდ აცნობიერებს დაკისრებულ ფუნქციას და ვარჯიშებზეც ბოლომდე იხარჯება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ არ მინახავს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების გამორჩეული კალათბურთელები."*

ასევე დავინტერესდით, ნაკრები სრულად როდის შეიკრიბება. ამ კითხვაზე ბატონ იგორს კონკრეტული პასუხი აღმოაჩნდა: *„ვლადიმერ ბოისა ამერიკაში იყო და ახლახან სლოვენიაში ჩავიდა. იგი საქართველოში 3 აგვისტოს ჩამოფრინდება და მეორე დღეს ვარჯიშზე მოვა. ნატურალიზებული ამერიკელი ტაირონ ელისი 5 აგვისტოს შემოგვიერთდება, ხოლო ზაზა ფაჩულია 17-ში დაგვემატება."*

ბოლოს ერთ სამწუხარო ამბავს მოგახსენებთ. ნაკრებს სექტემბრის მატჩებში ვერ დაეხმარება გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **მანუჩარ მარკოიშვილი,** რომელმაც ივნისში ფინეთში კოჭის ოპერაცია გაიკეთა და ოქტომბრამდე მოუწევს დასვენება.

*„მარკოიშვილის თამაში „ბენეტონშიც" მაქვს ნანახი და კარგად ვიცი, რა ძალას წარმოადგენს იგი. მანუჩარის არყოფნა ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები**



საქართველოს ნაკრების გუშინდელი ვარჯიში

18-წლამდელთა ნაკრები

## ბელარუსს მოვუგეთ!

**საქართველო-ბელარუსი 75:69**

19:20, 15:15, 19:16, 22:18

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძიძიგური | 27 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 |
| ჩიკვილაძე | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| შენგელია | 34 | 11 | 7 | 3 | 1 | 0 | 1 |
| ჩაჩიბაია | 13 | 6 | 1 | 1 | 2 | 0 | 1 |
| ნანიტაშვილი | 15 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ტომარაძე | 19 | 7 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 |
| თავართქილაძე | 6 | 2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 |
| მაისურაძე | 27 | 14 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 |
| ჯგერენაია | 16 | 6 | 10 | 0 | 1 | 1 | 2 |
| ლომოური | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| შარაბიძე | 37 | 25 | 10 | 2 | 0 | 0 | 3 |

გუშინ საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა B დივიზიონში წაგება-მოგებათა რაოდენობა გაათანაბრა - ბელორუსებს 75:69 აჯობა. **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებს 3 წაგების წილ 3 მოგება მოუგროვდათ.

ამ შეხვედრით საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა მეორე ჯგუფური ეტაპი მოისტუმრა და მეცამეტე ადგილისთვის ბრძოლაში ჩაერთვება. ჩვენიანებს მესამე ჯგუფურ ტურნირში ბოსნიის, შვეიცარიისა და ბელარუსის 18-წლამდელთა ნაკრებებთან მოუწევს სიტუაციის გარკვევა. ვინაიდან, ჩვენ ბელარუსებს მოვუგეთ, სატურნირო ცხრილში მოგება უკვე გვიწერია და მხოლოდ ბოსნიასა და შვეიცარიას ვეთამაშებით.

ახლა უფრო კონკრეტულად საქართველო-ბელარუსის მატჩზე. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია გუნდის ერთ-ერთ ლიდერ **ნიკა მეტრეველს.** მის არყოფნაში სათამაშო დრო გაეზარდათ მეფარეებს **დავით მაისურაძესა და გიორგი შარაბიძეს.** პირველმა 27 წუთში 14 ქულა ჩააგდო, ხოლო მეორემ 37 წუთში 25 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. მატჩის მოგების მთავარი მიზეზიც ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობა იყო. ქართველებმა ბურთი 44-ჯერ მოხსნეს, ხოლო ბელარუსებმა - 32-ჯერ. ჩვენიანებმა 57-დან 32 ორქულიანი გამოიყენეს, ხოლო მეტოქემ - 45-დან 22.

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ფინეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. საქართველო | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. ბელარუსი | 3 | 0 | 3 | 3 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

## მეზობლის მარწუხებში

**საქართველო-თურქეთი 51:69**

9:16, 13:15, 14:16, 15:22

| საქართველო | წთ | ქ | მ | პ | ჩ | დ | შ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაშვილი | 24 | 6 | 1 | 1 | 2 | 0 | 0 |
| შენგელია | 26 | 8 | 12 | 2 | 1 | 0 | 2 |
| პირველაშვილი | 7 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| წივწივაძე | 32 | 0 | 4 | 4 | 1 | 0 | 6 |
| ცეკვავა | 16 | 3 | 4 | 0 | 1 | 0 | 1 |
| შერმადინი | 33 | 20 | 9 | 1 | 0 | 2 | 1 |
| ჯგერენაია | 5 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გაფრინდაშვილი | 19 | 4 | 1 | 2 | 0 | 0 | 5 |
| მათიაშვილი | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ფაცაცია | 24 | 4 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 |

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ლიტვის დედაქალაქ რიგაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პირველი მატჩი ჩაატარა. **დავით უსტიაშვილის** გუნდი თურქ თანატოლებს დაუპირისპირდა და 51:69 დათმო.

ჩვენმა მეზობლებმა პირველივე პერიოდში მოიპოვეს უპირატესობა, 16:9 დაწინაურდნენ და საფინალო სირენამდე ისე მიაღწიეს, რომ გამარჯვება ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ.

ქართველთა წაგება ორმა მიზეზმა განაპირობა - უკანა ხაზში თურქების უპირატესობამ და შეტევაში ჩვენმა სუსტმა თამაშმა.

ძირითადი შემადგენლობის გამთამაშებელმა **გიორგი გაფრინდაშვილმა** ხუთი ჯარიმა 18 წუთში მოაგროვა და მატჩის ნაადრევად დასრულება მოუწია. სასტარტოს მეორე უკანაa წელ **ბექა წივწივაძეს** შეტევაში ბევრი ვერაფერი გამოუვიდა, მატჩი უქულოდ, თუმცა 4 პასით დაასრულა. სამაგიეროდ, შეუჩერებელი იყო თურქების გამთამაშებელი **ბალბაი,** რომელმაც 16 ქულა, 6 მოხსნა და 5 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

ახლა რაც შეეხება შეტევას. დავით უსტიაშვილის შეგირდებმა 33-დან ოდენ 14 ორქულიანი გამოიყენეს, ხოლო 21 საჯარიმოდან 10 ააცილეს. საპასუხოდ მეზობლებმა 42-დან 22 ორქულიანი და 13-დან 10 საჯარიმო ჩააგდეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს თავისუფლად თამაშში ხელი სასტარტო მღელვარებამ შეუშალა. იმედი დავიტოვოთ, რომ ჩვენიანები დღეს, იტალიასთან უკეთ ითამაშებენ, თუმცა გაიმარჯვებენ თუ არა, ამას მატჩის ოქმი გვეტყვის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ფეხბურთიადა და სპორტული სკივრი
# ფეხბურთიადა წლების მიხედვით



1895 წელი. ინგლისის თასის ფინალი. ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩ ალბიონი 2:0



ბურთის ფლობის ოსტატობა ძვ.წ.ა IV ს.

დასაწყისი „ლელო“ №88-დან

**პოლიციელები** რომ შიგადაშიგ კანონებს არღვევენ, არც ერთ ქვეყანაში გასაკვირი არ არის, მაგრამ ის, რაც 1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის, ურუგვაის პოლიციელმა ჩაიდინა, უმაგალითოა. ნახევარფინალი. ურუგვაი-იუგოსლავია. უტევენ მასპინძლები. ბრწყინვალე პასი და **ირიარტეს** ზღაპრული გოლი გააქვს. მსაჯი ცენტრისკენ იშვერს ხელს. კომბინაცია კი ასე განვითარდა - ბურთი პირით ხაზს 2 მეტრით გადასცდა. იქვე მდგომმა პოლიციელმა გამჭოლი პასი განახორციელა. დარტყმა, გოლი! გამარჯვებულებს არ ასამართლებენ! (6:1).

**ფაქტია**, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს, რომლის აქტიური მონაწილე იყო ავსტრია-უნგრეთის იმპერია, ქვეყანაში ტარდებოდა საფეხბურთო პირველობა! 1914 წელს ჩატარდა საშემოდგომო პირველობა, 1915-ში ორი - საგაზაფხულო და საშემოდგომო. 1916 წელს კი, როდესაც ყველაზე სისხლისმღვრელი ბატალიები მიმდინარეობდა, მართალია, სათასო სისტემით, მაგრამ ჩემპიონატი მაინც ჩატარდა. უყვარდა **ფრანც-იოზეფს** ფეხბურთი!

**ევროპულმა** ოთხმა გუნდმა წინასატურნირო ორკვირიანი მომზადება ...ტრანსატლანტიკური ლაინერის გემბანზე გაიარა. გემი მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ჩამტარებელი ქვეყნის დედაქალაქ მონტევიდეოსკენ მიიჩქაროდა. 1930 წლის შემდეგ ასეთი რამ არ მომხდარა და საეჭვოა კიდევ განმეორდეს.

**პირველი** მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე მონტევიდეოში ასიათასიან სტადიონზე მხოლოდ 90 000 ბილეთი გაყიდეს. სიფრთხილეს თავი არ სტკივა!

**1930 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონია გაიმართა პირველი მატჩის ჩატარებიდან... ექვსი დღის შემდეგ! ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობის ზეიმს დაამთხვიეს ცერემონია. ამ დღისთვის უკვე ხუთმა გუნდმა დატოვა გათამაშება. ეს ჩემპიონატი სხვა რამითაც იყო უნიკალური - მთავარი სტადიონი 100 000-იანი „სენტენარიო“, რომელიც სულ სამ (!) თვეში გადაულებელი წვიმის ქვეშ ააგეს, მხოლოდ ფინალური მატჩის დღეს დასრულდა!

**1930 წლის** ურუგვაელთა ტრიუმფის ერთ-ერთი შემოქმედი გარემარბი **კასტრო** გახლდათ. მან მეოთხე ბურთი გაიტანა. გულშემატკივართა განსაკუთრებული სიყვარული კი ამ სპორტსმენმა იმიტომ დაიმსახურა, რომ მას მარჯვენა ხელის მტევანი არ ჰქონდა. ასეა, ფეხბურთს ფეხებით თამაშობენ!

**არგენტინელთა** დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად 1930 წლის I მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ურუგვაელებთან, ერთმა ჟურნალისტმა დაასახელა ვერცხლის ქვეყნის მეკარის... ქუდის ფასონი. მისი აზრით, კეპის ზომაზე გრძელი საჩიხი უზღუდავდა გოლკიპერს მოედნის ხედვის უნარს. შედეგად 4 გაშვებული ბურთი. მეორე მიზეზად დასახელებულია ნისლი, მაგრამ არა მინდორზე, არამედ ზღვაზე. სწორედ ამის გამო არგენტინელთა გულშემატკივრებით გაძეძგილი 8 გემი მაშინ შეცურდა მონტევიდეოს ნავსადგურში, როდესაც ფინალური მატჩი უკვე დამთავრებული იყო! ვინ იცის, დაგვიანებული გულშემატკივრები ტრიბუნებზე რომ ყოფილიყვნენ, რა მოხდებოდა...

**1934 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში იუგოსლავებმა რუმინეთის კარის ძელს 8-ჯერ (!!!) მოარტყეს ბურთი. იუგებს ამ „ძელბურთებიდან“ ერთიც რომ გაეტანათ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე აღმოჩნდებოდნენ.

**პირველი** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში 1930 წელს, „საფეხბურთო დავით“ დაიწყო. ორივე ნაკრები თავისი ბურთით გამოვიდა მოედანზე. ურუგვაელებმა თავიანთი უფრო მჩატე ბურთის ლობირება დაიწყეს, არგენტინელებს საწინააღმდეგო აზრი ჰქონდათ. გადაწყდა შემდეგი - მოწინააღმდეგეებს თითო ტაიმი „თავიანთი“ ბურთით უნდა ეთამაშათ. ასეც მოიქცნენ. სხვათა შორის, პირველი ტაიმი არგენტინელებმა საკუთარი ბურთით მოუგეს მასპინძლებს, მეორე კი ურუგვაელებმა სტუმრებს (1:2, 3:0). შედეგად იმარჯვეს მასპინძლებმა - 4:2.

**სხვათა შორის**, 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოასპარეზე ესპანეთის ნაკრების უკლებლივ ყველა გოლი გუნდში მოთამაშე ბასკმა ფეხბურთელებმა გაიტანეს. ამ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი თბილისელებმაც იხილეს 1937 წელს.

**დღესაც** კი ბრაზილიელი „ტორსედორესები“ ვერ ივიწყებენ ეროვნული ნაკრების მწვრთნელს **ფლავიო კოსტას** 1934 წლის შეცდომას. მან მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ორი ვარსკვლავი - **ლეონიდასი და ტონი**, ჩეხოსლოვაკეთის გუნდთან სათამაშოდ არ გამოიყვანა, ფინალისთვის ინახავდა. შედეგად ფინალში სლავები გავიდნენ. ჩაუფლავდა ფლავიოს ყველაფერი!

**უჩვეულო** და ტრაგიკულია საფეხბურთო კლუბ „ესკუადის“ - ბასკეთის ფაქტობრივი ნაკრების ბედი. ეს გუნდი შეიქმნა ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, 1936 წელს. იგი ატარებდა ტურნეს ევროპასა და ამერიკაში. შეგროვილი თანხები დაღუპულ თანამემამულეთა ოჯახებს მოხმარდა (ბასკების თამაშმა თბილისში წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა). ტურნეს დამთავრების შემდეგ, გუნდი ჩაირიცხა მექსიკის ჩემპიონატში, რომლის დამთავრების შემდეგ დაიშალა.

ასეთი რამ ბასკებზე ადრე პარაგვაიელებმა ჩაატარეს, სამოქალაქო ომის დროს (1932-34 წწ.).

**1937 წლის** ცნობილი ევროპული ტურნეს დროს ბასკონიის ნაკრებს, რომელიც პარიზის მახლობლად, ქალაქ ბარბიზონში ვარჯიშობდა, ფრანკოს ემისრები ესტუმრნენ და კატეგორიულად მოსთხოვეს ესპანეთში დაბრუნება. ყველამ უარი განაცხადა ერთის გარდა. უარის მთქმელი, მართალია, ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო, მაგრამ დიდი მამულიშვილი ვერ გამოდგა. ეს ფეხბურთელი ფორვარდი **გოროსტიცა** გახლდათ - „მოღალატე გოროსტიცა“, როგორც მას ყოფილმა გულშემატკივრებმა უწოდეს.

**1938 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის მატჩის დროს (ბრაზილია-პოლონეთი) სამხრეთამერიკელთა ლეგენდარული ცენტრფორვარდი ჩამუხლული ბუცის გახსნილ თასმას იკრავდა. სლავთა მეკარე **მადუისკიმ** ბურთი თამაშში შეიყვანა და... პირდაპირ ლეონიდასს მიუგორა. ბრაზილიელი იმ წამს მოსწყდა თავის საქმიანობას, თამასაშეუკვრელი ბუცით ბურთი მეტოქეთა კარში გაიტანა, ისევ ჩაიმუხლა და თასმა შეიკრა. ასეა - სპორტული ეკიპირების მოწესრიგება, პროფესიონალიზმის უმთავრესი ნიშანია!

**1938 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის პარიზული ფინალის შემდეგ (იტალია-უნგრეთი 4:2) ნაგებულთა მეკარე **საბომ** განაცხადა: „დღეიდან ჩემი თავი კიდევ უფრო შემიყვარდა. თერთმეტი იტალიელი სიკვდილს გადავარჩინე!“ გოლკიპერი მუსოლინის ტელეგრამას გულისხმობდა, რომელშიც ეწერა - „გაიმარჯვეთ ან მოკვდით!“

**ომამდელმა** ბრაზილიელთა ვარსკვლავმა **ლეონიდასმა**, მანქანით სამი კაცი გაიტანა. მთელი ქვეყნის მილიონობით საფეხბურთო ფანის უდიდესი ზეწოლის შედეგად, ქვეყნის პრეზიდენტი იძულებული გახდა კერპ-დამნაშავისთვის ამნისტია გამოეცხადებინა.

**III რაიხის მიერ** ჩეხოსლოვაკეთის ოკუპაციის მიუხედავად, ამ ქვეყნის ჩემპიონატი 1944-45 წლების სეზონამდე გაგრძელდა.

**მეორე** მსოფლიო ომის დროს ფაშისტები ეძებდნენ ჟიულ რიმეს თასს. რამდენჯერმე გაჩხრიკეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წევრის **ოტორინო ბარასის** ბინაც. ვერ იპოვეს... ცუდად ეძებდით, ბიჭებო! მოხერხებულმა სინიორ ოტორინომ ოქროს თასი ლოგინის ქვეშ, გახეული ფეხსაცმელების გროვაში დამალა. არავის მოსვლია აზრად, იქ შემძვრალიყო. ომის შემდეგ კი თასი ფიფას დაუბრუნდა. ყველამ დაინახა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ქვეყანას ოქროს პრიზის არა მარტო მოგება შეძლებია, არამედ შენარჩუნებაც! ვივა, იტალია!

**1948 წლის** ოლიმპიური ჩემპიონები ფეხბურთში - შვედები, მთელი შემადგენლობით იტალიელებმა იყიდეს და მოქალაქეობა მისცეს. ევროინტეგრაციაც ამას ჰქვია.

**უაღრესად** კეთილშობილური საქციელი ჩაიდინეს იტალიურმა კლუბებმა 1948 წელს, როდესაც ქვეყნის საუკეთესო გუნდის „ტორინოს“ ყველა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. გადაწყდა: ტურინელებთან თამაშისას მოწინააღმდეგეები მხოლოდ დუბლიორებს გამოიყვანდნენ. ასეც მოხდა და „ტორინო“ ჩემპიონი გახდა. გრაციე, კალჩონერებო!

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## აგვისტო მსოფლიო სპორტის ისტორიაში

**1 აგვისტო. 1936 წელი.** ბერლინში ამ დღეს დაიწყო და 16 აგვისტოს დასრულდა ზაფხულის XI ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 49 ქვეყნის 3963 სპორტსმენი მონაწილეობდა.

**4 აგვისტო. 1957 წელი.** გერმანიის „გრან-პრის“ მოგების შემდეგ არგენტინელმა **ხუან მანუელ ფანხიომ** „მაზერატით“ მეხუთედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი ფორმულა 1-ში. ეს მიღწევა მხოლოდ 2003 წელს გააუმჯობესა გერმანელმა **მიხაელ შუმახერმა**, რომელმაც ჩემპიონობა მეექვსედ მოიპოვა.

**5 აგვისტო. 1985 წელი.** ამ დღეს სოფიაში დაიწყო და 11 აგვისტოს დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში, რომელიც სენსაციური მოვლენით შევიდა მსოფლიო სპორტის ისტორიაში. გერმანელმა **მიხაელ გროსმა** ოქროს 6 მედალი დაიმსახურა, ბატერფლაით 200 მ-ზე ცურვა კი ახალი მსოფლიო რეკორდით მოიგო - 1,56,65 წთ.

**6 აგვისტო. 1889 წელი.** ამ დღეს უკანასკნელად გაიმართა კრივში ორთაბრძოლა შიშველი ხელით (უხელთათმანოდ). 75-რაუნდიან ბრძოლაში ამერიკელმა **ჯონ ლოუერს სალივანმა** დაამარცხა თანამემამულე **ჯეკ კილრეინი**.

**6 აგვისტო. 1926 წელი.** 19 წლის ამერიკელმა **გერტრუდ ედერლემ** ქალთაგან პირველმა გადაცურა ლამანშის სრუტე. ეს მოხდა 1924 წელს. ამ დროს ედერლე იყო ოლიმპიური ჩემპიონი (1924) თავისუფალი სტილით 4X100 მ. ესტაფეტაში. სრუტის გადაცურვას სპორტსმენმა 14 საათი და 31 წუთი მოანდომა. შინ დაბრუნებულს ბროდვეიზე 2 მილიონამდე ადამიანი შეეგება.

**6 აგვისტო. 1990 წელი.** ქართველმა ველომრბოლმა **ვლადიმერ ადამაშვილმა** მოსკოვის ტრეკზე 200 მ. ჰიტში სვლით მსოფლიო რეკორდი დაამყარა - 10,099 წმ.

გაგრძელება იქნება

## ვიქტორინა
### ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორია

**1. რომელი წლიდან იმართება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი?**
ა - 1928 წლიდან
ბ - 1930 წლიდან
გ - 1932 წლიდან

**2. რომელ წელს დაარსდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა)?**
ა - 1863 წელს
ბ - 1869 წელს
გ - 1904 წელს

**3. რა ჰქვია ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ ჯილდოს?**
ა - „ფიფას მსოფლიო თასი“
ბ - „მსოფლიო თასი“
გ - „ჟიულ რიმეს თასი“

**4. რომელ წელს დაეუფლა ნიკეს ოქროს ქანდაკებას, მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ ჯილდოს ბრაზილიის ნაკრები მესამედ?**
ა - 1966 წელს
ბ - 1970 წელს
გ - 1974 წელს

**5. ნიკეს ოქროს ქანდაკება რამდენ ჩემპიონატში თამაშდებოდა?**
ა - პირველ შვიდში
ბ - პირველ რვაში
გ - პირველ ცხრაში

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ა, 4 - ბ, 5 - გ.

## კვიმატი ობიექტივი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ბატონყმობა გადავარდა

## ყველაფერს აქვს დასასრული... ფედერერმა ტახტი ნადალს დაუთმო


ფედერერი კარლოვიჩმაც დაამარცხა

**როჯერ ფედერერმა** ისევ წააგო. მაგრამ ეს უკვე აღარავის უკვირს. ვისაც არ ეზარება, ვინც ოდნავ მაინც ინდომებს და რაც მთავარია, ვინც დიადი შვეიცარიელის კომპლექსი გადალახა, ყველამ მოუგო მსოფლიოს პირველ ჩოგანს. გასულ კვირას, ტორონტოს მასტერსზე ფრანგმა **ჟილ სიმონმა** გამოიჩინა თავი, ამჯერად კი ის, რაც ამერიკელმა **რობი ჯინეპრიმ** ვერ შეძლო, ხორვატმა **ივო კარლოვიჩმა** გააკეთა.

ივომ და როჯერმა უცნაური მატჩი გამართეს. ჩოგბურთელებმა ორი საათი და ათი წუთი დაჰყვეს კორტზე და ამ ხნის განმავლობაში ერთადერთი ბრეიკი დაფიქსირდა - მეორე სეტში ფედერერმა მოიგო გეიმი მეტოქის მოწოდებაზე და სეტებს შორის ანგარიში გაათანაბრა. დანარჩენ შემთხვევებში კი, ჩოგბურთელები საკუთარ მოწოდებას ინარჩუნებდნენ. განსაკუთრებით კარგად მოწოდებაზე თამაში მეორე სეტში გამოსდიოდათ, რომლის დროსაც, ხორვატმა მიღებაზე მხოლოდ 2 (!!!) ქულა მოიგო. მიუხედავად ამისა, კარლოვიჩს არ გასჭირვებია საქმის ტაი-ბრეიკამდე მიყვანა, სადაც 8:6 გაუსწორდა მეტოქეს.

ივომ ნავსი გატეხა: აქამდე ექვსჯერ ჰქონდა ნათამაშები ფედერერის წინააღმდეგ და ყოველთვის დამარცხებული ტოვებდა კორტს. ხორვატმა 22 ეისით დაასრულა შეხვედრა.

*"რა თქმა უნდა, ძალიან დასანანია, როცა არც ერთ საკუთარ გეიმს არ დათმობ და მაინც დამარცხებული დარჩები. თუმცა ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ივო ასეთ სტილში იგებს შეხვედრებს,* - განაცხადა ფედერერმა, რომელმაც კარიერაში პირველად დათმო მატჩი ისე, რომ საკუთარ მოწოდებაზე არც ერთი გეიმი არ წაუგია. - *ჯერჯერობით, ყველაფერი წესრიგშია. საკუთარი თამაშის ანალიზს აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ ჩავატარებ. წინ კიდევ ბევრი დიდი ტურნირი მელის და დარწმუნებული ვარ, წლის ბოლომდე ავინაზღაურებ დაკარგულს".*

როჯერი ტყუის. ყველაფერი წესრიგში არ არის. შვეიცარიელი აშკარად კრიზისში იმყოფება. წელს მას ერთადერთი ტურნირი აქვს მოგებული - ისიც პორტუგალიის ეშტორილში, სადაც მის გარდა, ATP-ის ტურის არც ერთი ლიდერი არ იყო ჩასული. ყველაფერი წესრიგში იმიტომაც არ არის, რომ ფედერერმა პრაქტიკულად დაკარგა კლასიფიკაციაში პირველი ადგილი.

ATP-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა იმ ვარიანტების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც, ესპანელი **რაფაელ ნადალი** შეიძლება მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდეს.

1. თუ ნადალი ცინცინატის მასტერსს მოიგებს, ის უკვე ორშაბათს გამოცხადდება რეიტინგის ახალ ლიდერად. ესპანელი ჩოგბურთის ისტორიაში 24-ე მოთამაშე იქნება, ვინც კლასიფიკაციის ლიდერობა იტვირთა. მანამდე ესპანელებს შორის რეიტინგის ლიდერები **კარლოს მოია** (1999) და **ხუან კარლოს ფერერო** (2003) იყვნენ;

2. თუ ნადალი ცინცინატიში ფინალს მიაღწევს, 11 აგვისტოს ჩამოაგდებს ფედერერს მეფის ტახტიდან;

3. თუ რაფა ნახევარფინალში გავა, 18 აგვისტოს გამოცხადდება ATP-ის ახალ პირველ ჩოგნად;

4. ერთადერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ესპანელი აშშ-ის ღია პირველობამდე ვერ გახდება პირველი ჩოგანი, შემდეგში მდგომარეობს: აგებს ცინცინატიში მეოთხედფინალს, ფედერერი იგებს ოლიმპიადას, ხოლო ნადალი ვერ გადის ოლიმპიადის მესამე წრეში.

ამჯერად რაფაელ ნადალს დიდი ბრძოლა დასჭირდა გერმანელი **ტომი ჰაასის** დასამარცხებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩოგბურთელები ტურში დიდი ხანია ასპარეზობენ, ესპანელი და გერმანელი მხოლოდ მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს და მესამედ გამარჯვება რაფას ხვდა წილად. ნადალმა ზედიზედ 31-ე მატჩი მოიგო. ჰაასის წინააღმდეგ 8 ეისი შეასრულა და პირველ მოწოდებაზე ქულების 71 პროცენტი მიითვალა. რაფაელს უფრო ადრეც შეეძლო შეხვედრის მოგება, მაგრამ მეორე სეტის მე-12 გეიმში მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენა. თუმცა ტაი-ბრეიკში ესპანელის უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა და მან ერთი ქულაც არ დაუთმო ჰაასს.

ახლა ყველანი ნადალისა და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** ნახევარფინალის მოლოდინში ვართ. მანამდე ესპანელმა ეკვადორელ **ნიკოლას ლაპენტის** უნდა მოუგოს, ჯოკოვიჩმა - ლატვიელ **ერნესტ გულბისს**. ნოვაკი ნელ-ნელა შედის ფორმაში. მერვედფინალში მან მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო იტალიელ **ანდრეას სეპის** და წესით, გულბისის დამარცხებაც არ უნდა გაუჭირდეს.

წელს, ნადალი და ჯოკოვიჩი პირველად ინდიან უელსის მასტერსზე შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვება სერბს დარჩა, თუმცა ამ მეტოქეების მომდევნო სამ შეხვედრაში, ნოვაკმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია რაფას.

■ ■ ■

მოკლედ, ნადალმა ლაპენტის უნდა მოუგოს და ფედერერის ოთხწლიანი ბატონობა დაემხობა. გაცილებით მცირეხნიანი შეიძლება გამოდგეს WTA-ის რეიტინგში სერბი **ანა ივანოვიჩის** ლიდერობა. გუშინდელ მიმოხილვაში ვთქვით იმის შესახებ, რომ ანა აშკარად ამოვარდნილია ფორმიდან, რისი დამადასტურებელიც გამოდგა 17 წლის ავსტრიელთან, **ტამირა პაჩეკთან** გუშინდელი მარცხი. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მხოლოდ მეორე სეტში აჩვენა ღირსეული თამაში, პირველსა და მესამე პარტიებში კი, ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ნაკლებად ცნობილ მეტოქეს.

ივანოვიჩს ასეთ მოწინააღმდეგეებთან წაგება არ ეპატიება. პაჩეკს ამ სეზონში მხოლოდ სამი მატჩი ჰქონდა მოგებული. გარდა ამისა, გასულ კვირას, ლოს-ანჯელესის ტურნირის პირველ წრეში მოგებამდე, ზედიზედ ექვს ტურნირში პირველივე რაუნდიდან ეთიშებოდა მთავარი პრიზისთვის ბრძოლას. მიუხედავად ამისა, ივანოვიჩმა იმდენი შეძლო, რომ ასეთი დაბალი დონის მოთამაშესთან სამარცხვინოდ წააგო.

ანამ თავი იმართლა - მთელი მატჩის განმავლობაში მარჯვენა ხელის ცერა თითი საშინლად მტკიოდაო. სერბმა ისიც კი განაცხადა, რომ შეიძლება აქედან არა პეკინში, არამედ ევროპაში გავფრინდე და ექიმებს ტრავმირებული თითი ვაჩვენოო.

ასეა თუ ისე, ივანოვიჩმა შეიძლება ამ კვირას დაკარგოს საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ მოპოვებული პირველი ადგილი. ბრწყინვალე ფორმაში შევიდა ანას თანამემამულე **ელენა იანკოვიჩი**, რომელსაც ფინალში გასვლაც ეყოფა იმისთვის, რომ WTA-ის რეიტინგის ახალი პირველი ჩოგანი გახდეს.


ანა ივანოვიჩი

### ATP

**ცინცინატის მასტერსი**

ცინცინატი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 2 615 000 დოლარი

**II წრე**

**კარლოს მოია** (ესპ)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 7:6 (8), 4:6, 6:2.

**1/8 ფინალი**

**ივო კარლოვიჩი (ხორ, 16)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 7:6 (6), 4:6, 7:6 (5); **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ტომი ჰაასი (გერ) 6:4, 7:6 (0); **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:1, 6:2; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 7) 6:4, 1:6, 6:3; **ენდი მარეი (ბრიტ, 8)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:3, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10) 6:3, 7:5; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ) 7:6 (4), 5:7, 7:6 (8); **კარლოს მოია (ესპ)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:4, 7:6 (2).

**1/4 ფინალში ხვდებიან**

კარლოვიჩი (16)-კოლშრაიბერი; მარეი (8)-მოია; ჯოკოვიჩი (3)-გულბისი; ნადალი (2)-ლაპენტი.

### WTA

**Rogers Cup**

მონრეალი (კანადა). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 340 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ტამირა პაჩეკი (ავსტრია)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 1) 6:2, 1:6, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-სტეფანი დუბუა (საფ) 6:3, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4)**-მიშელ ლარშერდ დე ბრიტუ (პორ) 7:5, 2:6, 6:4; **დინარა საფინა (რუს, 7)**-პატი შნიდერი (შვეიც, 9) 6:2, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 10)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6) 4:6, 7:5, 7:6 (4); **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 11)**-ვირდინ რაზანო (საფ) 2:0 რაზანოს ტრავმა; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)**-ნადია პეტროვა (რუს, 12) 7:6 (2), 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

აზარენკა (11)-პაჩეკი; კუზნეცოვა (4)-საფინა (7); ბარტოლი (10)-სუგიამა; იანკოვიჩი (2)-ციბულკოვა.

**Nordic Light Open**

სტოკჰოლმი (შვედეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 145 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 4)**-ემა ლაინე (ესტ) 6:1, 6:0; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 5)**-ბარბარა სტრიჩოვა (ჩეხ) 6:1, 6:0; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-სანია მირზა (ინდ, 6) 4:6, 6:3, 6:3; **კამილ პინი (საფ)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:3, 6:2; **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)**-ელენა კამერინი (იტა) 6:3, 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ა. რადვანსკა (1)-პინი; ვოზნიაჩკი (4)-მედინა გარიგესი (5); სრებოტნიკი (3)-რუანო პასკუალი; ბენეშოვა-დუშევინა.

ტრავმები

# პეკინი შარაპოვასა და ბაღდატისის გარეშე

გუშინდელ საჩოგბურთო მიმოხილვაში გაუწყეთ, რომ მონრეალში მიმდინარე ქალთა პირველი კატეგორიის ტურნირზე მხარის ტრავმა მიიღო რუსმა **მარია შარაპოვამ**. მსოფლიოს მესამე ჩოგანმა დიდი გაჭირვებით შეძლო პოლონელ **მარტა დომახოვსკასთან** პირველი წრის მატჩის მოგება, მაგრამ მომდევნო ეტაპზე იაპონელ **აი სუგიამასთან** თამაშზე უარი განაცხადა და ტურნირიდან მოიხსნა.

რამდენიმე საათის შემდეგ კი, შარაპოვამ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასეთი განცხადება გაავრცელა:

*"სამწუხაროდ, პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლის არანაირი შანსი არ მაქვს. გუშინდელი მატჩის დროს მივხვდი, რომ მხარი წესრიგში არ მაქვს. რამდენიმე გამოკვლევისა და მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის შემდეგ, ექიმებმა დაადგინეს - ტრავმა საკმაოდ სერიოზულია. მკურნალობას დიდი დრო დასჭირდება, რის გამოც პეკინში გამგზავრება არ შემიძლია.*



*ახლა ნიუ-იორკში გავფრინდები, რადგან ამერიკელი ექიმების აზრიც მაინტერესებს. ნებისმიერ შემთხვევაში, სიტუაცია არ შეიცვლება და ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრებს ჩემს გარეშე მოუწევს გამოსვლა".*

ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის შარაპოვას ქალთა ოლიმპიური ტურნირის ძირითად ბადეში.

■ ■ ■

ერთი სერიოზული დანაკლისი აქვს მამაკაცთა ტურნირსაც. პეკინში ვერ მიემგზავრება კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი**.

ტოპ-ათეულის ყოფილ წევრს მაჯის ტრავმა აწუხებს, რის გამოც ოთხი კვირა ვერ შეძლებს კორტზე გასვლას. სწორედ ამ დაზიანების გამო, მარკოსმა ტორონტოსა და ცინცინატის მასტერსები გამოტოვა. ამას გარდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მისი აშშ-ის ღია პირველობაზე თამაშიც.

# უიღბლო ცონგა



ტრავმებთან დაკავშირებული პრობლემები აქვს ავსტრალიის წლევანდელი ტურნირის ფინალისტს, **ჟოვილფრიდ ცონგას**. დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ფრანგი ჩოგბურთელი აშშ-ის ღია პირველობამდე ვერც ერთ ტურნირში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

მუხლზე გაკეთებული ოპერაციის გამო, ცონგამ როლან გაროსი და უიმბლდონი გამოტოვა. მან ჯერაც ვერ მოირჩინა ეს ტრავმა და დღემდე არ არის ცნობილი, ითამაშებს თუ არა "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირზე - აშშ-ის ღია პირველობაზე. წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ფრანგი პეკინის ოლიმპიურ თამაშებს გამოტოვებდა.

ცონგას მწვრთნელის სიტყვებით, მისი შეგირდი უახლოეს დღეებში ჩაიტარებს მორიგ სამედიცინო გამოკვლევას, რის შემდეგაც ცნობილი გახდება, თუ როდის განაახლებს ჩოგბურთელი აქტიურ ვარჯიშს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

უფასო ბიბლიოთეკა

ოლიმპიადის წინ

# ლებრონი დაბრუნდა

"დრიმ თიმი" უკვე ჩინეთში იმყოფება და იქ ერთი საჩვენებელი მატჩის გამართვაც მოასწრო - ამერიკელი კალათბურთელების მეტოქე თურქეთის ნაკრები იყო. შეხვედრის საბოლოო ანგარიში ნათლად ასახავს ამ გუნდებს შორის კლასში განსხვავებას. NBA-ის ვარსკვლავებმა 32 ქულის სხვაობით (114:82) მოიგეს, თუმცა ევროპელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ პირველ მეოთხედში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და ფრედ ითამაშეს მატჩის საწყისი მონაკვეთი.

შეხვედრის ბედი მეორე მეოთხედში გადაწყდა. "ოცნების გუნდმა" მხოლოდ 7 ქულა ჩააგდებინა მეტოქეს, თავად 23 ქულა მოაგროვა და შემდეგ ახლოს აღარ მიიკარა მოწინააღმდეგე.

ამერიკელებისთვის მთავარი კარგი ამბავი ის იყო, რომ გუნდს დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული **ლებრონ ჯეიმსი**. "კლივლენდის" ლიდერი დაახლოებით 8 დღე განთავისუფლებული იყო ვარჯიშებიდან, თუმცა უთამაშებლობა არ დასტყობია და გუშინდელ ამხანაგურში თავისი გუნდის რიგებში ყველაზე შედეგიანიც გახლდათ. ჯეიმსმა სულ 23 წუთი დაჰყო მოედანზე და ამ დროის განმავლობაში 20 ქულა (თამაშიდან 9-ჯერ ისროლა და 8 ბურთი ზუსტად მოათავსა კალათში), 6 მოხსნა, 5 ჩაჭრა და 4 პასი დააგროვა.

ამერიკამ დაცვაში ბრწყინვალედ ითამაშა - ჯამში 16 ჩაჭრა გააკეთა, აქედან 5-5-ჯერ გამოიჩინეს თავი ჯეიმსმა და კობი ბრაიანტმა. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელს შეტევაში არ წაუვიდა თამაში - მართალია, შვიდი შედეგიანი პასი შეასრულა, მაგრამ 5 "ცოცხალი" ტყორცნიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა და შვიდი ქულით დაასრულა შეხვედრა.

**აშშ-თურქეთი 114:82**

30:30, 23:7, 33:22, 27:23

**აშშ**: ჯეიმსი (20+5 ჩაჭრა), ენტონი (17), დ. ჰოვარდი (14+8 მოხსნა), უეიდი (13), ბოში (13), როლი (12+6 პასი).

**თურქეთი**: აქიოლი (22), გონლუმი (12), ილიასოვა (10), არსლანი (10).



ლებრონ ჯეიმსი

# ლიტვა სონგაილას გარეშე

ოლიმპიური თამაშების წინ ლიტვის საკალათბურთო ნაკრებმა სერიოზული დანაკლისი განიცადა. პეკინში ვერ მიდის "ვაშინგტონ უიზარდსის" ფორვარდი **დარიუს სონგაილა**, რომელსაც ექიმებმა ხერხემლის ტრავმა დაუდგინეს. 30 წლის კალათბურთელისთვის ეს კარიერაში რიგით მესამე ოლიმპიადა უნდა ყოფილიყო.

ამ დანაკლისის შემდეგ, ბალტიისპირელთა საბოლოო შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო:

**მცველები**: შარუნას იასიკიავიჩუსი ("პანათინაიკოსი", საბერძნეთი), ტომას დელინიკაიტისი ("აზოვმაში", რუსეთი), რიმანტას კაუკენასი ("მონტეპასკი", იტალია), მარიუს პრეკიავიჩუსი ("ლეტუვოს რიტასი"), რამუნას შიშკაუსკასი (ცსკა, რუსეთი);

**ფორვარდები**: მინდაუგას ლუკაუსკისი ("ლეტუვოს რიტასი"), ლინას კლეიზა ("დენვერი", NBA), სიმას იასაიტისი ("ტაუგრესი", ესპანეთი), მიონას მასიულისი ("ჟალგირისი"), კშიშტოფ ლავრინოვიჩი ("მონტეპასკი", იტალია), დარიუშ ლავრინოვიჩი (უნიქსი, რუსეთი);

**ცენტრები**: რობერტას იავტოკასი ("დინამო", რუსეთი), მარიონას პეტრავიჩუსი ("ლეტუვოს რიტასი").

# ბუში ბაიკერი გახდა



ბოლო პერიოდში ამერიკის პრეზიდენტის **ჯორჯ ბუშის** საყვარელ გართობად მთის ველოსიპედი (მაუნტინბაიკი) იქცა. პეკინში ყოფნისას ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად, ბუში იმ ტრასაზე ვარჯიშს აპირებს, სადაც ოლიმპიელები ოქროს მედლებს გაითამაშებენ. *"ერთხელ, ჩინეთის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად გავისეირნე მთის ველოსიპედით და იმავეს გაკეთებას ოლიმპიადის დროსაც ვაპირებ. უბრალოდ, ოდნავ უფრო მარტივ მარშრუტს შევარჩევ, რადგან, როგორც ვიცი, ოლიმპიური ტრასა საკმაოდ რთული გასავლელია"*, - აცხადებს ამერიკის პრეზიდენტი.

ბუში ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გულშემატკივარიც იქნება. მან დაადასტურა, რომ აუცილებლად დაესწრება ამერიკისა და ჩინეთის საკალათბურთო ნაკრებთა შეხვედრას, გარდა ამისა, სხვა შეჯიბრებებზე მისვლასა და ამერიკელი სპორტსმენების გამხნევებას აპირებს. *"ძალიან საინტერესო შთაბეჭდილებები მელის, ვინაიდან ზაფხულის ოლიმპიადას არასოდეს დავსწრებივარ. ასევე სასიამოვნო უნდა იყოს თანამემამულე სპორტსმენების გამხნევება, რადგან ჩვენი ამოცანა - ყველაზე მეტი მედლის მოგებაა"*, - ამბობს ბუში. ის მეუღლესთან, **ლორა ბუშთან** ერთად 5 დღეს დაჰყოფს პეკინში.

# 60 წლის დებიუტანტი

პეკინში, ოლიმპიურ თამაშებზე დებიუტი ექნება ავსტრალიელ ცხენოსანს, **ლორი ლევერს**. ამ ამბავში უცნაური ის არის, რომ სპორტსმენი 60 წლის გახლავთ.

ლევერი 10 წელია სპორტის ამ სახეობას მისდევს. დისციპლინას, რომელშიც ის ოლიმპიადაზე გამოვა, ცხენის გაწვრთნა ჰქვია. ლორიმ განაცხადა, რომ მხოლოდ ბოლო წლებში იპოვნა ისეთი ბედაური, რომლის წყალობითაც მას ოქროს მედლისთვის ბრძოლა შეეძლება.

ლორი ლევერი ავსტრალიის ნაკრების ყველაზე ხანდაზმული წევრია. მთლიანად ავსტრალიელ ოლიმპიელთა საშუალო ასაკი კი, 26 წელია. 60 წლის სპორტსმენი ყოველდღე ველოსიპედით სეირნობს და ასე ინარჩუნებს ფიზიკურ ფორმას.

ასეთი ასაკის მიუხედავად, ავსტრალიელი მაინც არ გახლავთ ოლიმპიური თამაშების ყველაზე ასაკოვანი მონაწილე. მედლებისთვის იბრძოლებს 67 წლის იაპონელი **ჰიროში ჰოკეცუ**, რომელიც ბოლოს ოლიმპიურ თამაშებზე 1964 წელს, ტოკიოში გამოდიოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| მილანი-სევილია | 0:1 |
| სელტიკი-ტოტენჰემი | 0:2 |
| არმინია-ტვენტე | 0:0 |
| ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 2:0 |
| გრონინგენი-აპელდოორნი | 4:2 |
| ლოკომოტივი-ჩელსი | 1:1, პენ. 5:4 |
| ნიუკასლი-ჰერტა | 0:1 |
| ალმენია-შალკე | 0:4 |
| დონკასტერი-ბოლტონი | 0:5 |
| ბრისტოლი-ანტვერპენი | 4:0 |
| ფეიენოორდი-დორტმუნდი | 1:2 |
| ჰერეფორდი-ვესტ ბრომვიჩი | 1:2 |
| საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი | 2:2 |
| მალიორკა-ჰანოვერი | 4:2 |
| გიმარაეში-პსჟ | 2:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-შატორუ | 0:1 |
| ამიენი-ბულონი | 1:1 |
| ანჟერსი-რეიმსი | 3:1 |
| კლერმონი-ვანი | 0:1 |
| ტურსი-სედანი | 2:1 |
| ტრუა-ბასტია | 1:2 |
| გინგამი-მეცი | 0:1 |
| ლანსი-დიჟონი | 3:1 |
| ნიმი-ბრესტი | 0:1 |
| **ავსტრია** | |
| მატერსბურგი-ალტახი | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ლუშტენაუ-აუსტრია A | 1:2 |
| ადმირა-აუსტრია (ლ) | 0:2 |
| გრატკორნი-ზალცბურგი A | 2:1 |
| ლეობენი-სტ. პოლტენი | 2:1 |
| ფოკლაბრუკი-ვინერი | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-კობ რამბლერსი | 3:0 |
| დერი-შემროკი | 0:1 |
| დროგედა-ბრეი | 2:0 |
| ფინ ჰარპსი-გალვეი | 0:2 |
| **უკრაინა** | |
| ჩერნომორეცი-კარპატი | 3:0 |
| **სლოვენია** | |
| გორიცა-რუდარი | 0:2 |
| **უნგრეთი** | |
| ვაშაში-უიპეშტი | 4:2 |
| **რუმინეთი** | |
| გლორია (ბის)-უნივერსიტატეა | 2:0 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ცინცინატი (მასტერსი)** | |
| მარეი-მოია | 2:6, 6:3, 6:1 |
| კარლოვიჩი-კოლშრაიბერი | 7:6, 7:6 |
| ჯოკოვიჩი-გულბისი | 6:3, 6:4 |
| **WTA. მონრეალი** | |
| იანოკვიჩი-ციბულკოვა | 5:7, 2:6 |
| ბარტოლი-სუგიამა | 6:2, 6:3 |
| **WTA. სტოკჰოლმი** | |
| დუშევინა-ბენეშოვა | 6:3, 6:3 |
| სრებოტნიკი-რ. პასკუალი | 6:2, 6:0 |
| ა. რადვანსკა-პინი | 6:2, 6:0 |
| ვოზნიაკი-მედინა გარიგესი | 6:1, 6:3 |

## TV სპორტი

### 2 აგვისტო. შაბათი

**RenTV**

15:45 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. XI ეტაპი. კვალიფიკაცია. უნგრეთის გრანპრი. (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:05 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
13:50 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. კოტბუსი-ჰანზა.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:50 რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-მოსკოვი (LIVE).
18:00 ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
19:55 საფრანგეთის სუპერთასი. ბორდო-ლიონი (LIVE).
22:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:20 ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი.
00:05 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ჰანზა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
08:25 სპორტკლუბი.
08:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-შალკე.
10:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მილანი-სევილია. მოსკოვი. რუსეთი.
12:00 სპორტის სამყარო.
12:25 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ცინცინატი. აშშ.
16:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
16:55 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ჰოლანდია-რუსეთი.
19:15 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ლოკომოტივი-ჩელსი. მოსკოვი. რუსეთი.
21:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ვოლფსბურგი.
00:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ინტერნასიონალი (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
05:35 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. სეზონის მიმოხილვა.
06:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
11:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS117. შვეიცარია.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. 1/2 ფინალი. ავსტრია (LIVE).
14:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS117. შვეიცარია.
15:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. გერმანია.
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. ავსტრია (LIVE).
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS117. შვეიცარია.
19:30 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. გერმანია.
20:30 რალი. IRC-ს ახალი სერია. II დღე. პორტუგალია (LIVE).
21:00 ცხენოსნობა. Global Champions. ჰოლანდია.
22:15 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. მონრეალი. კანადა.
23:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. მონრეალი. კანადა (LIVE).
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
03:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. II დღე. პორტუგალია.
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.

**EUROSPORT-2**

07:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. I დღე. პორტუგალია.
07:30 ახალი ამბები.
08:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. I დღე. პორტუგალია.
08:30 ახალი ამბები.
09:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. I დღე. პორტუგალია.
09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
13:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. ფინალი. აშშ.
14:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. II დღე. პორტუგალია (LIVE).
14:30 ახალი ამბები.
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. 1/2 ფინალი. ავსტრია.
16:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. მე-3 ადგილისთვის. ავსტრია (LIVE).
17:00 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. პლეიოფი. 5-8 ადგილები. პორტუგალია (LIVE).
18:15 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალი. პორტუგალია (LIVE).
20:30 ახალი ამბები.
21:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბრიტანეთი.
21:30 არმრესტლინგი.
22:00 პროფესიული კრივი.
00:00 მულტისპორტი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. 1/2 ფინალი. პორტუგალია.
02:15 ახალი ამბები.
03:30 რალი. IRC-ს ახალი სერია. II დღე. პორტუგალია.
04:00 ახალი ამბები.
04:30 რალი. IRC-ს ახალი სერია. II დღე. პორტუგალია.
05:30 ახალი ამბები.

### 3 აგვისტო. კვირა

**RenTV**

15:55 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. XI ეტაპი. უნგრეთის გრანპრი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

10:00 საფრანგეთის სუპერთასი. ბორდო-ლიონი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. 1/4 ფინალი. პორტუგალია-გერმანია.
14:20 ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-არსენალი.
19:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 ევრო 2008. 1/4 ფინალი. რუსეთი-ჰოლანდია.
22:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ევრო 2008. 1/4 ფინალი. ესპანეთი-იტალია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ვოლფსბურგი.
08:40 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ჰოლანდია-რუსეთი.
11:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ცინცინატი. აშშ.
13:30 სპორტის სამყარო.
14:00 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მე-3 ადგილისთვის. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
15:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
16:10 სპორტკლუბი.
16:30 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
18:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ინტერნასიონალი.
19:55 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. უნივერსიტარიო-დეპორტივო.
21:40 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. სეზონის მიმოხილვა.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. ცინცინატი. აშშ (LIVE).
02:00 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
02:25 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
02:50 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ესპანეთი-იტალია.
05:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ინტერნასიონალი.

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
11:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
11:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. ავსტრია.
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. კაცები. 1/2 ფინალი. ავსტრია (LIVE).
13:00 ოლიმპიზმი. მისია - პეკინი.
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. უნგრეთი (LIVE).
14:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრანპრი. გერმანია.
15:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბრიტანეთი (LIVE).
16:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი (LIVE).
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო თასი. კაცები. ფინალი. ავსტრია (LIVE).
18:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბრიტანეთი.
18:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS117. შვეიცარია.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. 4 ერის გრანპრი. HS120. კურშეველი. საფრანგეთი (LIVE).
21:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. მონრეალი. კანადა (LIVE).
23:30 პროფესიული კრივი.
00:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.
01:30 პოკერი.
02:30 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინეთი.

**EUROSPORT-2**

06:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. II დღე. პორტუგალია.
06:30 ახალი ამბები.
07:00 რალი. IRC-ს ახალი სერია. I დღე. პორტუგალია.
12:00 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. პლეიოფი. 5-8 ადგილები. პორტუგალია.
13:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
13:30 სუპერსტოკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
14:15 ახალი ამბები.
14:30 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. უნგრეთი.
15:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბელგია (LIVE).
16:00 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. პლეიოფი. 5-8 ადგილები. პორტუგალია.
17:00 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. პლეიოფი. მე-5 ადგილისთვის. პორტუგალია (LIVE).
18:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბელგია (LIVE).
19:00 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. მე-3 ადგილისთვის. პორტუგალია (LIVE).
19:30 პლაჟის ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი. პორტუგალია (LIVE).
20:30 ახალი ამბები.
21:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ბრიტანეთი.
22:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ბრიტანეთი.
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1

# შუმახერმა კაცი გაიტანა



საბედისწერო მიკროავტობუსი

ევროპული პრესა გასაოცარი რეგულარულობით გვაწვდის ცნობებს **მიხაელ შუმახერის** უცნაური თავგადასავლების შესახებ: ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონი ხან მოტოციკლიდან ვარდება, ხან კიდევ სერიული წარმოების "ფერარის" ამსხვრევს... მაგრამ ბრიტანული The Mirror-ის გუშინდელ ნომერში გავრცელებული ინფორმაცია სულ სხვა ხასიათისა გახლავთ.

თურმე, ამ რამდენიმე დღის წინ, ინგლისში, კენტის საგრაფოში შუმახერი Fiat Ducato-ს მიკროავტობუსით ფეხით მოსიარულეს დაეჯახა. გაზეთს ამ ინციდენტის შესახებ დაზარალებულმა უამბო. ეს გახლავთ ავტომობილებით მოვაჭრე, 39 წლის **მარტინ კინგჰემი**:

*"ალბათ, ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი, რომ დღისით-მზისით, მანქანით მიხაელ შუმახერი დაგეჯახოს. ეს დაუჯერებლია.*

*მიხაელი მიკროავტობუსით პატარა "ფიატს" ასწრებდა და სწორედ ამ დროს, უკნიდან შემასკდა. წავიქეცი და როცა გავაცნობიერე, ვინც დამეჯახა, კინაღამ გული წამივიდა.*

*ეს იმ დროს მოხდა, როცა საკუთარი გარაჟის კარს ვხურავდი. ამის გამო, გზის პირას ვიდექი და სწორედ ამ მომენტში ვიგრძენი დარტყმა, რომელმაც წინ მდგარი მანქანის კაპოტზე დამანარცხა. დავინახე, რომ ლურჯი ფერის მიკროავტობუსმა წამაქცია, რომლის მძღოლსაც ძალიან ნაცნობი სახე ჰქონდა...*

*მან ყვირილი დამიწყო: "რა ჯანდაბას აკეთებ გზაზე?" ის ისეთი გაცხარებული იყო, თითქოს მე ვყოფილიყავი ყველაფერში დამნაშავე! სწორედ ამიტომ გადავწყვიტე პოლიციის გამოძახება"*, - დაწვრილებით ჰყვება ინციდენტის დეტალებს დაზარალებული.

მარტინ კინგჰემს არ შეშლია: ეს მართლაც მიხაელ შუმახერი იყო. მას იქვე ახლოს, აეროდრომზე მიეჩქარებოდა, სადაც პირადი თვითმფრინავი ელოდა.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ შუმახერს ალკოჰოლზე ტესტი ჩაუტარა და რამდენიმე შეკითხვა დაუსვა. როცა გაირკვა, რომ კინგჰემს არაფერი დაშავებია, სამართალდამცველებმა გერმანელი გაუშვეს. ისიც თავის მიკროავტობუსში შეხტა და წავიდა.

*"ჩემსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს, ბოდიშიც კი არ მოუხდია. და საერთოდაც, ძალიან ქედმაღლურად იქცეოდა. ფეხი საშინლად მტკიოდა, მაგრამ პოლიციისთვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს. ტკივილმა არც მეორე დღეს გამიარა, ისე კი, იოლად გადავრჩი.*

*თავისთავად საინტერესო ისტორიაა. არავინ დაიჯერებს, რომ მიხაელ შუმახერი მანქანით დამეჯახა. ამ ამბის მოყოლის შემდეგ, ჩემმა ცოლმა იფიქრა, რომ ვამასხარავებდი"*, - ამბობს კინგჰემი.

ინციდენტს ადასტურებს გერმანელი პილოტის პრესმდივანი **საბინ კემი**: *"შეჯახებას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ არავინ დაზარალებულა. მიხაელმა პოლიციასთან ითანამშრომლა და ამ თემაზე კომენტარების გაკეთებას არ აპირებს"*.

# კიმიმ უცოლოდ დაისვენა

გერმანიისა და უნგრეთის ეტაპებს შორის ორკვირიანი დასვენება აქტიურად გამოიყენა მოქმედმა მსოფლიო ჩემპიონმა **კიმი რაიკონენმა**. ფინელმა პილოტმა არდადეგები სამშობლოში, ქალაქ ჰანკოს სანაპიროზე გაატარა.

იმ დღეებში ჰანკოში ტრადიციული იახტ-შოუ Poker Run იმართებოდა. აქ მდიდარი ფინელები იკრიბებიან ხოლმე, რომლებიც გულგრილნი არ არიან ძვირად ღირებული და სწრაფი იახტების მიმართ.

შოუს დამსწრეთა შორის ყველაზე დიდ ინტერესს "ფერარის" პილოტის იახტა იწვევდა. თავად კიმის საზღვაო რბოლებში მონაწილეობა არ მიუღია. თვითმხილველთა თქმით, ის უბრალოდ მზიანი ამინდით ტკბებოდა, მეგობრების კამპანიაში ერთობოდა და ალკოჰოლურ სასმელებზეც არ ამბობდა უარს.



კიმის იახტა

ფინური ტაბლოიდი Iltalehti წერს, რომ რაიკონენს მხარს უმშვენებდნენ უახლოესი მეგობრები - ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **იუკი-იარვი ლეჰტო** და მომღერალი **ფრედრიკი**. გაზეთი ცალკე უსვამს ხაზს იმას, რომ კიმი ბოლომდე დატკბა თავისუფლებით: მისი მეუღლე **ჯენი** შვეიცარიაში დარჩა, სადაც ცხენოსნობაში შეჯიბრს დაესწრო.

## ფოტოინფო




სენ-ტროპეში ისვენებდა ფორმულა 1-ის ვეტერანი **დევიდ კულტჰარდი**. ისიც ბევრს მხიარულობდა და სხვებსაც ართობდა. ერთხელ კი, მეზობელი იახტის მგზავრებს უკანალი უჩვენა. სამწუხაროდ, უცნობი დარჩა, თუ რამ გამოიწვია ბრიტანელი პილოტის ამგვარი საქციელი, სამაგიეროდ, მისი მეგობრები დარჩნენ ძალიან ნასიამოვნები.

საერთოდ, კულტჰარდი ცნობილია თავისი ექსტრავაგანტური გამოხტომებით. ყველას ახსოვს 2000 წელი, როცა შოტლანდიელმა ერთ-ერთი გრანპრის დროს, შუა თითის აწევით გამოხატა მიხაელ შუმახერის მიმართ დამოკიდებულება. მიზეზიც ჰქონდა, რადგან გერმანელი ყველა ხერხით ცდილობდა დევიდის ბლოკირებას.



ისევ **რონალდო**... ამჯერად უკომენტაროდ.

# მაკლარენი 2009: ჰეიკი და ლუისი

გაირკვა მომავალი სეზონისთვის "მაკლარენის" პილოტთა შემადგენლობა. როგორც ვივარაუდეთ, 2009 წელს, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** პარტნიორი ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** იქნება. ეს ინფორმაცია გუშინ, ბრიტანული საჯინიბოს აღმასრულებელმა დირექტორმა, **მარტინ უიტმარშმა** დაადასტურა. *"მოხარულები ვართ გამოვაცხადოთ, რომ ჰეიკი კოვალაინენი კიდევ ერთი წელი დარჩება "მაკლარენის" რიგებში"*, - განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ბოლო დროს "მაკლარენში" ფინელი პილოტის მომავალი კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ჰეიკი მეტისმეტად არასტაბილურად ასპარეზობს და ამ სეზონში მხოლოდ ერთი პოდიუმით (მალაიზიის გრანპრიზე) იწონებს თავს. ამ მომენტისთვის 26 წლის პილოტი საერთო ჩათვლაში მე-6 ადგილზეა და 30 ქულას აგებს ჩემპიონატის ლიდერთან, თანაგუნდელ ჰემილტონთან..

# ასოციაცია სინიორ ლუკას ჩააბარეს

ფორმულა 1-ის გუნდების მიერ ჩამოყალიბებული ახალი ასოციაციის პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო** გახდა. "ფერარის" პრეზიდენტი, რომელიც ცოტა ხნის წინ მარანელოში გამართულ შეკრებას ხელმძღვანელობდა, ახალ ორგანოს მომდევნო 12 თვის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

შეგახსენებთ, რომ ფორმულას გუნდების ასოციაცია სამშაბათს შეიქმნა. ის ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან (FIA) ერთად მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, იქნება ეს პირველობის რეგლამენტის შედგენა თუ კომერციული საკითხების მოგვარება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**